საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—46.

პარასკევი, 24 სექტემბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 212 (1767)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ჩინეთის წყლებში ჩავიდნენ იაპონიის და ინგლისის საზღვაო ახალი ძალები.
- საფრანგეთის მთავრობა [illegible] კურსის დაცემის მიზეზების გამორკვევას.
- რუმინეთ-გერმანიას შორის სწარმოებს მოლაპარაკება საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადების შესახებ.
- ხელმოწერილია საარბიტრაჟო ხელშეკრულება ავსტრიასა და სამხრეთ-სლავიას შორის.
- პოლონეთის ციხეები სავსეა პოლიტ-ტუსაღებით.

მოსავლის დღე

მოსავლის დღე ახალი უქმეა. მას ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იცნობს მშრომელი გლეხკაცობის ფართო ფენები. წარსულ ორ წელში ეს დღე მხოლოდ თითო ოროლა მაზრამ იდღესასწაულა საქართველოში. წელს მოსავლის დღე საყოველთაო უქმედ უნდა გადაიქცეს. მასში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოთა საქართველოს მშრომელ მასებმა.

რას ისახავს მიზნად მოსავლის დღე? როგორ უნდა იქნას ის ჩატარებული და ვინ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ უქმის ორგანიზაციაში? ასეთი კითხვები ბუნებრივათ ისმება ჩვენს წინაშე, რამდენადაც მოსავლის დღე, როგორც უკვე ვსთქვით, ახალი უქმეა და მის ღირსეულად ჩასატარებლად სათანადო გამოცდილება არ მოეპოვებათ ჩვენს ორგანიზაცია-დაწესებულებებს.

პირველყოვლისა თვითონ დღის შესახებ. მოსავლის დღეთ აღიარებულია 24 ოქტომბერი. ე. ი. დრო, როცა მოსავალი თითქმის მთლიანად მოწეული და დაბინავებულია. ეს დღე უნდა გადაიქცეს ქალაქისა და სოფლის მშრომელების ურყევ მეგობრული კავშირის დემონსტრაციათ. ქალაქს სოფელთან მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა აქვს. მოსავლის დღეს განსაკუთრებით უნდა ამოძრავდეს ამ ურთიერთობის გამტარებელნი ორგანიზაციები. ესენია: კოოპერაცია, კოლექტიური მეურნეობანი, გლეხკომები, შეფები, პარტიისა და კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, აღმასკომები, სკოლა და სხვა. ერთი სიტყვით მოსავლის დღის მოწყობასა და გატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის ყველა სამეურნეო ადმინისტრატიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზაციებმა,

რაში უნდა მდგომარეობდეს თვით უქმის შინაარსი? მოსავლის დღეს ჯამი უნდა გაუკეთდეს წარსულ სასოფლო-სამეურნეო წელს, უნდა გამოაშკარავებულ იქნას ის დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიდენ მოსავლის ბარაქიანობას და ამასთან დაკავშირებით უნდა დასახულ იქნას ღონისძიებები, შემჩნეულ ტკივილების მომავლისათვის თავიდან ასაცილებლად.

მოსავლის დღე პირველყოვლისა მიზნად ისახავს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას, გლეხის მეურნეობის გაძლიერებას. სოფლად თითქმის ყოველ კუთხეში მოგვეპოვება ჩვენ შედარებით კულტურული მეურნე გლეხები, რომელნიც თავიანთ გარჯილობით და დაკვირვებით მშვენივრად უძღვებიან საკუთარ მეურნეობებს და ამნაირად სამაგალითო მეურნეებს წარმოადგენენ დანარჩენებისათვის. მოსავლის დღეს ასეთი მეურნე გლეხები უნდა გამოიძებნონ, სანიმუშო მეურნეობანი უნდა დაჯილდოებული იქნან და ამ მეურნეობათა გამოცდილება-მიღწევები უნდა განმარტოს სოფლის დანარჩენ მოსახლეობას.

ამასთან ერთად მოსავლის დღე უნდა გადაიქცეს უყაირათობის, უმომჭირნეობის და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის დღეთ. ჩვენ ამ ბოლო ხანებში ბევრს ვსწერთ და ვლაპარაკობთ მომჭირნეობაზე. ხშირად ეს ლოზუნგი მხოლოდ ქალაქის ლოზუნგათ წარმოუდგენიათ. შემცდარი აზრია. უყაირათობას და დაუშვებელ ხელგაშლილობას სოფლადაც ფართოდ აქვს გადგმული ფესვები. განსაკუთრებით საგრძნობია ის თვითეულ გლეხის მეურნეობაში.

მთელი წლის განმავლობაში გლეხის ოჯახი იკლებს და ითმენს, ძალიან მომჭირნეთ სჭამსა და სვამს, „იოლად გადადის", როგორც იტყვიან. ამნაირი, საკუთარ ორგანიზმის ხარჯზე დაზოგვით ოჯახში მართლაც გროვდება ცოტაოდენი ხელშესახები დოვლათი. მაგრამ გლეხი თითქმის ვერასოდეს ვერ იყენებს ამ დოვლათს მიზანშეწონილად. მას ან ქელეხი შეიწირავს, ან საეკლესიო დღესასწაული ან ჩვეულებრივი უყაირათობა.

ამიტომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარება გლეხის მეურნეობაში მიზნად უნდა ისახავდეს ამ განმანადგურებელ და უთავბოლო ხარჯების შემცირებას. მოსავლის დღე უნდა დაუპირისპირდეს საეკლესიო უქმეებს. ეს დღე უნდა გახდეს სოფლის ნამდვილ ზეიმის დღეთ. რომელიც ინაცვალებს გლეხის მომსპობ საეკლესიო უქმეებს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მოსავლის დღის გატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შეფებმა. ეს დღე ყველაზე მეტად მოხერხებულ შემთხვევას წარმოადგენს, როცა შეფმა უნდა დაუმტკიცოს სოფელს რა სამეურნეო და კულტურული დახმარება შეუძლია ცალკე წარმოება-დაწესებულებებს გლეხკაცობისათვის. მოსავლის დღეს შეფი თავის სოფელთან ერთად უნდა უქმობდეს.

გარდა ამისა, თუმცა არც ისე ხშირად, მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს სოფლად კოლექტიური მეურნეობანი; კომუნები, არტელები, ამხანაგობები. არის აგრეთვე საბჭოთა მეურნეობანი და საცდელი მინდვრები. ყველა ამ ორგანიზაცია-დაწესებულებებმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსავლის დღის ჩატარებაში. ისინი წარმოადგენენ კულტურულ მეურნეობათა კერას. მოსავლის დღე მათი უდიდესი დღესასწაულია.

მოსავლის დღემდი ბევრი დრო არ დაგვრჩენია. საჭიროა სამზადისს ახლავე შეუდგეთ, რომ ეს დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის უქმე ნამდვილ სახალხო დღესასწაულათ გადავაქციოთ და ღირსეულათ ჩავატაროთ. წლევანდელი, შედარებით მდიდარი მოსავალი კარგ პირობებს ჰქმნის ამისათვის.

კანტონის გამარჯვება

კანტონის რევოლიუციონური არმია თანდათან აფართოებს თავის გამარჯვებას ჩინეთის მილიტარისტულ - რეაქციონურ ძალებზე. იგი ღრმად შეიჭრა ინგლისის აგენტის, გენ. უ-პეი-ფუს სამფლობელოში და დაიპყრო მისი პროვინციები, სამხრეთ - დასავლეთით: გუან-სი, ხუნანი, გუი-ჯოუ, ხუბეის მეტი ნაწილი და ჩრდილოეთით იბრძვის ხენანის პროვინციაში, რომელიც დღეს უ-პეი-ფუს დამარცხებულ ჯარების დარჩენილ ნაწილების უკანასკნელი თავშესაფარია. გარდა ამისა უ-პეი-ფუს არმიის ერთი რაზმი ჯერ კიდევ გამაგრებულია ქ. უჩანის მიდამოებში (ხუბეის პროვინცია, ხან-კოუს მახლობლად), მაგრამ ის გარშემორტყმულია კანტონის ჯარებით და მისი ბედი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. კანტონის არმიას ამჟამად უჭირავს უდიდესი ტერიტორია სამხრეთ, შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში. კანტონის კონტროლი და გავლენა ვრცელდება ას მილიონიან მოსახლეობაზე.

მაგრამ მნიშვნელობა აქვს არა მარტო ტერიტორიის სიდიდეს და მცხოვრებთა მრავალრიცხოვნებას. ხანკოუს, ხანიანის და საერთოდ ხუბეის პროვინციის დაპყრობით კანტონი დაეუფლა უმთავრეს სამაგისტრალო რკინის გზას, რომელიც ხანკოუს პეკინთან აერთიანებს, ხოლო მეორე მხრივ კანტონის მიმართულებით მიდის. ამავე დროს ხანკოუ ჩინეთის უდიდესი მდინარით—იანცზით, რომლითაც საოკეანო გემების მიმოსვლა სწარმოებს, უკავშირდება ცნობილ სანავთსადგურო ქალაქ შანხაის და ამნაირად კანტონი რამდენიმედ მთელ იან-ცზის მიდამოებზე ავრცელებს თავის გავლენას.

ეს ცოტაა. ხან-კოუ უძლიერეს სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს მრავალი ფაბრიკა-ქარხნით, ამასთან ხანიანში იმყოფება უდიდესი არსენალი. ეს გარემოება შეუდარებლად ადიდებს კანტონის ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას.

სულ უკანასკნელი ცნობებით, კანტონის ჯარებმა დაატყვევეს თვით უ-პეი-ფუ (ხენანის პროვინციაში). თუ ეს ცნობა მართალი გამოდგა, მაშინ უ-პეი-ფუს არმია საბოლოოდ განადგურებულად უნდა მივიჩნიოთ. მასში, მთელ რიგ სასტიკ დამარცხებათა ზეგავლენით, კარგა ხანია რაც დეზორგანიზაციის და მასიურ დეზერტირობის პროცესმა იჩინა თავი, ხოლო მეთაურის დატყვევება მოასწავებს მის სრულ ორგანიზაციულ და მორალურ დაშლას.

სამხედრო მდგომარეობის დასახასიათებლად საყურადღებოა გუშინდელი ცნობაც: სახალხო არმიებმა, რომელთაც უკავიათ ჩინეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის პროვინციები — გიან-სუ და შენსი, შეტევა დაიწყეს ხენანის მიმართულებით, რომ კანტონის ჯარებს შეუერთდენ. და ეს შეტევა წარმატებით ვითარდება. ამგვარად იქმნება ჩინეთის განმათავისუფლებელ ძალების ერთიანი სამხედრო ფრონტი რეაქციის წინააღმდეგ.

რა მდგომარეობა შეიძლება მოყვეს კანტონის ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებას? ჩინეთის შიგნით ამჟამად ორი უმთავრესი მოწინააღმდეგე ჰყავს კანტონს. პირველია ჩან-ძო-ლინი. მას უჭირავს ქვეყნის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის პროვინციები, რომელთა მოსახლეობა დაახლოვებით 80 მილიონს უდრის. ხენანის აღების შემდეგ კანტონი უშუალოდ მიადგება მუკდენის დიქტატორის სამფლობელოს. დაიწყებს თუ არა კანტონი ბრძოლას ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ, ან, პირიქით, უკანასკნელი შეუტევს მას, თუ ორივე დროებით თავს შეიკავებენ ერთიმეორეზე გალაშქრებისაგან, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. კანტონი და მუკდენი ორ შეურიგებელ ძალას წარმოადგენენ და მათი მშვიდობიანი თანაარსებობა დიდი ხნით წარმოუდგენელია. აკი ცნობა იყო, რომ ჩან-ძო-ლინი უ-პეი-ფუს მისაშველებლად 100.000 სიან ჯარს გზავნისო. თუ უკანასკნელის დატყვევება სინამდვილეს შეეფერება, ჩან-ძო-ლინს ამ შემთხვევაში ძალიან გაუძნელდება კანტონის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა.

მეორე მძლავრ რეაქციონურ-მილიტარისტულ ძალას წარმოადგენს გენერალი სუნ-ჩუან-ფანი, რომელსაც უკავია აღმოსავლეთ ჩინეთის ხუთი პროვინცია, ას მილიონზე მეტ მოსახლეობით. ბოლო დრომდე ის ნეიტრალიტეტს იცავდა უ-პეი-ფუ—კანტონ შორის გამართულ ბრძოლაში. მაგრამ როცა საგრძნობი გახდა უ-პეი-ფუს დამარცხება, ინგლისის ზემოქმედებით და თავის პროვინციებზე კანტონის გავლენის გავრცელების შიშით, იმან გამოუცხადა უკანასკნელს ბრძოლა. ბრძოლას ამ ფრონტზე კი დღევ არ მიუღია ფართე ხასიათი, მაგრამ მეტად საგულისხმოა ცნობა, რომ ცზიანსის პროვინციის ჯარები უერთდებიან კანტონის არმიას. ცზიან-სი სუნ-ჩუან-ფანის სამფლობელოში შედის და ესაზღვრება კანტონის მიერ დაკავებულ ტერიტორიას, მაშასადამე, სუნ-ჩუანს განდგომია მისი ჯარი და კანტონს მიმხრობია.

ეს ფაქტი საგულისხმოა საერთოდ კანტონის მოწინააღმდეგეთა სამხედრო ძლიერების დასახასიათებლად. თუმცა ჩან-ძო-ლინი და სუნ-ჩუან-ფანი ორივე ერთად თავიანთ ტერიტორიების მცხოვრებთა რიცხვით ძალიან სჭარბობენ კანტონს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მასზე უფრო ძლიერი იყვენ. საქმე ის არის, რომ როგორც ჩან-ძო-ლინის, ისე უფრო სუნ-ჩუან-ფანის სამფლობელოში არიან ისეთი გუბერნატორები. ცალკე პროვინციათა მმართველნი, რომელნიც მხოლოდ ნომინალურად აღიარებენ თავიანთ უფლებებს და ზოგიერთი მათგანი შემთხვევის დროს მზადაა, განზე გადგეს მათ. ეს გარემოება სუნ-ჩუან-ფანს, აგრეთვე ჩან-ძო-ლინსაც ხელფეხს უბორკავს და საშუალებას არ მისცემს დიდძალ ჯარები გამოყოს კანტონის წინააღმდეგ.

ეს ცოტაა. ჩან-ძო-ლინის და სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ აქტიურადაა განწყობილი მშრომელი მასსა. გლეხობა. რომ არ ვილაპარაკოთ მუშათა კლასზე. გლეხობა უკიდურესობამდე შეწუხებულია დაუსრულებელი ომებით, რომლებსაც მილიტარისტები აწარმოებენ, აგრეთვე იმ უდიდესი გადასახადებით, რომელთაც ისინი მშრომელ ხალხს ადებენ. უკანასკნელი მოწყურებულია მშვიდობიანობის და იმედით შესცქერის კანტონის არმიას, რომელიც მას განთავისუფლებას მოუტანს. ეს, სხვათაშორის, ცხადყო იმ აღფრთოვანებამ, რომლითაც კანტონის ჯარებს უ-პეი-ფუს ყოფილ პროვინციებში შეხვდენ. ჩინეთის მშრომელ ხალხის ასეთი განწყობილება კანტონის გამარჯვების საწინდარია.

რა თქმა უნდა, ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას მტრები ყავს არა მარტო ქვეყნის შიგნით.—უმთავრეს საშიშროებას მისთვის იმპერიალისტები წარმოადგენენ. უ-პეი-ფუს განადგურებით ყველაზე მეტი დამარცხება ინგლისს შეხვდა, ვინაიდან უ-პეი-ფუს სამფლობელო ინგლისის საწველ ფურს წარმოადგენდა. კანტონის გამარჯვებით ლონდონის თავაშვებულ თარეშს იქ ბოლო მოეღება. ამიტომ ინგლისი არაფერს დაზოგავს კანტონის დასამარცხებლად. ამ მიზნით იგი გამოიყენებს და უკვე იყენებს ჩინეთის რეაქციას. რაც შეეხება სხვა ძალებს. აქ თანხმობა არ არის მიღწეული. ამერიკა და იაპონია ჯერ ინგლისს მხარს არ უჭერენ ჩინეთის ინტერვენციაში, რომ ამ გზით იგი განაპირონ და მისი პოზიციები ჩინეთში თვითონ ჩაიგდონ „მშვიდობიანი" გზით. გაბედავს კი მარტო ინგლისი ომის დაწყებას ჩინეთში? თუ გაბედა, ეს იქნება 400 მილ. ჩინ. ხალხის საერთო აჯანყების დასაწყისი ინგლისის წინააღმდეგ, რომლის უხეში და პროვოკაციული მოქმედება უკვე ეხლა საყოველთაო აღშფოთებას იწვევს. კანტონის ძლევამოსილი ბრძოლა გვიჩვენებს, რომ ჩინეთში იმპერიალიზმს და შინაურ რეაქციას ფეხქვეშ წყალი ღრმად ჩაუდგა.

მ. ლ—ძე.

კოოპერატიული ექსპორტის და იმპორტის საკითხები

აშკარაა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა დასავლეთ ევროპის მეურნეობასთან შედარებით ჩამორჩენილია. ინდუსტრიალური ნაწარმოებით ჩვენ ვერავის გავაკვირვებთ. სასოფლო მეურნეობა მართალია დაბალ საფეხურზე სდგას, მაგრამ ბუნების სიმდიდრე და ჰავის გავლენა პრიმიტიულ სისტემის პირობებშიაც გვაძლევს იმდენ მასალას, რომ ჩვენ შეგვიძლია უცხოეთს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები მივაწოდოთ.

ამ შემთხვევაში ჩვენმა კოპერატივებმა ზადების პროცესს მიენიჭება.

ამ შემთხვევაში ჩვენმა კოოპერატივებმა მეტი ყურადღების ღირსად უნდა გახადონ ერთი რამ, არ კმარა მაგალითად, რომ გორის მაზრის გლეხობამ ატამი მოიყვანოს. ხეზე გამობმულს არავითარი ღირებულება არა აქვს. არც ის არის საკმარისი, რომ დასავლეთ საქართველოში გლეხებმა ათიოდე ფუთი თხილი ან ნიგოზი მოიწიოს, რომელიმე ოჯახმა ასეული ქათმის კვერცხი დააგროვოს, ან ორიოდე ფუთი აბრეშუმის პარკი მოიწიოს და ამდენივე თუთუნი დაამზადოს. ყველა ეს თავისთავად ნივთებია და მას ესაჭიროება საქონლად გახდომა. სწორედ ეს საქონლად გახდომის პროცესი უნდა გაადვილოს კოოპერატივებმა, როგორც ორგანიზაციამ, რომელიც ყველაზე ახლო სდგას სასოფლო მეურნეობასთან. საგარეო ბაზრის გამონახვა და პროდუქციის გასაღება—აი მთავარი ამოცანა ამ მხრივ.

ცხადია, მარტო ბაზრის გამონახვა არ არის საკმარისი. ჩვენ ვიცით, რომ კვერცხისა და ხილისათვის, კარგი ბაზარია ბერლინი, თუთუნისათვის—ლონდონი, ამსტერდამი, ჰამბურგი.

რა პროდუქტებისათვის შეუძლია ჩვენ კოოპერატივებს უცხო ბაზარი მოიპოვოს?

პირველად ყოვლისა უნდა დავასახელოთ თუთუნი, აბრეშუმის პარკი, თხილი, ნიგოზი, ჯაგარი, ბეწვეული, კვერცხი და ხილეულობა.

ხშირად გავიგონებთ ხოლმე, რომ ფრახტი ძვირია, ევროპაში სხვა ქვეყნების პროდუქტებს ვერ გაუმკლავდებით, შინაური ბაზრის ფასებისაგან ვერ ავიღებთო და სხ. ეს შეხედულება ყალბია. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივები შესძლებენ პროდუქტების სათანადოთ დამზადებას, თუ ბაზრის სპეციფიკაციას ანგარიშს გაუწევენ და ტრანსპორტის საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევენ, ასეთ შეხედულებას ყოველგვარი ნიადაგი გამოეცლება.

1. ავილოთ თუთუნი. ჩვენი ქვეყნის და განსაკუთრებით სოხუმის თუთუნი საუკეთესოთ ითვლება. ბევრ თუთუნის წარმოებისათვის სახელწოდება „სოხუმი" რეკლამაა. მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ ჩვენში არსებული თუთუნის ხარისხებად დაყოფა ლონდონის ან ჰამბურგის თუთუნის ბირჟისათვის მიუღებელია. მაშასადამე აქედან დასკვნა. საჭიროა აღნიშნულ ბირჟების სპეციფიკაციის შესწავლა, მასთან შეთანაბრება. ამ გზით ჩვენი კოოპერატივები შესძლებენ მაქსიმუმის მიღწევას. თავის-თავად ცხადია, ფრახტი დიდ როლს თამაშობს. აგრეთვე მნიშვნელოვანია დრო, საქონლის ბაზარზე გატანისა. პირველ შემთხვევაში აუცილებელია მეტი რაციონალობის გამოჩენა, უახლოესი გზის, უიაფესი საშუალების გამონახვა. მეორე შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, სეზონის ცოდნა და საზოგადოდ ფასოვან ბაზარზე თვალყურის დევნება. აღნიშნული გზით მოსახერხებელი გახდება ჩვენი თუთუნისათვის მუდმივი ბაზრის შექმნა.

2. აბრეშუმის პარკი. მაშინ, როდესაც თუთუნი შედარებით შეუცვლელი პროდუქტია, მის მაგიერობას მასიურად სხვა დასხვა რამე ვერ სწევს. აბრეშუმის პარკს უდიდესი კონკურენტი შეუქმნა თანამედროვე ინდუსტრიის განვითარებამ. ეს კონკურენცია ცელულოიდა და მისგან ხელოვნური აბრეშუმის გაკეთებაა. მართალია, ის ნამდვილი აბრეშუმის ადგილს ვერასოდეს ვერ დაიჭერს, მაგრამ სამაგიეროთ, ბევრად უფრო იაფია და ერთი შეხედვით ხარისხითაც არ ჩამოუვარდება აბრეშუმს. შორიდან „მტერს თვალებს დაუფსებს", როგორც ჩვენში იტყვიან, ხოლმე. ამ გარემოებამ აბრეშუმის პარკის მოთხოვნილება შეამცირა და ამ გზით ფასიც დასცა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარკის მეურნეობა და მისი ყაირათიანობა შეუძლებელი იყოს. არა. აღნიშნული მოვლენა მხედველობაში მისაღებია და ანგარიშგასაწევი იმ მხრივ, რომ ბაზარს მეტი ყურადღება მიექცეს, დამზადებული პარკი შესაფერ დროზე იქნას ბაზარზე გამოტანილი, რომ შეუსაბამო და უხეირო მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს. თანამედროვე ვაჭრობა მეტის-მეტად გართულებულია და ამასთან ერთად მეტის-მეტად გასათუთებული. მის მსვლელობას ყოველ წუთში ყურისგდება და შესწავლა უნდა, რომ წინასწარ მომგებიანი საქმე აუცილებელ წაგებად არ იქცეს.

3. ხილეულობა. შიდა გერმანიის ბაზარზე იყიდება კალიფორნიის ვაშლი, ავსტრალიიდან შემოტანილი მსხალი და სხვა ხილეულობა. ასევეა სკანდინავიის ქვეყნებში, ბრიტანეთიც უცხო ხილით იკვებება. ჩვენი ხილი კი ბაქოს იშვიათად თუ სცილდება. მაშინ, როდესაც ატამი, მსხალი და ვაშლი საუკეთესო ბაზარს მოიპოვებდა. ჩვენი კოოპერატიული მოღვაწეები ხშირად ამტკიცებენ, რომ აქაური ხილი ტრანსპორტს ვერ აიტანს, მისი წყლის შემადგენლობა დიდია და ამიტომ მალე ლპება, ფუჭდებაო. ეს დებულებაც ყალბია. ჩვენი ხილი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-საქართველოსი, არ შეიცავს სამხრეთ კალიფორნიის ან დასავლეთ-ავსტრალიის ხილეულობაზე მეტ წყალს. ამ შემთხვევაში როლს თამაშობს ჰავა და სინოტივე. აღმოსავლეთ საქართველოს და აღნიშნულ ზონების ჰავა, განსაკუთრებით კი სინოტივე თითქმის ერთი და იგივეა. შეიძლება ტრანსპორტის სიძვირის აღნიშვნა, მაგრამ ესეც მართალი არ იქნებოდა, ვინაიდან ჩვენი სიშორე და გადასატან საშუალებათა რაოდენობა ამ შეხედულებას არამც და არამც არ გაამართლებდა. მთავარი მიზეზი აღნიშნული ფაქტის ის არის, რომ ჩვენ ვერ მოგვიწყვია ყუთებში ხილის ისე ჩაწყობა, რომ იმან შედარებით გრძელი მანძილი აიტანოს. ერთი შეხედვით ეს პარადოქსად მოგვეჩვენება, მაგრამ სრულ სინამდვილეს კი წარმოადგენს და თუ ჩვენ ამ დაბრკოლებას დავსძლევთ, ხილსაც საგარეო ვაჭრობაში მივსცემთ გზას და გასავალს.

4. ბეწვეული. ლონდონისა და ლეიპციგის ბაზარი ბეწვეულობისათვის საუკეთესო ბაზრებია მთელ ქვეყანაზე. ომამდე ლაიპციგის ბაზარი პირველ ადგილზე იდგა. ომის შემდეგ პირველობა ლონდონმა ჩამოართვა, მაგრამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ლაიპციგმა თავის პირველგარისხოვნება უკვე მოიპოვა. საზოგადოდ რუსეთის ბეწვეულობა საუკეთესო საექსპორტო საგანს წარმოადგენდა ყოველთვის და ამჟამადაც ის იკავებს სათანადო ადგილს. მარტო მიმდინარე წლის აპრილში ლაიპციგის აუქციონზე საბჭოთა რუსეთის კოოპერატიულმა ცენტრმა, „ცენტროსოიუზმა" ასეული ათასი ბეწვეული გაასაღა. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ლონდონში. ჩვენი კოოპერაცია კი ჯერ-ჯერობით ამ დარგში თითქმის არ გამოჩენილა, მაშინ, როდესაც სათანადო რესურსები მრავლადაც მოგვეპოვებოდა. აქაც უნდა ითქვას ჩვენი ორგანიზაციის ნაკლზე და უნდა მიეთითოს მის გასწორების აუცილებლობაზე. ასეთივე მდგომარეობაა ცხენის ძუის, ჯაგარის და ძროხის მატყლის. ევროპის ბაზარი ჩამოთვლილ საგნებით ძლიერ მოშივებული არის და თუ ჩვენ იმათ ექსპორტს მოვაწყობთ, ღირსშესანიშნავ შედეგს მივაღწევთ.

5. კვერცხი. უკრაინის კვერცხი ლონდონის, დანციგის, ჰამბურგისა და ბერლინის ბირჟაზე საუკეთესო სავაჭრო საქონელს წარმოადგენს. უკრაინის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, „კოოპტახს" ასეულ ვაგონი კვერცხი გააქვს უცხოეთში. ამ საქმეში უპირველეს როლს ტრანსპორტის მოწყობა თამაშობს და კოოპერაციაც ვალდებულია ამ მხარეს მეტი ყურადღება მიაქციოს და ჩვენი სასოფლო მეურნეობის ამ პროდუქციას გზა გაუხსნას.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა განსაზღვრულ, წინასწარ გაზომილ ნორმებს ემორჩილება. როგორც საქონლის გატანა, ისე შემოტანა, სახალხო მეურნეობის საერთო ვარაუდით ისაზღვრება და ეგეგმება. გატანის კონტინგენტი და აგრეთვე გამტან ორგანიზაციათა რაოდენობა განსაზღვრულია. ამ მდგომარეობას ანგარიშში უნდა გაეწიოს. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დროს ძალების დაქსაქსვა და ყველა თუნდაც დიდი მნიშვნელობის სამეურნეო ორგანიზაციისადმი ექსპორტ-იმპორტის უფლების მინიჭება მიზანშეუწონელია, როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის კოოპერატივთათვის სრულებით რაციონალურია ერთი განსაზღვრული ორგანოს არსებობა, რომელიც ამ საკითხს კონცენტრაციას უყოფს და მოაწესრიგებს. წმინდა კომერციული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შემსყიდველ-გამსაღებელი ცენტრალური ორგანო, როგორც ზედნადები ხარჯების მხრით, ისე კონტინგენტის მხრითაც არახელსაყრელი და მიზანშეუწონელია. ამ შემთხვევაში, როგორც საქართველოს, ისე ა.-კ. ფედერაციის რესპუბლიკებს გააჩნია ცენტრალური დაწესებულება, „ზაკსოიუზი", რომელსაც საგარეო ვაჭრობის უფლება უპირატესობანი მინიჭებული აქვს. მას ამ მხრივ ტრადიციაც აქვს შექმნილი და წმინდა კომერციული და აგრეთვე მიზანშეწონილი სავაჭრო პოლიტიკა უკარნახებს რესპუბლიკების კოოპერატივებს ის ორგანო აღნიშნულ მიზნისათვის რაციონალურად გამოიყენონ.

თუნდაც მარტო საგარეო ვაჭრობის ნიადაგზე გაერთიანება და სქმიანობა ჩვენ მოგვცემს დიდ მნიშვნელოვან შედეგებს, რომელიც პირველად ყოვლისა გამოიხატება ჩვენი სასოფლო მეურნეობის ექსპორტის ზრდაში, რაც თავის თავად ცხადია ხელს შეუწყობს ჩვენი სოფლის გაძლიერებას ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ საშუალებას მოგვცემს უცხო ღირებულებას შინაური ღირებულება დაუპირდაპიროთ, რაც სავაჭრო ბალანსსაც წონასწორობაში მოიყვანს და, როგორც სავალიუტო, ისე მთლიანად სახალხო მეურნეობის ზრდა განვითარებაზე ცხოველ-მყოფელ გავლენას იქონიებს.

ივ. ნარსია.

კანტონის ჯარებმა ტყვეთ ჩაიგდეს უ-პეი-ფუ

რევოლიუციონური არმია მიდის ჩრდილოეთ ჩინეთის დასაპყრობათ

თემთა პალატა იხილავს საკითხს საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შესახებ

ამერიკის ექსპერტები მოითხოვენ კონტროლის დაწესებას პოლონეთის ბანკების მუშაობაზე

კანტონის არმიის გამარჯვება

უ-პეი-ფუს დატყვევება

ბერლინი, 23 სექტემბერი. „დეილი მეილის" ცნობით, უ-პეი-ფუ ტყვედ ჩაუვარდა კანტონელებს სინ-იანთან. „ტაიმსი" იუწყება, რომ კანტონის ჯარებმა დაიკავეს ნან-ჩანგი, კიან-სის პროვინციაში.

რეაქციის დამარცხება

ლონდონი, 23 სექტემბერი. ლონდონში მიღებულ ჯერ დაუდასტურებელ ცნობების თანახმად, უ-პეი-ფუ სინ-იანთან (ხენანის პროვინცია) ხანკოუდან ჩრდილოეთით ტყვედ ჩაუვარდა კანტონის ჯარებს. შანხაიში ფიქრობენ, რომ ეს ცნობები სწორია.

რეაქცია მარცხდება

ნიუ-იორკი, 22 სექტემბ. 18 სექტემბერს ამერიკის ელჩი ხანკოუდან იუწყება, რომ კანტონის ჯარები კვლავ უშენენ ყუმბარებს უჩანს და ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ ხე-ნანის პროვინციაში.

გლეხინტერნის მილოცვა

მოსკოვი, 23 სექტემბ. გლეხინტერნის პრეზიდიუმმა გომინდანს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„მოგილოცავთ ხანკოუს—მეორე კანტონის აღებას. ღრმად ვართ აღშფოთებული ვან-სიანისთვის ყუმბარების მხეცური დაშენით. დარწმუნებული ვართ, რომ გომინდანის მომავალი პლენუმი საკმაო ყურადღებას მიაქცევს გლეხთა საკითხს, რომლის სწორად გადაჭრისაგან არის დამოკიდებული ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის გამარჯვება იმპერიალისტებისა და მილიტარისტების გაერთიანებულ ძალებზე ჩინეთში".

ინგლისის ფლოტი

ლონდონი, 22 სექტემბ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, მესამე გამანადგურებელმა ფლოტილიამ, რომელიც მალტაში სდგას, მიიღო მოულოდნელი ბრძანება, რომ გაემგზავროს ჩინეთში ინგლისის ფლოტის გასაძლიერებლად.

შესაძლოა, რომ კრეისერი „დელიც" მიიღებს ასეთივე დანიშნულებას.

იაპონიის გემები

ბერლინი, 23 სექტემბერი. შანხაიდან იუწყებიან, რომ ხანკოუში კიდევ წავიდა იაპონიის 2 მსუბუქი სამხედრო გემი. ამჟამად იან-ცზეზე იაპონიის გემების საერთო რაოდენობა ასეთია: 9 მსუბუქი სამხედრო გემი, 2 კრეისერი და 2 ნაღმოსანი.

პოლიტმუშაობა არმიაში

კანტონი, 23 სექტემბერი. კანტონის მთავრობამ გადასწყვიტა სათანადო სიმაღლეზე დააყენოს პოლიტიკური მუშაობა არმიაში. ფინ-იუ-სიანი დაინიშნა გომინდანის წარმომადგენლად სახალხო არმიაში. სახალხო არმიების პოლიტიკური განყოფილების მთავარ ხელმძღვანელად დაინიშნა ლი-ში-ცზენი. გადაწყვეტილია მოეწყოს პოლიტიკური განყოფილებები დივიზიებში, ბრიგადებში, პოლკებში, ბათალიონებში და სხ. ნაწილებში. სახალხო არმიებში პოლიტიკური მუშაობის საწარმოებლად კანტონიდან გაიგზავნა 15 პოლიტმუშაკი. გარდა ამისა კანტონის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს გომინდანის წარმომადგენლები იან-ცზეს რაიონებში ახლად შექმნილ საარმიო კორპუსებში.

მთავრობის კრიზისი

პეკინი, 22 სექტემბერი. მიუხედავათ ყოველგვარი ცდისა, პეკინის მთავრობამ ვერ მოახერხა ნახევარ მილიონ ჩინური დოლარზე მეტი სესხის მიღება. ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა სესხის ობლიგაციები გადასცეს უშუალოდ სამინისტროების და მთავრობის დაწესებულებების მოსამსახურეებს. სკოლებში მიიღეს 200.000 დოლარი ბოქსიორის ფონდიდან. ეს ფული განაწილდა უნივერსიტეტებს, კოლეჯებსა და დანარჩენ სასწავლებლებს შორის. **ფინანსთა მინისტრი და პრემიერი არ გამოდიან თავიანთი ბინებიდან, რომლებიც გარშემორტყმულია სამხედრო ნაწილების უფროსების მიერ.** ესენი მოითხოვენ ფულს ჯარების ჯამაგირების გასასტუმრებლად.

შაბათს შემდგარ კაბინეტის სხდომას სთვლიან მთავრობის უკანასკნელ სხდომად.

ინგლისის მუშების ბრძოლა

მემაღაროების პასუხი

პარიზი, 22 სექტემბ. **მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა გამოიმუშავა ბოლდუინის უკანასკნელ წინადადებაზე მისაცემი პასუხი.** პასუხი უარს ჰყოფს რაიონულ შეთანხმებას და იცავს ნაციონალური მოლაპარაკებისა და ნაციონალური ხელშეკრულების პრინციპს. **აღმასკომის პასუხი ყოველგვარ პასუხის მგებლობას კონფლიქტის გაგრძელების საკითხში აკისრებს მთავრობასა და მაღაროს მეპატრონეებს.** გუშინ მემაღაროეთა დელეგატებმა გადასცეს ბოლდუინს ახალი წინადადებები.

„იძულებითი მეთოდები"

ლონდონი, 22 სექტემბ. გადმოქვეცემენ, რომ სამთამადნო მუშებთან შეხვედრის დროს, ბოლდუინი თავის კაპიტულიაციას მაღაროს მეპატრონეთა წინაშე ამართლებდა იმით, რომ ის წინააღმდეგია ყოველგვარ „იძულებითი" მეთოდებისა.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ კაბინეტის სხდომაზე იხილავდენ საქვანახშირო კონფლიქტის გადაწყვეტის ახალ გეგმას. **ამ გეგმით განზრახულია სამუშაო ხელფასის შემცირება 13 პროც-ით,** მაღაროებში 7 საათის სამუშაო დღის დაცვით.

შემოსული იყო რჩევა, რომ არბიტრებათ დანიშნულიყვენ სემუელის კომისიის ყოფილი წევრები.

განსაკუთრებული მდგომარეობა

ლონდონი, 23 სექტემბერი. **ორშაბათს იწვევენ თემთა პალატას განსაკუთრებული მდგომარეობის გასაგრძელებლად.**

გაფიცვის შედეგები

ლონდონი, 23 სექტემბერი. გზათა სამინისტროს ცნობების თანახმად, ივნისის განმავლობაში რკინის-გზით გადაყვანილ იქნა თითქმის 35 მილ. მგზავრით ნაკლები, ვიდრე წარსული წლის ივნისში. მგზავრების გადაყვანიდან მიღებული საფასი შემცირდა 2 მილ. გირვანქა სტერლინგით.

ლენსბერი და კაპიტალისტური პრესა

ლონდონი, 23 სექტემბერი. მუშათა პარტიის წარმომადგენელმა თემთა პალატის დეპუტატმა ქალმა ელენ ვილკინსონმა „ლენსბერი უიკლ"-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერს:

„საინტერესოა ვიცოდეთ—როგორ მიიღო „დეილი მეილმა" ტომსკის დეპეშის ასლი და ამ დეპეშაზე გენერალურ საბჭოს პასუხის ასლი, სანამ ეს უკანასკნელი გამოაქვეყნებდა იმ დოკუმენტებს? დროა, გენერალურმა საბჭომ მიაქციოს ყურადღება იმას, თუ როგორ აღწევს კაპიტალისტურ პრესამდე ასეთი ინფორმაცია.

თათბირი გრძელდება

ლონდონი, 23 სექტემბერი. პრემიერს და მინისტრებს, რომლებიც შედიან კაბინეტის სანახშირო კომისიაში, ამ უკანასკნელ ოთხი დღის განმავლობაში მემაღაროების აღმასკომთან მეტად მჭიდრო კავშირი აქვთ. მათ მემაღაროების ლიდერებთან ქონდათ თათბირი, რომელიც რამდენიმე საათი გაგრძელდა. ამ თათბირის შედეგები ლიდერებმა დაუყონებლივ აცნობეს მემაღაროეთა აღმასკომს. ორივე მხარე სასტიკ საიდუმლოებას იცავს. დაინტერესებულ წრეებში იზრდება ოპტიმიზმი, რომელიც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არ მოხდა ახალი განხეთქილება და სავსებით გარკვეევით გამოაშკარავდა ლტოლვა შეთანხმების მიღწევისაკენ. გაბატონებულია რწმენა, რომ მალე უნდა ველოდეთ მნიშვნელოვან მომენტს ამბების განვითარებაში. დღეს დილით მემაღაროეთა ლიდერები კვლავ ეთათბირენ აღმასკომს და შემდეგ ინახულეს მინისტრები. ლიდერების პოზიციაზე აუცილებლად უნდა ახდენდეს გავლენას ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რაიონებში ბევრი მუშა დაუბრუნდა სამუშაოს მაღაროების მეპატრონეთა ადგილობრივ ასოციაციების მიერ წარდგენილ პირობების საფუძველზე.

წარსულ კვირაში ყოველდღიურად სამუშაოს უბრუნდებოდა 3.000-დე მემაღაროე. ამასთანავე მემაღაროეთა დიდი უმრავლესობა მტკიცედაა, თუმცა გამორკვეულია, რომ ბევრი არ მუშაობს იმ იმედით, რომ ეხლანდელი მოლაპარაკება კეთილად დამთავრდება. მემაღაროეთა ლიდერებს არ უარუყვიათ მთავრობის წინადადება ეროვნული საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაარსების შესახებ, მაგრამ გამოსთქვეს თავიანთი სურვილები, რომელთა შინაარსიც არაა გამორკვეული. მინისტრებთან მოლაპარაკება, როგორც ფიქრობენ, გამოიხატა მხარეთა წინადადებების შედარებაში და შეთანხმებაში იმ მიზნით, რომ შემუშავებიათ ყველასათვის მისაღები გეგმა, რომელიც დაამყარებდა ხანგრძლივ ზავს ქვანახშირის მრეწველობაში.

თათბირი ბოლდუინთან

ლონდონი, 22 სექტემბ. დღის, დილით შესდგა მემაღაროეთა აღმასკომის პლენარული სხდომა, რომელზედაც ოთხმა ბელადმა: **კუკმა, სმიტმა, რიჩარდმა და რიჩარდსონმა** გააკეთეს მოხსენება მინისტრებთან თათბირის შესახებ. შემდეგ განახლდა მოლაპარაკება მთავრობის წარმომადგენლებთან. ეს თათბირი გაგრძელდა სამი საათი. მაგრამ რაიმე გარკვეული ცნობა მოლაპარაკების შინაარსის შესახებ, ჯერ გამორკვეული არ არის. დიდი ინტერესით მოელიან ამბების შემდეგ განვითარებას.

მარშალს პოლიტიკა დაუწუნეს

„უკვე ფრენა მოინდომა"

ვარშავა, 22 სექტემბერი. პრესაში გამოქვეყნებულია ზოგიერთი ძირითადი დებულებანი იმ მოხსენებისა, რომელიც მთავრობას წარუდგინა ამერიკის საფინანსო ექსპერტმა კემერერმა.

კემერერი აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობა მეტად ოპტიმისტურად უყურებს თავისი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას. „პოლონეთს ჯერ ფეხი არ აუდგამს და უკვე ფრენა მოინდომა", ნათქვამია ამის გამო მოხსენებაში.

კემერერი არ ეთანხმება აგრეთვე არსებულ საგადასახადო სისტემას და საგარეო ბრუნვაზე გადასახადის დადებას საშიშროდ სცნობს, ვინაიდან ასეთ პირობებში ერთი და იგივე საქონელი რამდენიმეჯერ იბეგრებაო.

კემერერი ფიქრობს, რომ პოლონეთის ეკონომიკა უმთავრესად უნდა დაემყაროს მიწათ-მოქმედებას. აგრარულ რეფორმას იგი სცნობს საშიშად. **კემერერი სასტიკად აკრიტიკებს პოლონეთის ბანკების მოქმედებას და რჩევას იძლევა, რომ დაწესდეს მათზე კონტროლი.**

დასასრულ კემერერი აცხადებს, რომ პოლონეთს შეუძლია იოლათ წავიდეს უცხოეთის სესხის მიუღებლადაც.

პოლიტიკური ბლოკი

ვარშავა, 22 სექტემბ. **გლეხთა დამოუკიდებელმა პარტიამ და ბელორუსიის გრომადამ შეკრეს პოლიტიკური ბლოკი.**

ვიზვოლენიეს პარტიის ყოფილი ბელადი ტუგუტი გამოვიდა შრომის კლუბის შემადგენლობიდან. შრომის კლუბი წარმოადგენს პატარა ჯგუფს, რომელიც ვიზვოლენიეს ჩამოშორდა იმის გამო, რომ არ ეთანხმებოდა ბარტელის პოლიტიკას.

ამგვარად სეიმის იმ ფრაქციაში, რომელსაც ეკუთვნის ბარტელი, 5 დეპუტატი რჩება.

უფროსს შეეკითხება

ვარშავა, 22 სექტემბ. იმ კრიტიკის გამო, რომელიც გამოიწვია მთავრობის საბიუჯეტო პროექტმა, განსაკუთრებით [illegible] ხარჯების ნაწილში, **პრემიერ ბარტელი დემონსტრატიულად გაემგზავრა დრუსკენიკში პილსუდსკისთან სათათბიროთ.**

ახალი ბიუჯეტი

ვარშავა, 22 სექტემბ. პოლონეთის სეიმის სხდომაზე, მოხსენებით მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის ბიუჯეტის შესახებ, გამოვიდა პოლონეთის ფინანსთა მინისტრი **კლარნერი, რომელმაც** აღნიშნა, რომ მისი შეხედულებით, წლის მოსავალი იქნება 1.806 მილ. ზლოტამდე, ხოლო შემოსავალი 1.762 მილ. ზლოტამდე.

ამნაირად პოლონეთის სახელმწიფო ბიუჯეტი 1926 წლის ბოლოსთვის დასრულდება 44 მილ. ზლოტის დეფიციტით.

სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის გადიდებას კლარნერი ხსნის სამხედრო უწყების საამშენებლო მუშაობის გაგრძელების აუცილებლობით და სამხედრო მრეწველობის ხარჯებით.

სოც. პარტიის წევრმა მარეკმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საბიუჯეტო პროექტში არმიაზე ხარჯების მნიშვნელოვნად გადიდების შესახებ, პოლონეთის სოციალისტური პარტია იძულებულია განაახლოს ენერგიული ბრძოლა ხარჯების შესამცირებლად სამხედრო ბეგარის შემოკლებისა და ახალწვეულთა რიცხვის შემცირების გზით.

კლარნერის მოხსენებამ პოლონეთის პრესაში გამოიწვია გაცხოველებული კრიტიკა.

საბჭოთა პრესა

კერძო ვაჭრის ოინები

კოოპერატიულ და სახელმწიფოებრივ ვაჭრობის მხრით ბაზრის დაპყრობის და საქონლის გაიაფების საქმისათვის უკანასკნელი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ კერძო ვაჭრებს მოესპოთ იმაზე მეტი საქონლის მიღების საშუალება, რამდენსაც სახელმწიფო მათ აძლევს. როგორც ვიცით, მრავალ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როცა კოოპერაციაც და სახვაჭრობაც ბითუმად ყიდდა საქონელს კერძო ვაჭარზე. ამის წინააღმდეგ გადაჭრილი ზომები იქნა მიღებული და დიდი პარტიობით კერძო ვაჭარზე საქონლის გაცემის შემთხვევები ბოლო დროს ძალიან შემცირდა. სამაგიეროთ უკანასკნელ ხანებში გახშირდა კოოპერაციისა და სახვაჭრობიდან კერძო ვაჭრის მიერ საქონლის წვრილ-წვრილად გამოტანა. ამ მოვლენასაც უნდა გამოეცხადოს სასტიკი და სისტემატიური ბრძოლა.

„ყურადღების ცენტრი საქონლის წვრილ გაყიდვასთან ბრძოლაში,—წერს გაზ. „კოოპერატივნაია ჟიზნ",—საჭიროა გადატანილ იქნას პაის მქონეთა შეგნების აწევაზე. პირველ შეხედვით თითქო უწყინარ გადაყიდვათა მთელი მავნებლობის განმარტების გზით. თვით მეპაიებს უნდა მოუწოდოთ შეკავშირებულ ბრძოლისაკენ კოოპერატივების იმ წევრებთან, რომელნიც კერძო ვაჭრებზე ყიდიან მათ კუთვნილ საქონელს. არა ნაკლებ მცირე როლი ამ გადაყიდვებთან ბრძოლაში უნდა შეასრულონ კოოპერატიულ დახლის მუშაკებმა, აგრეთვე სადუქნო კომისიების წევრებმა.

ამავე დროს აუცილებელია გაძლიერებულ იქნეს ზედმოქმედება იმ მეპაიებზე, რომელნიც გადაყიდვაში შემჩნეულ იქნენ. გადაყიდვათა გამოაშკარავებული ფაქტები უნდა ხდებოდენ მეპაიეთა კრებების განსაკუთრებულ მსჯელობის საგნად, ხოლო უფრო ბოროტ გადამყიდვათა მიმართ უნდა იქნას მიღებული ისეთი გადაჭრილი ზომაც კი, როგორც დამნაშავეთა გამორიცხვა კოოპერატივის წევრობიდან.

კოოპერატივებს არა ყოველთვის შეუძლიათ არა საკმარისი საქონლის მხოლოდ მეპაიეთათვის მიყიდვა. ეს გარემოება ადიდებს გადაყიდვათა საშიშროებას შეუკავშირებელ მყიდველთა მხრით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქალაქებში შემჩნეულია წვრილ მსყიდველ-გადამყიდველთა სპეციალურ „არტელების" ორგანიზაციის შემთხვევები—ზოგჯერ პროფკავშირთა უმუშევარ წევრების რიცხვიდანაც კი. ამიტომ საჭიროა გადაყიდვებთან ბრძოლაში მოვიზიდოთ პროფკავშირებიც, რომელთაც სათანადო განმარტებითი კამპანია უნდა ჩაატარონ როგორც კოოპერაციაში შეკავშირებულ, ისე მის გარეშე მდგომ თავის წევრებს შორის".

გადაყიდვათა შემთხვევებს ჩვენს სინამდვილეშიც ხშირად წააწყდებით. ამ გზით კერძო ვაჭარი აფართოებს თავის პოზიციებს, აძვირებს საქონელს და აფერხებს ბაზრის მოწესრიგებას, რომლისათვის სახელმწიფო ყოველ ღონისძიებას ღებულობს. ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ უნდა იქნას ამოძრავებული მუშათა და პირველ ყოვლისა კოოპერატიულ მასსის საზოგადოებრივი აზრი. ამასთან უნდა იქნას გამომუშავებული მთელი რიგი კონკრეტულ ღონისძიებებისა, კერძო ვაჭრის ოინების ალაკვეთად და ჩვენი სავაჭრო აპარატის გასაჯანსაღებლად.

თეთრი ტერორი პოლონეთში

ვარშავა, 22 სექტემბ. პოლონეთის სეიმში კომფრაქციამ შეიტანა შეკითხვა მაისში მომხდარ არეულობის შემდეგ პოლიციის მიერ გაძლიერებულ ტერორის შესახებ.

შეკითხვაში ჩამოთვლილია პოლიციისა და ჯარების თავხედობის ფაქტები მუშებსა და გლეხებზე იმის შემდეგაც კი, როცა პილსუდსკიმ უკვე გაიმარჯვა.

„პოლონეთის „მორალური გამოჯანსაღების" 3-ნახევარი თვის პერიოდში— ნათქვამია შეკითხვაში — **პოლონეთის სასამართლოებმა 193 მუშასა და გლეხს მიუსაჯეს ყველას ერთად 660 წლით საკატორღო მუშაობა. ამავე ხანში,** არასრულ ცნობების მიხედვით, **დაპატიმრებულია 1.265 მუშა და გლეხი".**

კომფრაქციამ მეორე შეკითხვა, შინაგან საქმეთა მინისტრის, მლოძიანოვსკის მიმართ, შეეხება ლვოვის პოლიციის მიერ ვინკლერის მოკვლას, რომელმაც პოლიციელს სილა გაარტყა.

ვარშავა, 22 სექტემბ. ლიუბლინში პოლონელმა რადიკალმა, ჟურნალისტ ვენიავა დლუგოშევსკიმ გააკეთა მოხსენება თემაზე „პოლონეთი და რუსეთი".

მოხსენებაზე მოვიდა **ფაშისტების ჯგუფი, რომელმაც ქვები დაუშინა დლუგოშევსკის. დლუგოშევსკი სერიოზულადაა დაჭრილი.**

წყლის ნაყვა

ტოკიო, 22 სექტემბერი. ამას წინედ 37 სტუდენტის დატუსაღების გამო, რომელთაც ბრალად ედებათ უდიდესებულების შეურაცხყოფა და კომუნისტური პროპაგანდა, და აგრეთვე გამოჩენილ პროფესორების ბინების **გაჩხრეკის** გამო, ლიბერალურმა წრეებმა დაარსეს თავისუფლების დამცველი ლიგა.

ტკბილი სიტყვები

ბერლინი, 23 სექტემბერი. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა **რეინგოლდმა** სენ-სებასტიანში ინახულა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **იანგუასი და** გამოსთქვა გერმანიის მწუხარება ერთა ლიგიდან ესპანეთის გამოსვლის შესახებ.

ჩხრეკა ლონდონში

ლონდონი, 22 სექტემბერი. **ინგლისის „ოხრანკის" აგენტებმა გუშინ გაჩხრიკეს ინგლისის კომკავშირელთა ბინა და ლონდონის ერთი მაღაზიათაგანი, რომელიც მუშური ლიტერატურით ვაჭრობს.** „დეილი მეილის" სიტყვით, ჩხრეკა აიხსნება იმით, რომ პოლიციას უნდოდა ეპოვნა ფურცლები სანახშირო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ვრცელდებოდა სანახშირო რაიონებში.

იტალია-რუმინეთის ხელშეკრულება

ვენა, 22 სექტემბერი. რუმინული გაზეთის **„კუვანტულის"** ცნობით, იტალია-რუმინიის ხელშეკრულება დადებულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრის მიტილენეუს სურვილის წინააღმდეგ, რომელიც წინასწარ განზრახვით არ დაესწრო ხელშეკრულების ხელის მოწერას.

„პოლიტიკა" ამტკიცებს, ვითომც მიტილინეუმ მეფეს მისცა თხოვნა გადადგომის შესახებ.

„ადევერული" იუწყება, რომ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ პარტიას, რომელიც ოპოზიციაში უდგას ავერესკუს მთავრობას, განზრახვა აქვს პროტესტი განაცხადოს მეფის წინაშე ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ.

ფრანკის კურსის დაცემა

ლონდონი, 23 სექტემბერი. პარიზიდან მიღებული ცნობის თანახმად, **პუანკარემ გასცა ბრძანება მოახდინონ სასტიკი გამოძიება ამ უკანასკნელ დღეებში ფრანკის დაცემის მიზეზების შესახებ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ სპეკულიაციის ცენტრი იმყოფება არა ლონდონში ან ნიუ-იორკში, არამედ თვით პარიზში. დამნაშავენი არა უცხოელებია,** არამედ ფრანგები.

პარიზი, 22 სექტემბ. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც **ბრიანი** კითხულობდა მოხსენებას შტრეზემანთან მოლაპარაკების შესახებ, ჩატარდა ფრანკის კურსის დაცემის ძლიერი გავლენის ქვეშ.

არსებობდა საფრთხე, **რომ მთავრობა ში გაჩენილი უთანხმოება გამოიწვევდა** საფრანგეთის ვალიუტის სავსებით დაცემას. ამით აიხსნება მინისტრთა საბჭოს დადგენილება გერმანიასთან მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

ინგლისის ამბები

უკანასკნელი ცნობები

მემელის საკითხი

ბერლინი, 22 სექტ. ერთა ლიგის საბჭომ ერთხმად დაადგინა გადასდოს მემელის საკითხის განხილვა.

ქარიშხალი პარაგვაიში

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. ქალ. კონსეპხონზე (სიდიდით მეორე ქალაქია პარაგვაიში) გადაიარა ქარიშხალმა, რომელმაც დახოცა 200 კაცი. ქარიშხალმა დაანგრია 1000 სახლი. ნაოხნობა სავსებით განადგურდა.

ქურთების აჯანყება სპარსეთში

თეირანი, 23 სექტემბერი. ურმიის ტბის სამხრეთით დასახლებულ ქურთების ტომების აჯანყებას ლიკვიდაციას უხდენენ. იტყობინებიან, რომ აჯანყების მეთაური სოლარ-ედ-დოვლე გაიქცა ოსმალეთის საზღვრებისაკენ. აჯანყებულთა მოწინავე რაზმები ქალ. ურმიის ახლო არიან. ტბის მოპირდაპირე მხარეზე ევაკუაცია კვლავ სწარმოებს. მირანიდან იუწყებიან იმის შესახებ თითქო მთავრობის ჯარებსა და ადგილობრივ ტომებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან ინგლისელებთან მოხდა შეტაკება. სპარსეთის ყურესთან მდებარე ქალ. ფარსისტანში მღელვარებაა.

უარჰყვეს

პარიზი, 23 სექტემბერი. პარიზში შემდგარმა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ინტერნაციონალის ყრილობამ უარყო საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგ. მუშაკთა პროფკავშირის წინადადება ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

ვალის გადახდა

ლონდონი, 23 სექტემბერი. გუშინ ინგლისის ხაზინაში შემოვიდა საფრანგეთიდან 2 მილიონი გირ. სტერლინგი ინგლისის სამხედრო ვალის დასაფარავად. ამდენივე თანხა შემოვიდა ინგლისის ხაზინაში იტალიიდან.

პრიმა-დე-რივერას მდგომარეობა კრიტიკულია

ბერლინი, 23 სექტემბერი. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით, ესპანეთის პოლიტიკურ წრეებში არსებობს ტენდენცია ახალი მთავრობის შედგენისა და საგარეო პოლიტიკის შეცვლის სასარგებლოდ. მეფისა და მთავრობის შორის გამართულ თათბირს საიდუმლოდ ინახავენ.

პრიმა-დე-რივერა მოულოდნელად გაემგზავრა სან-სებასტიანოდან მადრიდში.

კონფლიქტის შესაძლებლობა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. კომიტეტმა (დამასინჯებულია)..., რომელიც შესდგება ლიბერალურ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებისაგან, დეპეშით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს კელოგს; სადაც მოითხოვს ახსნას, თუ ვისი განკარგულებით იმყოფებიან ჩინეთის ზღვაზე ამერიკის სამხედრო გემები. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ამერიკის გემების ჩინეთის საკუთარ ზღვებში შესვლა ჰქმნის კონფლიქტის შესაძლებლობას.

ჟენევის განიარაღება

პარიზი, 23 სექტემბერი. ჟენევაში განიარაღების კომისიის მომხსენებელმა პოლ ბონკურმა აღნიშნა, რომ განიარაღების საკითხი ერთა ლიგის წარმოშობის საფუძველია; წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ამ საკითხისათვის წინ წავიდა და იმედს გვაძლევს, რომ კონფერენცია მოწვეულ იქნება 27 სექტემბერს. საფრანგეთის თვალსაზრისის თანახმად, კონფერენციას არ ექნება მისია, რომ ვალდებული გახადოს სახელმწიფოები შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის საკითხში.

შტრეზემანის სიტყვა ჟენევაში

პარიზი, 23 სექტემბერი. გაზეთები გადმოგვცემენ შტრეზემანის სიტყვას, რომელიც წარმოსთქვა მან გუშინ გერმანელთა ახალშენში ჟენევაში. ამ სიტყვაში გაკვრით იყო ნათქვამი საარის პროვინციაში პოლიტიკურ პლებისციტის გაუქმების შესახებ, რეინლანდიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე და ხალხთა უფლებებზე, რომლის ძალით თვით მას შეუძლია განაგოს თავისი ხვე-ბედი.

გაზეთების უმრავლესობა, ხაზს უსვამს რა სიტყვის ამ ადგილს, აღნიშნავს, რომ აქ არაფერია თქმული სათანადო ღონისძიების და ტაქტიკის შესახებ. გაზეთები დაჟინებით მოითხოვენ, რომ სიტყვა კიდევაც სწორად, რომ არ იყოს გადმოცემული, მაინც საჭიროა დიდი სიფრთხილე ტუარისაკენ გახსნილ გზით სვლის დროს.

ორი პროკლამაცია

პარიზი, 23 სექტემბერი. ინგლისის მეფემ ხელი მოაწერა ორ პროკლამაციას. ერთი შეეხება ერთი თვით განსაკუთრებული მდგომარეობის გაგრძელებას და მეორე—ორშაბათს პარლამენტის მოწვევას.

ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის წერილი

მოსკოვი, 23 სექტემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციიდან 16 სექტემბერს ამხ. ტომსკის სახელზე მიიღო შემდეგი წერილი:

„ძვირფასო ამხანაგო! თქვენი წერილი წაუკითხეთ სამთამადნო მუშების კომიტეტს, რომელმაც დამავალა მე გამოგიცხადოთ თქვენ დიდი მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელსაც გვიწევდით დიადი ბრძოლის განმავლობაში. მემაღაროეთა ფედერაციის თავმჯდომარე და სხვა ოფიციალური პირები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ თქვენ მხარს გვიჭერდით ჩვენი დიდი გაჭირვების დროს. არასოდეს არ დაივიწყებენ მუშები, რომ ისინი დავალებული არიან რუსი მუშების წინაშე და ეს ხელს შეუწყობს ჩვენ შორის ურყევი ძმობის განმტკიცებას. გისურვებთ გამარჯვებას თქვენს დიად მუშაობაში. ძმური სალამით ბრიტანეთის სამთამადნო მუშათა კავშირის მდივანი ა. კუკი“.

საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება

ბუნდოვანი მოლაპარაკება

ლონდონი, 22 სექტემბ. სარწმუნო წრეებში ამტკიცებენ, რომ მოლაპარაკებას ბრიანსა და შტრეზემანს შორის იმდენად ბუნდოვანი და ზოგადი ხასიათი ჰქონდა, რომ ვერც ერთ საკითხზე ვერ მიაღწიეს კონკრეტიულ წინადადებებს.

შტრეზემანი ამშვიდებს

ბერლინი, 23 სექტემბერი. იმ აღელვების დასამშვიდებლად, რომელიც გამოიწვია გუშინდელმა განცხადებამ, შტრეზემანმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ტუარში ევროპის ტერიტორიის ახალი განაწილების საკითხი არ დასმულა. რაც შეეხება საარს, მას სურდა მხოლოდ გაკვრით შეხებოდა მომავალ პლებისციტის საკითხს.

ავსტრია და სამხრეთ-სლავია

ვენა, 22 სექტემბ. ავსტრიის გაზეთები იტყობინებიან, რომ სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნინჩიჩმა და ავსტრიის პრემიერმა რამეკმა ჟენევაში ხელი მოაწერეს საარბიტრაჟო ხელშეკრულებას ავსტრიასა და სამხრეთ - სლავიას შორის.

პოლონეთის ციხეებში

ვარშავა, 22 სექტემბ. უცხოეთის პრესის კამპანიამ და სემპოლოვსკის ღია წერილით მიმართვამ პილსუდსკისა და მაკოვსკისადმი აიძულა მთავრობის წრეები მოეხდინათ ახსნა განმარტება პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის შესახებ.

ოფიციალური ორგანო „კურიერ პოლსკი“ სწერს, რომ სემპოლოვსკი სწორად არ აღნიშნავს დატყვევებულთა რიცხვს და იმ რეპრესიებს, რომლებიც ციხეებში ხდებოდა.

პილსუდსკის გაზეთ „გოლოს პრავდაში“ მოყვანილია იუსტიციის მინისტრის მაკოვსკის საუბარი; ის უარს ჰყოფს ბერნარის წერილების შინაარსი პოლონეთში თეთრი ტერორის შესახებ. ბერნარის წერილები დაბეჭდილი იყო ფრანგულ გაზეთ „პარი სუარში“. მაკოვსკი აცხადებს, რომ პოლონეთის ციხეებში მოთავსებულია არა 6.000, არამედ 2.000 პოლიტიკური პატიმარი. მცირე-წლოვანი პატიმრები, მაკოვსკის სიტყვით, ციხეებში არ მოიძებნება, რადგან განკარგულების თანახმად 14 პოლიტიკური პატიმარი, 18 წელზე ნაკლებ ხნისა განთავისუფლებულია.

პოლიტიკურ პატიმართა ცემის ფაქტს მაკოვსკი უარს ჰყოფს, მაგრამ აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ პატიმართა და ციხის ადმინისტრაციას შორის ჩხუბი ხდება.

ფეიქართა კონფერენცია

მოსკოვი, 23 სექტემბერი. პროფინტერნის აღმასბიურომ გადაწყვიტა მოიწვიოს საფრანგეთში ნოემბრის დამლევს რევოლიუციონურ ფეიქართა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის მოწვევა დანიშნულია იმ დროისათვის, როცა იკრიბება საფრანგეთის ფეიქართა უნიტარული კავშირის კონგრესი.

საჰაერო გადაფრენები

„ლიუფტ-ჰანზა“

მოსკოვი, 23 სექტემბერი. 22 სექტემბერს პეკინიდან მოსკოვში მოფრინდა გერმანიის საზოგადოების „ლიუფტ-ჰანზას“ საჰაერო ექსპედიცია. გერმანიის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულმა გერმანიის მთავრობის სახელით მადლობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას გადაფრენაში აღმოჩენილი დახმარებისათვის. ასეთ გადაფრენას შეუძლია დაამყაროს საჰაერო კავშირი ევროპასა და აზიას შორის.

ექსპედიცია გაფრინდება მოსკოვიდან ბერლინში 24 სექტემბერს.

ბერლინ - მოსკოვ - პეკინი

მოსკოვი, 23 სექტემბერი. „ლიუფტჰანზას“ საჰაერო ექსპედიციის ხელმძღვანელმა დოქტორ კნაუსმა საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „ბერლინ-მოსკოვ - პეკინის ხაზით წესიერი მიმოსვლის პირობები სავსებით დამაკმაყოფილებელია. დასავლეთ ციმბირში საჰაერო მიმოსვლის პირობები უფრო დამაკმაყოფილებელია, ვინემ ევროპაში.

რუმინეთ-გერმანიის ურთიერთობა

ვარშავა, 22 სექტემბ. „დოიჩე ესტერრეიხიშე ტაგესცეიტუნგ“-ის (პანგერმანელთა პარტიის ორგანო, რომელიც ვენაში გამოდის) ცნობებით, ჟენევაში შტრეზემანის მიერ ავერესკუსთან წარმოებული მოლაპარაკების შემდეგ, რუმინეთი ამზადებს საარბიტრაჟო ხელშეკრულებას გერმანიასთან. ხელშეკრულების მიზანია ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატებისაგან სესხის მიღება გერმანიის შუამავლობით.

მელონის გასტროლების შემდეგ

ნიუ-იორკი, 22 სექტემბ. ევროპიდან დაბრუნებული ფინანსთა მინისტრი მელონი არავითარ ცნობას არ აქვეყნებს იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც მას ჰქონდა ევროპიელ ფინანსისტებთან. მან გამოსთქვა მხოლოდ წინასწარმეტყველება, რომ ახლო მომავალში საფრანგეთის მთავრობა რატიფიკაციას მოუხდენს იმ შეთანხმებას, რომელიც ეხება შეერთებულ შტატების ვალების საკითხის მოგვარებას. მელონი წინააღმდეგია მოკავშირე სახელმწიფოთა შორის არსებული ვალების გაუქმებისა.

მოტოციკლეტების გადარბენა

ვარშავა, 22 სექტემბ. მოსკოვ-ბერლინში სამოტოციკლეტო გადარბენაში მონაწილე ზატულინი 22 სექტემბერს მიემგზავრება ბერლინში. გადარბენა მოაწყო ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ. 20 სექტემბერს ვარშავიდან 20 კილომეტრის დაშორებით ზატულინს გაუფუჭდა მოტოციკლეტი. მწევი ჯაჭვის გაწყვეტის გამო მოტოციკლეტი გადავარდა თხრილში. ზატულინი უვნებლად გადარჩა.

იაპონიის მუშების ბრძოლა

ტოკიო, 22 სექტემბ. 20 სექტემბერს დაიხურა იაპონიის მემარცხენე პროფკავშირთა გაერთიანების — ხიოგიკაის ყოველწლიური კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 239 დელეგატმა და 1.500 დამსწრემ. წარმოდგენილი იყვნენ თითქმის ყველა მუშათა ორგანიზაციები, გარდა რეფორმისტულ პროფკავშირთა გაერთიანების — სოდომეისა.

მუშათა ორგანიზაციის დელეგატები ჰიოგიკაის სახით მიესალმენ მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლს.

კონფერენციამ კუკს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც იგი ესალმება ინგლისის სამთამადნო მუშებს მათ ბრძოლაში; კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ჩინეთის შრომის ფედერაციას კანტონში ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებათა გამო და პროტესტი ინგლისისა და იაპონიის მიერ ჩინეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ.

მაღალი „კონიუნქტურა“ და უმუშევართა დახვრეტა

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

გერმანიის ეკონომიური პრესა ამჟამად სიხარულით აღწერს გერმანიის სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის წარმატებებს. წარმტაც ფერადებში ხატავენ სამეურნეო აღორძინების პერსპექტივებს, ზედმიწევნით აღწერენ „ბრწყინვალე კონიუნქტურას“ აწმყო და მომავალ სიკეთეს, ლაპარაკობენ გერმანიის „არაჩვეულებრივ სამრეწველო სამეურნეო აღორძინებაზე“ და მისი აქტივობის მომავალ გაშლა - გაფართოების შესახებ საგარეო ბაზარზე; აყენებენ აგრეთვე გადაჭარბებულ საოცნებო თეზისს გერმანიის „ევროპიულ ამერიკად“ გადაქცევის შესახებ.

გერმანიის კაპიტალიზმი უკანასკნელ თვეებში მართლაც შევიდა ერთგვარ აღორძინების ხანაში. უცხოელთა კრედიტების და განსაკუთრებით, ამერიკელთა კრედიტების დენამ გაანაყოფიერა და დღესაც ანაყოფიერებს გერმანიის მრეწველობას. გერმანიამ თავი დააღწია წარსულის მწვავე კრიზისს, რომლის დროს მთელი გერმანია მოცული იყო ბანკროტობის უდიდესი ქარცეცხლით.

ცოტა რამ არ „მოიგო“ „გერმანიის კაპიტალმა“ ინგლისის გაფიცვითაც. ქვანახშირის ამოღება რურის რაიონში საგრძნობლად გაიზარდა: აპრილში ამოიღეს—7,76 მილ. ტონა, ივლისში კი—10,7 მილ. ტონა. ძალიან გაიზარდა ქვანახშირის ექსპორტი. ფოლადის წარმოებამაც იმატა: აპრილში იყო 867 მილ. ტონა, ივლისში კი—1.022.000.000 ტონა. ტეხნიკური პროგრესი ემჩნევა ქიმიურ მრეწველობასაც. შეუჩერებლად მიდის წარმოების „რაციონალიზაცია“, რომელიც არსებითად მდგომარეობს მუშის ენერგიულ ექსპლოატაციაში. გამალებით სწარმოებს მრეწველობის კონცენტრაცია და ტრესტიფიკაცია. ტრესტიფიკაციის პროცესი სწარმოებს თადარიგიანათ და მეტის დაკვირვებით, ვიდრე ეს ხდებოდა ინფლიაციის პერიოდში როცა ერთ ხელში გროვდებოდა ყველაფერი: რკინის წარმოება, საპონის წარმოება, მიწისქვეშა გზები, სასტუმროები, პატივცემული გაზეთების რედაქციები. ეხლა ტრესტიფიკაციის პროცესი უმთავრესად ჰორიზონტალური ხაზით მიიმართება, — ერთიანდებიან ერთგვარი წარმოებანი.

მაგრამ ეს მაინც სერიოზულ საფუძველს არ წარმოადგენს დიდი აღტაცებისთვის მომავლის პერსპექტივების წინაშე! მეტად ბევრია „ბნელი წერტილები“. გერმანიის სამეურნეო ორგანიზმს ღრღნის „დისპროპორციათა“ მთელი რიგი. აშკარად სჩანს შეუსაბამობა არსებულ საწარმოო გაქანებათა და საწარმოო შესაძლებლობას შორის. წარმოება ნორმალურათ „დატვირთული“ არ არის. გარდა ამისა, შინაური ბაზრის ბაზისი მეტად ვიწროა და ის გენერალური ძარცვა-გლეჯა, რომელიც ხდებოდა ინფლიაციის დროს, როცა ექსპროპრიაცია მოუხდინეს წვრილ - ბურჟუაზიულ ფენებს, ეხლა შურს იძიებს საფუძვლიანად.

საგარეო სავაჭრო ბრუნვაც უკან რჩება კაპიტალის დაგროვების ტემპს სახელმწიფოში. საგარეო ბაზარი შევიწროებულია და ხელოვნურად ვიწროვდება იმ დაბრკოლებათა გამო, რომელსაც ქმნიან გერმანიის ექსპორტისათვის გერმანიის კეთილ მოსურნე კოლეგები ეგრედ წოდებულ „ხალხთა ოჯახიდან“.

ყველაზე უფრო წინააღმდეგობით აღსავსე და თავისებური მოვლენა გერმანიის სახალხო მეურნეობაში არის სამრეწველო სარეზერვო არმიის არაჩვეულებრივი სიდიდე. მიუხედავად „მაღალი კონიუნქტურისა“, მიუხედავათ რაციონალიზაციისა, ანუ უკეთ, სწორედ „რაციონალიზაციის“ მეოხებით, უმუშევრობას სრულიათაც არ ელება ბოლო.

სექტემბრის დასაწყისისათვის სამრეწველო პროცესში ჩაბმულ პროფკავშირთა წევრები, შეკავშირებულ მუშათა საერთო რიცხვის მხოლოდ 65 პროც-ს შეადგენდნენ. უმუშევრები და ეგრედ-წოდებულნი „ნახევრადმომუშავე“ მუშები ამჟამად, „მაღალი კონიუნქტურის“ დროს, საერთოდ შეადგენენ არანაკლებ 3 მილ. კაცისა.

სამი მილიონი უმუშევარი და ნახევრად-უმუშევარი—ეს ის ფასია, რომელსაც იხდის გერმანიის მუშათა კლასი „მაღალი კონიუნქტურისა“ და „რაციონალიზაციისათვის“. აქ მხედველობაში მიღებული არ არის ის მოგება, რომელსაც იღებს შინაური და უცხო კაპიტალი მომქმედი პროლეტარული არმიისაგან. განა გასაოცარია, რომ გერმანიის მუშათა კლასი აღტაცებში არ მოდის მაღალი კონიუნქტურით და ილაშქრებს კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ? განა გასაოცარია, რომ ბურჟუაზიული გაზეთებიც კი ახასიათებენ „სოციალურ ატმოსფერას, როგორც დამძიმებულს და კლასიური კონფლიქტებით აღსავსეს?“.

განა გასაოცარია, რომ ეხლა მოდაშია „ლეიპარტიადა“ და ვაჭრობა სწარმოებს „გამაფრთხილებელი“ ბლოკის შესაქმნელად ბურჟუაზიისა და გერმანიის სოციალ - დემოკრატების ზედაფენებს შორის?

განა გასაოცარია, რომ მიუხედავად „მაღალი კონიუნქტურისა“ გერმანელი მუშები ათასობის აღტაცებით ისმენენ გერმანელ მუშათა მეორე დელეგაციის ჭეშმარიტ პროლეტარულ სიტყვებს საბჭოთა კავშირის შესახებ?

დღევანდელი დეპეშები იტყობინებიან, რომ კაპიტალისტები მხეცურად გაუსწორდნენ უმუშევრებს ბრესლავლში. რეაქციონურმა პოლიციამ მშვიდობიანი უმუშევარი დემონსტრანტები დახვრიტა. ორი მოკლულია და რამდენიმე დაჭრილი. ამ ვერაგი აქტის „კულტუროსანი“ გმირი სოციალ-დემოკრატი პოლიცეი - პრეზიდენტია. გავიხსენოთ, რომ ჰალეში შარშან მომხდარი დახვრეტის გმირიც სოციალ-დემოკრატი პოლიცეი-პრეზიდენტი იყო.

ბრესლავლში მომხდარ მხეცურ ძალმომრეობას გერმანიის პატიოსანი მუშები და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი გულის-წყრომით და აღშფოთებით უპასუხებს.

ბრესლავლის ამბებს კაცი კარგად უნდა ჩაუფიქრდეს. ბრესლავლის დემონსტრანტების დახვრეტა მნიშვნელოვანი. სიმპტომატიური პოლიტიკური ფაქტია. ეს არ არის სოციალ-დემოკრატი პოლიცეი-პრეზიდენტის უბრალო ინდივიდუალური ჯალათური აქტი, ეს იმ „რაციონალიზაციის“ მოშხამული ყვავილია, რომელიც ახლა გერმანიაში ხორციელდება. ბრესლავლი „მაღალი კონიუნქტურის“ საბედისწერო ჩრდილია. სამი მილიონი უმუშევარი, რომელთა დემონსტრაციებს გერმანიის ბურჟუაზია ხვრეტს, ისეთი ფაქტია, რომელიც ღაღადებს, რომ „მაღალ კონიუნქტურას“ არ ძალუძს კლასობრივი წინააღმდეგობების მიჩქმალვა. გერმანიის ბურჟუაზია იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ამ ფაქტს, მით უმეტეს მას ანგარიში უნდა გაუწიოს გერმანიის მუშათა კლასმა, მან კომუნისტური ავანგარდის ხელმძღვანელობით გადამწყვეტი ბრძოლა უნდა დაიწყოს იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც გერმანიის ბურჟუაზია ანხორციელებს და რომლის შემადგენელ ნაწილებს ფულის მოგება,- უმუშევრობა და დაბალი სამუშაო ქირა წარმოადგენს.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 23 სექტემბერი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

„ცენტროსოიუზის“ მომჭირნეობა

მოსკოვი, 23 სექტემბერი. „ცენტროსოიუზმა“ მთავარ კანტორაში მოახდინა შტატის შემცირება 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე 150 კაცით., რაიც ყოველ თვიურად იძლევა 12.700 მან. მომჭირნეობას. სულ კანტორაში მომჭირნეობა 1925-26 წ. მეორე ნახევარში აღწევს 1 მილ. მანეთამდე.

კულტკავშირი უცხოეთთან

მოსკოვი, 23 სექტ. საკავშირო „საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ“ მიიღო ჰოლანდიაში შეგროვილი 1,300,000 რვეული საბჭოთა კავშირის მოსწავლეებისთვის დასარიგებლად.

ქალთა შორის მუშაობა

მოსკოვი, 23 სექტემბერი. გაიხსნა შუა-აზიის თათბირი ქალთა შორის მუშაობის შესახებ. საერთო პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებს გარდა თათბირი განიხილავს სპეციფიურ საკითხებს აღმოსავლეთის ქალის განმათავისუფლებელ მუშაობის შესახებ.

საფრანგეთის მეტყავეთა კონგრესი

მოსკოვი, 23 სექტემბერი. მეტყავეთა კავშირის ცეკამ მიიღო მიწვევა საფრანგეთის მეტყავეთა უნიტარული ფედერაციის კონგრესზე, რომელიც შესდგება ნოემბერში.

ბრძოლა ხულიგნობასთან

ხარკოვი, 23 სექტემბერი. სისხლის სამართლის მილიციამ ამ უკანასკნელ დროს გააძლიერა ხულიგნობასთან ბრძოლა, რასაც შედეგად მოყვა ხულიგნობის საგრძნობლად შემცირება. ივნისში აღნიშნული იყო 113 შემთხვევა. აგვისტოში—130, სექტემბერის პირველ ნახევარში—51.

იაროსლავლი, 23 სექტემბერი. რკინის-გზის მოსამსახურეებმა ჩაატარეს პირველი უპარტიოთა ფართო კონფერენცია, რომელიც ეხებოდა ხულიგნობასთან ბრძოლის საკითხებს. პროკურატურას დაევალა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება მილიციის შემადგენლობას. ხულიგნები გაძევებულ უნდა იქნან იაროსლავლიდან.

სალონიკის გამოფენაზე

მოსკოვი, 23 სექტემბ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ ჯერ-ჯერობით სალონიკის გამოფენაზე მონაწილეობის მიღებას აპირებს 40-ზე მეტი ორგანიზაცია; მათ წარმოადგინეს ექსპონატების მდიდარი ასორტიმენტი, რომელიც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის სურათს იძლევა.

საქონლის მიწოდება

მოსკოვი, 23 სექტემბ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე, ამხ. მიქოიანის თავმჯდომარეობით, განხილულ იქნა, საქონლის მიწოდების გეგმა 1926—27 წლის პირველ კვარტალში: მანუფაქტურის, ტყავეულობის და ფეხსაცმელებისა. ბამბის ქსოვილების მიწოდების გეგმა კოლეგიამ განსაზღვრა 5,895 რონოლის რაოდენობით და 20.043.000 მანეთის ღირებულებით. სულზე დაწესებულია 2,9 მეტრი. მატყლის ქსოვილების შემოტანა მთელს საბჭოთა კავშირის პირველ კვარტალში განსაზღვრულია 47.700.000 მანეთის რაოდენობით. ტყავეულობის და ფეხსაცმელების შემოტანის გეგმა მთელს საბჭოთა კავშირისთვის დაწესებულია 34 მილ. მანეთის რაოდენობით.

მამონტის გვამი

ჩიტა, 23 სექტემბერი. სრეტენის ოლქის უსტ-კარის რაიონში ივლისში იპოვეს მთლიანად დაცული მამონტის გვამი. მამონტი ამოთხარეს და ის ამჟამად გაგზავნილია ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიაში სამეცნიერო გამოკვლევისთვის. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა იპოვეს მთლიანად დაცული მამონტის გვამი. ნაპოვნი გვამი წარმოადგენს დიდ ღირებულებას.

ფერგანის ბამბა

კოკანდი, 23 სექტემბერი. ფერგანის მხარის ყველა პუნქტებზე დაიწყო ბამბის მოზიდვა. ამუშავდა ბამბის მსხვილი ქარხნები. სექტემბერში მიღებული იქნება 500.000 ფ. ბამბა.

კონტრაბანდისტების ბანდა

ოდესა, 23 სექტემბერი. გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ ლიკვიდაცია მოუხდინა მსხვილ კონტრაბანდისტების ტრესტს, რომელსაც აგენტებისა და მაკლერების მთელი ქსელი ჰქონდა. კონტრაბანდისტების უმრავლესობა ზღვის გზით მუშაობდა: გემებით შემოქონდა საქონელი იტალიიდან, საფრანგეთიდან, ოსმალეთიდან და ინგლისიდან. ზოგიერთი საქონელი შემოქონდათ რკინისგზის იმ პუნქტებით, რომლებიც პოლონეთის საზღვართან მდებარეობენ. კონტრაბანდასთან ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდენ საბჭოთა მეზღვაურები.

ხელფასის მომატება

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის შრ. სახ. კომისარმა ამხ. შმიტმა განაცხადა შემდეგი:

„საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ა. წ. 21 სექტემბრის თარიღით, ჩამორჩენილ ჯგუფებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ, არის ძალიან დიდი მნიშვნელობის ღონისძიება. განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხელფასის ზრდა არ შეჩერებულა და განაგრძობს ზრდას. საშუალო ხელფ. 1922-23 წლიდან თანდათანობით გაიზარდა 67 პროცენტით. მხოლოდ მაღალ სანარდო შეფასებებით კვალიფიციურ მუშათა ხელფასმა მნიშვნელოვნად გაუსწრო წინ დამხმარე მუშა ძალების ხელფასს. მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გადიდება ყოველთვის შეადგენდა მუშათა მთავრობის მიზანს. ამ მიზნით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები მდაბალ კვალიფიკაციის მუშათა ხელფასის ასაწევად. ეხლახან მიღწეულმა საერთო სამეურნეო მდგომარეობამ საშუალება მოგვცა გაგვეტარებინა ამ დარგში მთელი რიგი ღონისძიებები დაბალი კვალიფიკაციის მუშაკთათვის ხელფასის გადიდების შესახებ. ეს ღონისძიება უნდა გატარდეს ცხოვრებაში ისე, რომ არ მოახდინოს გავლენა ჩვენი ვალიუტის სიმტკიცეზე. ხელფასის გადიდება რეალურ საშუალებათა გადაჭარბებით აუცილებლათ გამოიწვევს ფინანსიურ გართულებებს გარდა ზოგიერთ მერყეობას საქონლის ბაზარზე.

ხელფასის აწევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ წარმოებაზე მომუშავე დაბალ ხელფასის მუშებისათვის. ქვანახშირის და სამადნო მრეწველობებში ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ მუშებს უნდა გაუდიდდეთ ძირითადი განაკვეთი 10 პროცენტით. ცალკე წარმოებებში, როგორიცაა ლითონის, საფეიქრო, ქიმიურ მრეწველობებში და რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა წარმოებებში დაბალ ჯგუფის მუშებს გაუდიდდებათ ხელფასი კოლხელშეკრულებების გადასინჯვის დროს რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მასწავლებლების, ექიმების, აგრონომების და სხვ. ხელფასის გადიდების საკითხი განსაკუთრებით იქნება განხილული. ხელფასის გადიდებასთან პარალელურათ უნდა გატარდეს ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ აპარატის შესანახი ხარჯების შემცირება,როგორც სახელმწიფო, ისე სამეურნეო ბიუჯეტზე მყოფ წარმოება - დაწესებულებებში.

მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს შრომის ნაყოფიერების აწევას. ამ მიზნით უნდა იქნეს მიღებული გადამწყვეტი ზომები გულგრილობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ“.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ხულიგანის დახვრეტა

ბაქო, 23 სექტემბერი. აზერბეიჯანის ცაკმა უარყო შუამდგომლობა ინჯევატკინის შეწყალების შესახებ, რომელსაც საოლქო სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა მუშის მოკვლისა და ხულიგნობისათვის. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

მსახიობის მივლინება

ბაქო, 23 სექტემბერი. განსახკომი აგზავნის მოსკოვში თურქთა სახელმწიფო თეატრის მსახიობს დარაბლინსკის უმაღლესი თეატრალური განათლების მისაღებად.

ღვინო

ბაქო, 23 სექტემბერი. მიმდინარე სეზონში „აზღვინო“ ამზადებს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულ გეგმაზე 30% მეტ ღვინოს. ღვინის დამზადება მოხდება აგდამის, გეოქჩაისა და ქურდამირის რაიონებში.

ბამბის თესლი

ბაქო, 23 სექტემბერი. სხვადასხვა ხარისხის თესლის მისაღებად, აზერბეიჯანის მებამბეობის კომიტეტმა დათესა 8,000 დესიატინა მიწა სხვადასხვანაირი თესლით.

დახმარება შვებულ წითელარმიელებს

ბაქო, 23 სექტემბერი. წითელ ჯარის ნაწილებში მოსალოდნელ დემობილიზაციის ჩატარების გამო, დემობილიზაცია ქმნილთათვის დახმარების აღმომჩენ კომისიას გამომუშავებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებანი. კომისია შესაძლებლად სცნობს მიეცეს თვითეულ დემობილიზაციაში მოხვედრილ წითელ არმიელს ყოველდღიურად 50 კაპ. ნატურით. მოეწყო ერთი შენობა საერთო საცხოვრებლად და აღძრულია შუამდგომლობა ბაქოს საბჭოსთან დამატებით შენობის აღმოსაჩენად. დემობილიზაცია ქმნილი არმიელების ნაწილი განაწილებული იქნება მობილიზაციით გაყვანილ 1904 წელში დაბადებულთაგან განთავისუფლებულ ადგილებზე; ნაწილი ჩაბმული იქნება საზოგადო სამუშაოებზე. უფროსთა შემადგენლობას მიეცემა ერთდროული დახმარება 20 მანეთის რაოდენობით. შეიქმნა განსაკუთრებული კომისია ამხ. მუსაბეკოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაეკისრა უფროსთა შემადგენლობისათვის ადგილების აღმოჩენა. ყველა მაზრებში დაარსდა ასეთივე კომისიები.

უმიწაწყლო გლეხების მოწყობა

ბაქო, 23 სექტემბერი. აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობებით, აზერბეიჯანში 494.537 უმიწაწყლო გლეხია. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის გეგმით განზრახულია 4.000 ოჯახის მოწყობა ახალ ადგილებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას გეგმა აქცევს გადასახლებულებისათვის სესხის მიცემას. სესხის რაოდენობა განისაზღვრება 400 მან. ყოველ ოჯახზე. მთელი წლის განმავლობაში სულ გაიცემა 1.600.000 მან. სესხი. საექიმო დახმარებისათვის საჭირო იქნება 158.095 მან. ჭებისა, წისქვილებისა და სასკოლო შენობების ასაგებად—849.000 მან. ახალ ადგილებზე გადასახლებისათვის—50.000 მან. სულ გადასახლების საქმისათვის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი თხოულობს 2.799.684 მან. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის გეგმის განხილვის შემდეგ გადასახლებულ გლეხთა ოჯახების რიცხვი შეამცირა 4000-დან 3.000-მდე. თანხა კი 1.800.000 მანეთამდე.

სომხეთი

ანტირელიგიური პროპაგანდა

ერევანი, 23 სექტემბერი. მომავალ კვირას ერევანში ვიღაც „ძველმა ბერმა“ გამოუშვა ბროშიურა, რომელშიც მოსახლეობას მოუწოდებს არ მოატყუილებინონ თავი ეჩმიაძინელ მამებს, რომლებსაც ამ რელიგიური აქტით სურთ მშრომელთა გაყვლეფა.

ბროშიურის 5.000 ეკზემპლიარი ერთ დღეში გასაღდა.

პარტიული ცხოვრება

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის დადგენილება

მოსკოვი, 23 სექტემბერი. 16 სექტემბერს ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ვოიოვიჩის შესახებ. პრეზიდიუმმა 29 ხმით ორის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი, გაეცნო რა ვოიოვიჩის საქმეს, რომელიც მოხსენებულია საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუციაში, აღნიშნავს, რომ ვოიოვიჩმა ბოროტად გამოიყენა ახალგაზრდობის კომინტერნის მდივნის თანამდებობა იმ მხრივ, რომ ის ეწეოდა სრულიად დაუშვებელ კონსპირატიულ და აშკარად ფრაქციულ მუშაობას (კომინტერნის სექციებში რწმუნებულების გაგზავნის ცდა, შიფრი და სხ.), რომელიც მიმართული იყო კომინტერნის მთლიანობის წინააღმდეგ, ვოიოვიჩმა არ გაამართლა კომინტერნის იმედი, რომელმაც მას ჩააბარა კომინტერნის მდივნის საპასუხისმგებლო თანამდებობა. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომელიც გადაჭრით გმობს ვოიოვიჩის მოქმედებას, აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვის გამო, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ის დაჟინებით განაგრძობს თავისი ფრაქციული თვალსაზრისის დაცვას, შეუძლებლად მიაჩნია მისი მუშაობის გაგრძელება. ახალგზ. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს: განთავისუფლებულ იქნას ვოიოვიჩი კომინტერნის აღმასკომის მდივნის თანამდებობიდან და ეს გადაწყვეტილება გადაეცეს განსახილველად კომინტერნის აღმასკომის მორიგ პლენუმს. ვოიოვიჩის შემდეგი მუშაობის საკითხი შეთანხმებულ იქნას კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმთან“.

რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს ვოიოვიჩმა და მიხალეცმა.

პარტიული მუშაკები საკონცესიო და კერძო წარმოებებში

მოსკოვი, 21 სექტემბერი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკამ მოისმინა რა მოხსენება, პარტიულ მუშაკთა მდგომარეობის და ამოცანების შესახებ საკონცესიო და აგრეთვე კერძო წარმოებებში, დაადგინა: პარტიულ ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას შეიცავს, საკონცესიო და კერძო წარმოებების მუშათა და მუშა-ქალთა ეკონომიურ, კულტურულ და ყოფაცხოვრების ინტერესების დაცვის საქმეში ხელმძღვანელობის გატარება, რისთვისაც მუშათა მატერიალურ და ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებელ ყოველდღიურ ბრძოლაში, აუცილებელია სავსებით დაცულ იქნეს შრომის კანონმდებლობა. პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა დაბალ პროფესიონალურ ორგანიზაციების გავლენა გაძლიერებულ იქნეს, კერძო და საკონცესიო წარმოებებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული მუშაკების შერჩევას შემფასებელ საკონფლიქტო კომისიებს მუშათა ფრაქციებისათვის და აგრეთვე შრომის დაცვის კომისიაში, ყურადღება უნდა მიექცეს მუშების ინფორმაციის თავის დროზე მოწოდებას შემფასკომის და შრომის დაცვის კომისიის შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნას მუშათა ფართო მასის მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა განხილვა მის დადებამდე და ახსნა-განმარტებას მის დადების შემდეგ.

პარტიულ ორგანიზაციების უახლოეს მორიგ ამოცანას შეიცავს, უპარტიო აქტივის კადრის გაზრდა, მათი საშუალებით მუშათა და მუშა-ქალთა მთელ მასაზე გავლენის უზრუნველსაყოფათ, მასიურ მუშაობაში პარტიულ გავლენის უზრუნველყოფის მიზნით, ცეკამ წინადადება მისცა უჯრედებს რათა უჯრედების კრებებზე, წრეებში და პოლიტცოდნის სკოლებში განუმარტონ კომუნისტებს პარტიის პოლიტიკა, როგორც საკონცესიო, ისე კერძო კაპიტალის მიმართ.

კომკავშირი სოფლად

მოსკოვი, 23 სექტემბერი. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ღარიბ გლეხებს შორის პარტიულ მუშაობაში კომკავშირის მონაწილეობის საკითხი. მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია ღარიბ გლეხობაში კომკავშირის მუშაობის გაძლიერების და მთელი კავშირის, თვითეული უჯრედის და კომკავშირის ამ მუშაობის მნიშვნელობასა და ამოცანებთან ფართოდ გაცნობის აუცილებლობა. კომკავშირი უნდა დაეხმაროს პარტიას ღარიბ გლეხების კრებებზე მიზიდვის საქმეში. ღარიბ გლეხობაში ამ კრებების მნიშვნელობის შესახებ ინდივიდუალური პროპაგანდის გაწევით; აუცილებელია ღარიბ გლეხების კრებებზე კომკავშირის წევრების მუდმივი დასწრება; საჭიროა ზომების მიღება ღარიბ გლეხების კრებებზე რაც შეიძლება მეტი უპარტიო სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბ ახალგაზრდობის მისაღებათ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მოჯამაგირეების აქტიობის გაძლიერებას. ამ მიზნით მომავალში საჭიროა ახალგაზრდა მოჯამაგირეთა კრებების და კონფერენციების მოწვევა, ყურადღება უნდა მიექცეს ამ კრებების და კონფერენციების დღის წესრიგის გაუმჯობესებას იმ მხრივ, რომ საკითხები იყოს კონკრეტული და მოჯამაგირეებისათვის საინტერესო.

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ამას წინად შესდგა არტლეგიონის პარტიის წევრთა, კანდიდატებისა და ა. ლ. კომკავშირელთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებათა შესახებ. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მეორე ქართულ დივიზიის არტლეგიონის პარტწევრების, კანდიდატების და ა. ლ. კომკავშირელთა კრებამ მოისმინა რა მან მოხსენება ცენტრ. კომიტეტის და ც. ს. კ. პლენუმის შედეგებზე, სავსებით იზიარებს „ლენინურ“ ცეკას ხაზს, რომელიც მიმართულია პარტიის რიგების აბსოლიტიური მთლიანობის დაცვისაკენ კრება სავსებით და მთლიანად უერთდება ცეკას დადგენილებას პოლიტ-ბიუროს წევრის ამხ. ზინოვიევის და ცეკას კანდიდატის ამხ. ლაშევიჩის მიმართ, რომლებიც პარტიის შიგნით უსაქციელო მუშაობას აწარმოებდენ.

კრებას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ბოლშევიკური პარტიის რიგებში ცალკე ფრაქციების და ჯგუფების არსებობა და პარტიის უმაღლეს ორგანოს პარტყრილობის დადგენილებათა დარღვევა. კრებას სწამს, რომ პარტიის მთლიანობა ურყევი და მტკიცე იქნება.

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

ნაკლი უნდა მოისპოს

ამჟამად თბილისის ორგანიზაციაში ბიუროების ხელახალი არჩევნები მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები განსაკუთრებული სიცხოველით ტარდება. მოხსენებები საკმაოდ დამუშავებული და საქმიანია, მათ გარშემო გამართულ კამათში პარტიის წევრთა და კანდიდატთა საგრძნობი რიცხვი იღებს მონაწილეობას და კამათიც საქმიან ხასიათს ატარებს, მაგრამ მიუხედავად ამისა არის ზოგიერთი ნაკლი, რომლებზედაც შეჩერება ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია იმ მიზნით, რათა სხვა უჯრედებში აღარ იქნეს ეს განმეორებული.

როგორც ვიცით, თბილისის კომიტეტი ავალებდა უჯრედებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობოდენ გადარჩევის კამპანიას. ცირკულიარულ წერილში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის 1745 ნომერში ნათქვამია. „მოხსენებათა ფართე განხილვისათვის შესაძლებლობის და კამათში ყველა პარტიულთა მიერ მონაწილეობის მიღების მიზნით, თბილისის კომიტეტი იძლევა რჩევას:

1. არ იქნეს მოწვეული უჯრედის კრება მუშაობის გათავებისთანავე.

2. საანგარიშო მოხსენება და კამათი გაგრძელდეს რამოდენიმე სხდომაზე“.

ცხადია თბილისის კომიტეტმა ეს რჩევა იმ მიზნით მისცა უჯრედებს, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ერთი არა სასურველი მოვლენა; უჯრედები ხშირად ერთ კრებაზე ისმენდენ რამოდენიმე მოხსენებას. მოხსენებებს უნდებოდა სხდომების თითქმის მთელი დრო, ხოლო კამათსა და მოხსენებათა გარშემო საქმიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის დრო უკვე აღარ რჩებოდა. გარდა ამისა, კრებები ძალიან ჭიანურდებოდა და მონაწილეთა დაღლის გამო არჩევნებსაც აღარ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად იყო მიცემული დირექტივა უჯრედების ბიუროთა გადარჩევის კომპანიის რამოდენიმე სხდომაზე ჩატარების შესახებ. ეს აღნიშნული ნაკლი მიმდინარე არჩევნებში აცილებულ იქნა თავიდან, მაგრამ სამაგიეროდ ზოგან, მეორე მხრით გადაღუნეს ჯოხი. საქმე ძალიან გააჭიანურეს და არჩევნების ჩასატარებლად ზოგან ოთხი კრებაც კი მოიწვიეს. რასაკვირველია, საქმის ასე გაჭიანურება მიზანშეწონილი და საჭირო არ არის. ჩვენის აზრით ორი კრება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მოსმენილ იქნეს მოხსენებები და მათ გარშემო საქმიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართოს. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია მესამეც დაინიშნოს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის ნამდვილი საჭიროება მოითხოვს.

არის კიდევ ერთი ნაკლი. ზოგიერთ კრებაზე გამოსული ამხანაგები თითქმის ერთ და იმავე იმეორებენ და ამრიგად სრულიად უსარგებლოდ ართმევენ კრებას დროს.

ორივე ეს ნაკლი თავიდან უნდა იქნეს აცილებული იმ უჯრედებში, სადაც გადარჩევა ჯერ კიდევ არ მომხდარა.

ბანიძე.

არ უნდა განმეორდეს

(ზიკოლიეთი, გურია)

სოფელ ზიკოლიეთში კომუჯრედი გასაბჭოების დღეებიდანვე არსებობს. პირველ ხანებში აქ მუშაობა კარგათ მიმდინარეობდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მდგომარეობა სავსებით შეიცვალა.

ცოტათ თუ ბევრათ მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები წავიდენ სოფლიდან ქალაქებში ზოგი სამუშაოთ, ზოგიც სასწავლად და უჯრედი თითქმის დაიცალა. რა თქმა უნდა უჯრედის მუშაობაც შესუსტდა.

ასეთი მდგომარეობა უკანასკნელ ხნობამდის გაგრძელდა. ამჟამათ კი უჯრედში გამოგზავნილ იქნა გამოცდილი ამხანაგი, რომლის მეთაურობით მუშაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. დაარსდა ქალთა წრე, „რემედასის“ უჯრედი, გაიხსნა ქოხ-სამკითხველო და სხვა.

ერთი სიტყვით, უჯრედი გამოცოცხლდა, მაგრამ თუ ისევე განმეორდა, რაც წინად, ე. ი. ამხანაგები კვლავ დაიქსაქსენ, მაშინ მუშაობაც კვლავ შესუსტდება.

უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ უჯრედს თითო-ოროლა მომზადებული ამხანაგი მაინც შერჩეს.

ა. ელენიშვილი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მეაბრეშუმეობის „სპეციალისტები“

საქართველოს მეაბრეშუმეობას ყოველწლიურად საშუალოთ 100.000 კოლ. თესლი ესაჭიროება. როგორც ომამდის, ისე უკანასკნელ ორ წლამდის, უმეტესი ნაწილი აღნიშნული თესლისა შემოდიოდა უცხოეთიდან, მიუხედავათ იმისა, რომ არსებობდა სრული შესაძლებლობა თესლის ადგილობრივ დამზადების.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამას საჭირო ყურადღება მიაქცია: ერთის მხრივ მოწვეული იქნა იტალიელი ფირმა, რომელმაც დაიწყო თესლის მზადება, მეორეს მხრივ კი დიდ დახმარებას უწევდა კერძო გრენიორებს.

კერძო პირებზე დახმარების გაწევამ მეაბრეშუმეობის სათავეში მდგომ ზოგიერთ პირთა მეოხებით, ყოვლად დაუშვებელი სახე მიიღო. ამ დახმარებამ ზოგ ბობოლა მეაბრეშუმეს მოგების უსაზღვრო სურვილი გაუღვიძა. ეს დარგი აშკარად გადაიქცა საკუთარ ძმათა და შვილთა უკანტროლო სათარეშოთ.

ჯერ იყო და არსებობდა გრენიორი, ვიღაც ოგანოვი, რომლის ამხანაგად ითვლებოდა ცნობილ „მეაბრეშუმის“, მოქ. იოსებ ქუთათელაძის ძმა, გ. ქუთათელაძე.

აღნიშნულ კამპანიას საქმის დაწყებისას არ გააჩნდა არავითარი ინვენტარი და ქონება. სათავეში ჰყავდა მხოლოდ ყოვლის შემძლე „მეაბრეშუმეობის ღმერთი“, იოსები. აღნიშნულ თბილ კამპანიას ეძლევა სათესლე პარკი, ავანსები სამუშაოთ, მათვე ეძლევა ქუთაისის საგრენაჟო სადგურის თითქმის მთელი ინვენტარი სახმარებლად. ამრიგათ სახელმწიფოს მიერ გაცემულ პარკით, ფულით და ინვენტარით იწყება და მუშაობს კერძო წარმოება.

იოსების ძმას გედევან ქუთათელაძეს არ ჰყოფნის ხელისუფლების ასეთი გულუხვობა და გარდა მეთესლეობისა კიდევ განაგრძობს კერძო საქმეების ვაჭრობას, ბოლოს რესტორანსაც ხსნის ქართულ კლუბის გვერდით. წლები გადის. ხელისუფლების გულუხვობა უფრო იზრდება. იოსები ზევით იწევს: მეაბრეშუმეობის მთავარი ინსტრუქტორი, ქუთაისის საგრენაჟო სადგურის გამგე, ამხ. „აბრეშუმის“ გამგეობის წევრი და სხვა უფლებებით აღჭურვილი არის იოსებ ქუთათელაძე გედევანის ძმა.

ოგანოვთან ამხანაგობა „ძმას“ უკვე არ აკმაყოფილებს: წარმოების გაზრდა საშიში არის—დიდ წარმოებას მთავრობა მოინდომებს ამ გასაჭირიდან ახალი ხერხი მოიგონეს. გედევანი ეყოფა ოგანოვს და ამხანაგობა „გრენიორის“ სახელით იწყებს კერძოთ წარმოებას.

ამ დღიდან რესტორანს საბოლოოთ კეტავს და მეთესლეთ იქცევა; მას ასეთი უებარ გარდაქმნის სრულიად არ ეშინია, ვინაიდან ყოვლის მცოდნე ძმა გვერდით ჰყავს. იწყება უხვი დახმარებები და გედევანი თესლს ათასი კოლოფობით ამზადებს. მხოლოდ ყველამ იცის თუ რა იგემა ჩვენმა გლეხობამ გასულ წელს „გრენიორის“ თესლიდან—ეს თვით გლეხობის მეაბრეშუმეებს ვკითხოთ: თესლი თითქმის მთლიანად წახდა. გლეხს ტყავი გაძვრა, ძმ. ქუთათელაძეებმა კი ჯიბე გაისქელეს.

კანტროლს არავინ უწევს; ქუთათელაძეებს უფრო ელვიძებათ მადა: იოსებს ჰყავს ვაჟი, მართლა ნიჭიერი და დარბაისელი ახალგაზრდა. ის დაინტერესებულია მეაბრეშუმეობის საქმით. ნაცვლად იმისა, რომ „საზოგადო მოღვაწე“ მამამ თავის ვაჟი საზოგადო მუშაობაზე დააყენოს, ის უხსნის შვილს ცალკე საგრენაჟო წარმოებას, აძლევს თანხას და შესაძლებლობას კერძო მწარმოებლად გადაიქცეს. ამრიგად წელს ჩვენ მოგვევლინა ახალი გრენიორი მრეწველი—იოსების ვაჟი.

არის თუ არა ეს საქმის გამასხარავება და უსაზღვრო აღვირ-ახსნილობა? რა გარანტია გვაქვს ჩვენ რომ ძმისა და ვაჟის მრეწველობის უკან არ იმალება თვით „საზოგადო მოღვაწე“, იოსებ ქუთათელაძე?

წავიდეთ წინ—გავარკვიოთ ვინ აწესებს თესლის ფასებს და მისი კონტროლის წესს.

არსებული წესის მიხედვით კერძო მეთესლეებს ეძლევათ თესლში ის ფასი, რაიც უჯდება თესლი სახელმწიფო საგრენაჟო პუნქტს და ამ ფასზე კიდევ ემატება მოგების განსაზღვრული პროცენტი. სახელმწიფო გრენაჟის თვითღირებულების გაზრდაში იოსებს დიდი როლი შეუძლია ითამაშოს, როგორც ს-ბა „აბრეშუმი“-ს გამგეობის წევრს და რესპუბლიკის მთავარ ინსტრუქტორს. მეორეს მხრივ ფასების გადიდებაში სასტიკად არის დაინტერესებული იგივე იოსები როგორც ძმა და მამა ორი კერძო მეთესლესი (კერძო მეთესლე სულ სამია საქართველოში—აქედან ორი იოსების ძმა და შვილი).

ამის გარდა სახელმწიფო გრენაჟი გაცილებით ძვირი ჯდება რადგანაც იქ დამზადება სწარმოებს სასტიკ კონტროლის ქვეშ და ნორმალურ პირობებში, რაიც მეტ ხარჯებსაც მოითხოვს. პირიქით კერძო გრენიორები ალახმა უწყის რა პირობებში და როგორ ამზადებენ თესლს.

დამზადებული თესლის საბოლაო კონტროლი და ბანდეროლის შემოკვრაც მოქ. ქუთათელაძის გავლენის ქვეშ სწარმოებს.

დიდი გავლენა აქვს სადგურის გამგე მოქ. ივანოვზე. მოქ. ქუთათელაძე დაინტერესებულია, რომ კერძო პირთა ნაწარმოები თესლი არ დაიბრაკოს. აშკარა და უდაოა, რომ გუშინდელ სწავლა-დამთავრებულ შვილს საბრუნავი თანხა მამამ მისცა და ყოველი კოლოფი თესლის „დაბრაკვა“ თვით იოსების ზარალია.

ასეთია ჩვენი მეაბრეშუმეობის „პაპაშის“ იოსებ ქუთათელაძის მუშაობის შედეგი. ეს მხოლოდ მეთესლეობის დარგში. სხვა დარგებზე ეხლა აღარ შევჩერდები.

საჭიროა ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს მუშ. და გლეხთა ინსპექციამ.

მეაბრეშუმე.

ნუ „დავამჟავებთ“ დადგენილებებს

ხშირად ხდება, რომ საწარმოო თათბირს გამოაქვს მეტად საგულისხმო და პრაქტიკული მნიშვნელობის დადგენილება. თათბირი ერთხმად იზიარებს დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ გადის დრო, ხანი და დადგენილებები ოქმის იქით გასაქანს ვერ პოულობენ.

თქმა არ უნდა, საწარმოო თათბირს არ შეუძლია უკარნახოს ადმინისტრაციას ამ თუ იმ ნაბიჯის აუცილებლად გადადგმა. ადმინისტრაცია თვით ღებულობს უშუალო მონაწილეობას თათბირის მუშაობაში და დადგენილებებიც უმეტეს შემთხვევაში შეთანხმებით გამოაქვთ. ამრიგად ჩვენ ვლაპარაკობთ სწორედ ისეთ შემთხვევებზე, როცა საწარმოო თათბირის დადგენილებას ადმინისტრაცია ერთსულოვნათ იზიარებს და ამავე დროს ერთსულოვნადვე ამჟავებს „საქმეებში“.

ცხადია, ასეთ პირობებში საწარმოო თათბირების გამოცოცხლებაზე ლაპარაკი უბრალო წყლის ნაყვაა. რა ეთათბირება მუშას, როცა ის ხედავს, რომ ერთხელვე გამოტანილი დადგენილება ადმინისტრაციამ ცალ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა. ამიტომაა, რომ ხშირად, როცა რომელიმე წარმოებაში წამოიჭრება საკითხი საწარმოო თათბირის გამოცოცხლების შესახებ, მუშები ხელის ჩაქნევით გიპასუხებენ: „ჯერ, რაც დავადგინეთ, ის გავატაროთ ცხოვრებაში და შემდეგ ვიზრუნოთ თათბირის მოწვევაზეო“.

რატომ ხდება ეს? რას უნდა მიეწეროს, რომ თათბირის მიერ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გამოტანილი დადგენილებანი ჰაერში გამოკიდებული რჩებიან? ამის მიზეზი მრავალია. ყველას ჩამოთვლა აქ ზედმეტია. აღნიშნავთ მხოლოდ ორ მათგანს: ერთია ბიუროკრატიზმი და ადმინისტრატიული მედიდურობა; მეორე—დადგენილებათა მიზანშეუწონლობა, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა, რომლის გატარებაც საზარალო და მიუღებელია.

პირველ შემთხვევაში ადმინისტრაციას ფორმალურად არ შეუძლია წინააღუდგეს თათბირის დადგენილებას და ის სიტყვიერათ თანხმდება დადგენილებებზე. ნამდვილად კი, ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება მას საკუთარი კომპეტენციის შეზღუდვათ მიაჩნია და ყოველნაირად ცდილობს თათბირის დადგენილებების მიფუჩეჩებას. ასეთი მედიდური ადმინისტრატორები საკმაოთ მოიძებნება ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში და სწორეთ მათი წყალობითაა, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა ეცემა

მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს ისეთ გარემოებას, როცა დადგენილება გამოაქვთ ნაუცფათევათ და საკითხის დაუმუშავებლად. ცხადია ასეთი დადგენილების განხორციელება მიუღებელი და მიზანშეუწონელია.

ყველა ეს დაბრკოლებანი უნდა მიღებულ იქნან მხედველობაში, როცა ლაპარაკია საწარმოო თათბირების გამოცოცხლებაზე. დადგენილებათა განხორციელება აქ მთავარ პირობას წარმოადგენს.

ამქარი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მომჭირნეობა საარჩევნო კამპანიაში

საბჭოთა წყობილება, სხვათაშორის იმითაც განსხვავდება სხვა სახელმწიფოებრივ სისტემიდან, რომ აქ ფართე ასპარეზი აქვს გაშლილ საზოგადოებრივ თვითმოქმედებას. ჩვენ მეტად მდიდარი ვართ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებით, რომელნიც საარჩევნო საფუძველზე მუშაობენ. პროფკავშირია ეს, კოოპერატივი, თუ პარტიული ორგანიზაცია, ან საბჭო, ყველგან ყოველ წლიურად და ზოგჯერ წელიწადში ორჯერ, ხდება ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები.

იშვიათად თუ ვინმე დაფიქრებულა იმაზე, რა ჯდება ეს კრებები და არჩევნები. ამაზე, სხვათაშორის, მოგვითხრობს „კოოპერატივნაია გაზეტა“, რომელიც ეხება საარჩევნო ხარჯებს კოოპერაციაში. ის სწერს:

> „წარსულ საარჩევნო კამპანიის დროს და ამ კამპანიის მომზადებაში საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა ეს ხარჯები უმთავრესად მდგომარეობს შემდეგში: ბინის ქირა ორკესტრების მოწვევა, კონცერტებისა და სპექტაკლების დადგმა, ანგარიშის გამოცემა კრებაზე დასარიგებლად, გაზეთში საგანგებო დამატებების შემოღება და სხვა.
>
> იშვიათია კოოპერატივთა ისეთი კავშირი, რომელსაც რწმუნებულთა კონფერენცია 5.000 მანეთზე ნაკლები უჯდება. ალსანიშნავია, რომ ეს ხარჯები გადიოდა იმისდა მიუხედავათ მოგების მქონე იყო თუ არა კოოპერატივი... მომავალ არჩევნების დროს ასეთ ხარჯებს ბოლო უნდა მოუღოთ. კრებები უნდა მოვაწყოთ შეძლებისდაგვარად საკუთარ და რაც შეიძლება იაფ შენობებში... სქელტანიანი ანგარიშები უნდა შეიცვალოს კედლის გაზეთებით, სადაც პოპულიარულად უნდა იქნეს გადმოცემული გამგეობის მოღვაწეობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში...
>
> განსაკუთრებით უნდა შეკვეცონ ეს ხარჯები იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებმა, რომლებსაც მოგება არა აქვთ საოპერაციო წლის განმავლობაში“.

ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დაუმატოთ ამ ამონაწერს, რომ საარჩევნო და საკონფერენციო ხარჯების შემცირება უნდა გაატარონ საბჭოთა ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებმა მომგებიანი იქნება ისინი თუ დეფიციტიანი.

პატარა ფელეტონი

გაფრთხილება

კარგა ხანია ჩემბერლენისთვის
აღარ გაუკრავს ხოზიკას კბილი,
აღარც ბრიანსა, არც პუანკარეს
აღარ რგებიათ თავთავის წილი.
და ალბათ ამით თუ აიხსნება,
რომ მათ აიშვეს უტიფრათ თავი,
ალბად იფიქრეს: მოკვდა ხოზიკა,
და დაამზადეს საკურთხის ფლავი.
მაგრამ ვაცხადებ, რომ ცოცხალი ვარ
და სიკვდილისთვის ჯერ არ მცალია,
ჯერ კვლავ მუშაობს ჩემი მათრახი,
და კვლავ მშრალია ჩემი ფალია.
ჩემბერლენ, ჩერჩილ, ბირკენხედ, ლემპსონ.

და პუანკარევ, თანაც ბრიანო,
იქ ჩან-ძო-ლინო, სუნ-ჩუან-ფანო,
მიყურეთ მე რა მოვიპრიანო:
თავს ნუ აიგდებთ. ჩინეთში ხალხი,
თუმც მომთმენია, თავაზიანი,
მაგრამ ფიალა უკვე აივსო
და რისხვა ადგა თვალბრაზიანი.
მოდის გრიგალი, მოტვლეპილ თავებს
ზედ დაგატყდებათ რისხვათ და მეხათ,
ზვირთი ადგება, ზვირთი ჩაგყლაპავთ,
უშველეთ თავებს, გაასწორეთ ფეხათ.

აბა გასინჯეთ? ვინმემ უხეშათ
იმ თქვენს ოჯახში დაჯდეს ბატონად,
თქვენს ცოლ-შვილსა და ავლა-დიდებას
დაეპატრონოს გაგხადოს მონად,
თქვენ რაღას იტყვით? ნუ თუ იარაღს
აღარ აისხამთ კუნთოვან ტანზე
და ჯანიანი მკლავებით სიგრძეს
მას არ მოუქცევ ლამაზად განზე?!.
ტყვილად წუწუნებთ თითქოს სჭიროდეს
ძალოვან კანტონს მოსკოვის შველა,
ის თვით ვაჟკაცი და მებრძოლია
იქ მებრძოლია, მებრძოლი ყველა.
თუმცა... გავამხელ. (სანამდის ვმალო?!)
მე ვეხმარები კანტონის ჯარებს. —
გაიგეთ ეს და ამიერიდან
სჯობს მოუაროთ საკუთარ კარებს;
კარგა ხანია უკვე მე თქვენთვის,
უნდა გამოვტყდე, არ მომიცლია,
სხვა საქმე მქონდა, სხვა სამუშაო,
გარეშეს შინა საქმემან სძლია...
და ალბად ამით თუ აიხსნება
რომ თავხედობა კვლავ დაგიწყიათ.
ყურებს აგიწევთ!.. თუმცა სანამდის
უნდა გეყოლოთ ბრიყვებო ძიათ?!

ხოზიკა.

წითელი ჯვრის სამდღიურისათვის

წითელი ჯვრის საზოგადოება

1923 წ. დიდი მნიშვნელოვანი დატაა საქართველოს წითელი ჯვრის ს-ბის ცხოვრებაში, 1923 წ. მოეწყო ს-ბის 1 ყრილობა, რომელიც ძირ-ფესვიანად ახდენს ს-ბის გადახალისებას ახალი პრინციპების მიხედვით.

ყრილობამ გამოყო ც. კ., რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ს-ბის მუშაობისათვის.

რას წარმოადგენდა ის განძი, ის მემკვიდრეობა, რომელიც უნდა მიეღო ძველი, მენშევიკური ცეკასაგან ახლად გასაბჭოებულ წითელ ჯვარს?

მენშევიკების წითელი ჯვარი უქნარო, საქველმოქმედო საზოგადოებას წარმოადგენდა, რომელსაც არავითარი საექიმო-სასანიტარო დაწესებულება არ გააჩნდა და რომლის წევრთა რიცხვი ერთი ათას კაცს უდრიდა.

საჭირო იყო დიდი საორგანიზაციო მუშაობის ჩატარება. საჭირო იყო სისტემატიური აგიტაცია-პროპაგანდა ფართო მასებში. ეჭვს გარეშეა საუკეთესო ნიადაგი ასეთ კამპანიებს ქალაქის მუშათა რაიონებში ექნებოდა.

პირველად პროფკავშირებმა უპასუხეს ამ გამოძახილს. ქარხანა-სახელოსნოებში, მუშა მოსამსახურეთა შორის პირველად არსდება სათანადო წ. ჯ. სამეულები და სხვ. ს-ბა თავის საორგანიზაციო მუშაობას მარტო ქალაქით არ განსაზღვრავს, ის სოფელს ედება. გლეხობა ხალისიანად ეწერება წ. ჯ. ს-ბის წევრად. და, აი, მე-2 ყრილობის დროს, 1926 წელში, წ. ჯ. ს-ბას 50 ათას წევრზე მეტი ყავდა. 2 წლის განმავლობაში ასეთი სწრაფი ზრდა იმას ნიშნავს, რომ ს-ბას დიდი პატივი და ავტორიტეტი დაუმსახურებია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასებში. რესპუბლიკის ყველა მაზრებში—ავტონომიურ რესპუბლიკებში დაარსებულია სათანადო კომიტეტები.

თუ მენშევიკების დროს არ არსებობდა თითქმის არავითარი საექიმო ორგანიზაცია, დღეს წითელი ჯვრის ს-ბა მუშურ-გლეხური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მხარში ამოუდგა სახელმწიფოს და ცდილობს ამოავსოს ის ნაკლი, რომლის გაკეთება სახელმწიფოს არ ძალუძს სრულიად გასაგებ ეკონომიურ პირობების გამო.

წ. ჯ. ს-ბამ უმთავრესი ყურადღება სოფელს მიაქცია, რაც გამოიხატა საექიმო - სასანიტარო პუნქტების გახსნაში.

1923 წ. საექიმო - სასანიტარო დარგში მუშაობას მოხმარდა 17.577 მ., ხოლო 1926 წლის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ეს თანხა გამოიხატება 201.338 მანეთში.

1923 წ. წითელ ჯვარს ჰქონდა **6 საექიმო-სასანიტარო** დაწესებულება, ხოლო 1925 წლის ბოლოში რესპუბლიკაში მოქმედებდა **84 საექ.-სასანიტარო დაწესებულება**, სადაც უფასო დახმარება **174.000 სნეულს აღმოეჩინა**. ამ დაწესებულებათა შორის აღსანიშნავია სვანეთისა და კახეთის მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი ექსპედიციები, გორის და ხონის საავადმყოფოები ქირურგიულ, თერაპევტიულ და გინეკოლოგიურ განყოფილებებით.

სანიტარულ განათლების მიზნით გამოცემულია მთელი რიგი პოპულიარული ბროშიურები ხალხში უფასოთ დასარიგებლად.

რის გაკეთებას ისახავს საზოგადოება ამ ახლო მომავალში?

მისი მიზანია უკვე არსებულ დაწესებულებათა დაცვა, შენარჩუნება და მათი ყოველმხრივი გაუმჯობესება.

მალარიისა და ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, სამკურნალო მედიცინაში პროფილაქტიური გადახრის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა დისპანსერული აღმშენებლობითი სახით.

სინამდვილე გვიდასტურებს, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოღვაწეობას მძლავრი ფესვები აქვს გადგმული ჩვენს ქვეყანაში.

საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო მასები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ წითელი ჯვრის სამდღიურში, რომელიც იქნება 25, 26 და 27 სექტემბერში, და თავის წვლილს შეიტანენ ამ დიადი საქმის მოსაღონიერებლად და განსამტკიცებლად.

ქ. ს.

ნაოსნობა შავ ზღვაზე

სამგზავრო გემების რიცხვი გადიდებული იქნება.—საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველო იძენს ხუთ ახალ გემს.—ბათომ - ოდესას შორის მოეწყობა სწრაფლმავალი გემების რეისები

მგზავრების რაოდენობის არაჩვეულებრივად გადიდებამ ყირიმ-კავკასიის ხაზზე საჭიროდ გახადა სამგზავრო გემების გადიდება შავ ზღვაზე. ახლა შავ ზღვაზე მყოფ სამგზავრო გემების რაოდენობა ძლივს - ძლივობით აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს ნორმალური სამგზავრო მიმოსვლის დროს ზამთრობით (ოქტომბრიდან - აპრილამდე). ზაფხულობით კი, როცა მგზავრების რიცხვი არაჩვეულებრივათ იზრდება, კავკასიაში და ყირიმში საკურორტო სეზონის გამო, მგზავრები ადგილებს ბრძოლით იღებენ და ჩვეულებრივათ გემებზე მგზავრების რიცხვი ოთხჯერ მეტია, ვიდრე ნორმით არის დასაშვები.

მომავალ წელს მოსალოდნელია მგზავრების რიცხვის კიდევ უფრო გადიდება და ამიტომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა შავ ზღვაზე სამგზავრო გემების რიცხვის გადიდების საკითხს.

მიმდინარე ზამთარში საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველო პირველ რიგში აპირებს ამჟამად შავ ზღვაზე მომუშავე გემების შეკეთებას. გარდა ამისა შეკეთებული იქნება და დაიწყებს მუშაობას ორი გემი, რომლებიც ამჟამად სარემონტო სახელოსნოებში იმყოფება. სამმართველო აპირებს აგრეთვე 5 ახალი გემის შეძენას. ეს გემები გაზაფხულიდან უკვე იმოგზაურებენ შავ ზღვაზე (ბათომ-ოდესა) შორის.

გარდა ამისა, მოგზაურობის გასაადვილებლად და დასაჩქარებლად საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველოს განზრახვა აქვს გამოჰყოს ნაწილი სწრაფლმავალი გემებისა საექსპრესო ხაზის მოსაწყობათ ბათომ-ოდესას შორის. ეს სწრაფლმავალი გემები შეივლიან შავი ზღვის მხოლოდ მთავარ ნავთსადგურებში (სოხუმში, ტუაპსეში, ნოვოროსიისკში, სევასტოპოლში). ექსპრესი - გემები გზას ბათომ - ოდესას შორის გაივლიან ორჯერ ნაკლები დროის განმავლობაში, ვიდრე ჩვეულებრივი ნავთსადგურებში შედიან.

თამბაქოს პლანტაციებში

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატმა ამ დღეებში ჩაატარა აფხაზეთის თამბაქოს პლანტაციებში მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა. აღნიშნულ პლანტაციებში მიმდინარე წელში 6.000-მდე მუშა - მოსამსახურე ითვლება. აქედან 5.000 კაცი დაქირავებულ მოჯამაგირეებს შეადგენენ. უკანასკნელნი უმეტეს ნაწილად ჩამოსულნი არიან.

გამოკვლევით გამოირკვა, რომ აღნიშნულ დარგში არ არის სპეციალურად დანიშნული შრომის ინსპექტორი, რის გამო ადგილი აქვს დამქირავებელთაგან ხელშეკრულებათა დარღვევას. გასულ ზაფხულში 97 ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა არ არის დაზღვეული.

ამის გამო საქ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაავალა საქართველოს სოცდაზღვევის სამმართველოს მოახდინოს თამბაქოს პლანტაციებში მომუშავეთა დაზღვევა.

ამას გარდა დაევალა შრომის დაცვის განყოფილებას შეისწავლოს მოჯამაგირეთა შრომის პირობები, ხოლო შრომის ბაზრის განყოფილებას დაევალა შეისწავლოს თამბაქოს პლანტაციებში სამუშაოთ საქართველოში მყოფ უმუშევართა ჩაბმის საკითხი.

თივა

ამ დღეებში ამიერ - კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატში შესდგა თათბირი თივის დამზადების შესახებ. თათბირმა გამოარკვია, რომ მიმდინარე წელში ამიერ - კავკასიაში დამზადდება 250.000 ფუთი თივა. თივის დამზადება ევალებათ: საქართველოში—საქ. მიწ.-მოქმ. სახალხო კომისარიატს, აზერბეიჯანში — აზ. სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს, ხოლო სომხეთში — სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობას.

წინასწარი გამოკვლევით, წელს ამიერ კავკასიაში მოთხოვნილება თივაზე დიდია. გარდა დასამზადებელ თივისა ამიერ - კავკასიაში შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს განზრახული აქვს შემოიტანოს 1.100.000 ფუთი თივა. აღნიშნული თივა შემოტანილ იქნება საბჭოთა რესპუბლიკებიდან.

სამხრეთ-ოსეთის ბიუჯეტი

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამხრეთ - ოსეთის ა. ბ. ადგილობრივი ბიუჯეტი 1926-27 წლისათვის.

ოლქის ბიუჯეტის შემოსავალი უდრის 220.217 მან. გასავალი იგივეა. ქ. ცხინვალის ბიუჯეტი უდრის 34.563 თემების ბიუჯეტი უდრის—40.158 მან. მთლიანად ოლქის ბიუჯეტი უდრის 294.938 მანეთს.

მეცხენეობა

მეცხენეობის განვითარება-აღდგენის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის თანახმად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის სულ გადადებულია 135 ათასი მან.

ეს თანხა განაწილებულ უნდა იქნას რესპუბლიკებს შორის იმის კვალობაზე, თუ სად უფრო დიდი მომავალი აქვს მეცხენეობას.

საქართველოს ცხენთ საშენის სამმართველომ გამოითხოვა ამ თანხიდან 40 პროცენტი.

ცოტა რამ მოსამსახურეებზე

მოსკოვში ამჟამად მიმდინარეობს საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის სატარიფო-ეკონომიური თათბირი.

ამ თათბირს ყველა მოსამსახურეებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დღის წესრიგში დასმულია 19 საკითხი. მათ შორის არის ისეთი საჭირბოროტო, სადღეისო საკითხები, როგორიცაა, მაგ. სამუშაო ხელფასის მდგომარეობა და სისტემა, სავაჭრო მოსამსახურეებზე პრემიების გაცემა, მოსამსახურეთა უფლებების დაცვა, უმუშევრობა და სხვა.

თათბირმა გამოააშკარავა მომჭირნეობის რეჟიმის უმაგალითო გადამახინჯება ზოგიერთ სამეურნეო მუშაკების მიერ! ვითომდა მომჭირნეობის რეჟიმით ახდენენ ფიქტიურ შემცირებას, როცა „შემცირებულის“ ადგილზე პროტექციით ღებულობენ ახალ მომუშავეებს.

სხვათა შორის საინტერესო მასალები გადმოშალა საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეების კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ღლონტმა. საქართველოს სამეურნეო მუშაკები გვერდს უხვევენ მოსამსახურეთა უფლებების დასაცავად კავშირების მიერ წარმოებულ მუშაობას. მაგალითად, ამიერ-კავკასიის საკრედიტო ბიუროს თბილისის ადმინისტრატორები 15 თვეს აჭიანურებდენ უკანონოდ დათხოვნილ მოსამსახურის თავის უფლებებში აღდგენის საქმეს. ოთხჯერ დაინიშნა ამ საქმის გარჩევა და ოთხჯერ გადაიდო ის, სამეურნეო მუშ[illegible] ყოველგვარი ხრიკების წყალობით. როცა სამეურნეო მუშაკებმა დაინახეს, რომ შეუძლებელია შრომის სასამართლომ თანამშრომელი აღადგინოს თავის უფლებებში, მაშინ მათ ამ თანამშრომლის წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის ძიება.

საერთოდ, მიმდინარე წლის იანვრიდან საქართველოს ცენტრალურ გამგეობის მიერ აღძრულ 38 საქმიდან, 28 სისტემატიურად იდებოდა სამეურნეო მუშაკთა დაუსწრებლობის გამო.

საქმისადმი მათი ასეთი დამოკიდებულება ძირს უთხრის საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ავტორიტეტს.

ამიტომ ამხ. ღლონტმა მოითხოვა თათბირზე კანონმდებლობითი ღონისძიებების გატარება, რათა ადმინისტრაციას მოეთხოვოს პასუხი საქმეების ასეთი გაჭიანურებისათვის, რითაც ზარალობენ კავშირის არა მარტო ცალკე წევრები, არამედ თვით კავშირიც.

მომხსენებელი მოსამსახურეთა უფლებების დაცვის საკითხში დაეთანხმა ღლონტის წინადადებას ჩვენი შრომის კანონმდებლობაზე სამეურნეო მუშაკების მიერ მიტანილ იერიშების საწინააღმდეგო ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან არსად ისე არ არღვევენ მას, როგორც საბჭოთა და სავაჭროთა მოსამსახურეთა კავშირში.

თათბირი გაგრძელდება ერთი კვირა

ლ. შ—ლი.

მოსკოვი, 17 სექტემბერი.

ბინის ტარიფი

გუშინ, შინაგან საქ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილებაში შესდგა საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა, თბილისის აღმასკომის მიერ წარმოდგენილ საბინაო ტარიფის დებულების განსახილველათ. სხდომას დაესწრნენ შრომის სახალხო კომისარიატის და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები.

თბილისის აღმასკომის მიერ გამოქვეყნებულ საბინაო ტარიფის დებულებაში, სხდომამ შეიტანა შემდეგი ცვლილებანი: საცხოვრებელი მოედნის გამოანგარიშება გადაყვანილია მეტრებზე—არშინების მაგიერ და გადასახადიც ამის გამო გაორკეცებულია.

დებულების მე-4 პარაგრაფის, მეორე შენიშვნა შეიცვალა ამნაირათ: „ბინის ქირის გამოთვლისას არ მიიღება ანგარიშში მუშა-მოსამსახურის ზედმეტი და ნარდი სამუშაოს გასამრჯელო“.

მე-6 პარაგრაფი შეცვლილია იმ მხრივ, რომ უმუშევარი ერთეული და პროფკავშირის სხვა წევრები გათანასწორებული არიან შესაფერის კვალიფიკაციის მომუშავე პროფკავშირის წევრებთან.

დებულებას ახლათ ჩაემატა მე-7 პარაგრაფი, რომელიც ამბობს: „ერთეული და დღიური მუშები, კერძო მასწავლებლები და სხ., რომელნიც არ არიან პროფკავშირის წევრებათ და არ შედიან შინამრეწველთა საზოგადოებაში—ბინის ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 20 კაპ. (კვად. მეტრზე) და არა უმეტეს 54 კაპ.“

მე-9 პარაგრაფი შეიცვალა შემდეგნაირათ: „ხელოსნები და შინა-მრეწველნი, რომელთაც არა ჰყავთ ერთ დაქირავებულ მუშაზე მეტი, ან მარტო მუშაობენ, ქირას იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, მაგრამ არა ნაკლებ 20 კაპ. და არა უმეტეს 54 კაპ.; რომელთაც ჰყავთ ორი ან მეტი დაქირავებული მუშა—იხდიან არა ნაკლებ 23 კ. და არა უმეტეს—86 კ.

საწარმოო და შრომის არტელების წევრები, რომელთაც აქვთ მტკიცე სამუშაო ხელფასი—იხდიან სახლის მმართველობასთან შეთანხმებით, არა უმცირეს 20 კ. და უმეტეს 54 კ.

მე-10 პარაგრაფი ამბობს: ის მრეწველნი და ხელოსნები, რომელთაც არა აქვთ უფლება იყვნენ შინამრეწველ-ხელოსანთა საზო-ბის წევრებათ და სარგებლობენ დაქირავებული შრომით, ბინის ქირას იხდიან არა უმცირეს 86 კაპ. და უმეტეს 2 მანეთისა.

ამავე პარაგრაფის მუხლი „გ“-ში ნათქვამია: მოსწავლენი, რომელნიც ღებულობენ სტიპენდიას, ან განთავისუფლებულნი არიან სამოსწავლო გადასახადიდან—იხდიან 5 კაპ.

პარაგრაფი მე-18 გადაკეთდა შემდეგნაირათ: დამქირავებელი იხდის ქირას ნორმის მიხედვით იმ საცხოვრებელ ფართობზე, (მოედანზე) რომელიც მითვლილია მის, ან მის კმაყოფაზე ჩათვლილ პირებისათვის თითოზე 20 კვ. მეტრი. ზედმეტიფართობის ქირას დამქირავებელი იხდის ერთი-ორად“.

თბილისის აღმასკომის მიერ გამომუშავებული დებულების დანარჩენი ადგილები დარჩა უცვლელათ.

ახალი დებულება ამ დღეებში შინაგან საქ. კომისარიატის დასკვნით, წარედგინება დასამტკიცებლათ სახკომსაბჭოს.

სავალდებულო დადგენილებანი

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა ინსტრუქცია თემაღმასკომების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის და მათი დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრატიულ სასჯელის დადების შესახებ.

თანახმად ინსტრუქციისა, თემაღმასკომებს უფლება აქვთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი სანიტარული საკითხების შესახებ, ხანძართან ბრძოლის, სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის დაარსების, ეპიდემიებთან და სხვა წმინდა სოფლური ხასიათის მოვლენების შესახებ.

თემაღმასკომების მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის შემთხვევაში, ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 5 მანეთს ან ადმინისტრატიული სასჯელი — იძულებითი მუშაობა—5 დღეს.

აღნიშნული ინსტრუქცია შედგენილია ცაკის მიერ ამ საკითხზე მიღებული დებულებების საფუძველზე.

მატყლი

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემს“-მა დაამთავრა საშემოდგომო მატყლის დამზადება. მატყლი 40,000 ფუთის რაოდენობით დამზადებულია უმთავრესად ახალციხე - ახალქალაქის მაზრებში. აღნიშნული მატყლი თბილისში ჯერჯერობით არ არის ჩამოზიდული. ამავე დროს კი სწარმოებს ხელშეკრულებათა დადება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მატყლზე. ვაგონების უქონლობა აფერხებდა მატყლის ჩამოზიდვას. „მწყემს“-მა მიმართა ა.-კ. რკინისგზათა სამმართველოს საჩქაროთ მიაწოდოს საზოგადოებას ბორჯომ - ბაკურიანის რკ. გზ.ხაზზე ვაგონები აღნიშნული მატყლის სასწრაფოთ ჩამოსაზიდათ.

მოზარდები სამუშაოებზე

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა დადგენილება მოზარდთა სამუშაოზე გაგზავნის შესახებ, სადაც ნათქვამია: მოზარდთა ჯავშნის მოწესრიგების საქმეს ამჟამად აწარმოებენ შრომის კომისარიატების შრომის დაცვის განყოფილებები, რომ ეს საკითხი არ არის დაკავშირებული შრომის ბაზრის განყოფილებების საერთო მუშაობასთან.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდთა ჯავშნის მოწესრიგების საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხთან და ამასთანავე უშუალოდ დამოკიდებულია მოზარდთა შორის უმუშევრობის მოსპობასთან.

ამიტომ შრომის კომისარიატი საჭიროდ სცნობს მოზარდთა ჯავშნის მოწესრიგების საქმე შრომის დაცვის განყოფილებებიდან მთლიანად გადაეცეს შრომის ბაზრის განყოფილებებს მთელ ა.-კავკასიაში.

მოზარდთა ჯავშნის შევსების და მათი შრომის დაცვისთვის თვალყურის დევნება ეკისრება შრომის ინსპექტორებს და მათ ასისტენტებს.

დახმარება

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ შორაპნის მაზრაში დაარსდა სტიქიურ მოვლენათაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისია, რომელშიაც შედიან თემების წარმომადგენელნი, სამაზრო, აგრონომი, სტატ. ბიუროს წარმომადგენელი და სხვა.

შორაპნის აღმასკომმა ამასთანავე დაადგინა იშუამდგომლოს სახკომსაბჭოს წინაშე, რომ დაზარალებულ გლეხებს გაეწიოთ დახმარება საკრედიტო ამხანაგობებიდან გრძელვადიანი სესხის მიცემის სახით.

სამაზრო საფინანსო განყოფილებას დაევალა გაავრცელოს დაზარალებულ გლეხებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე არსებული შეღავათები.

რკინისგზებზე

ტვირთზიდვის ზრდა

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკინის გზების ტვირთ-ზიდვას საგრძნობი ზრდა ემჩნევა; იგი გამოიხატება 12.500 სარიონდო ერთეულში. ამ რაოდენობიდან დატვირთულია—676 ვაგონი, 304 ცისტერნა, ხოლო მიღებულია ჩრდილო კავკასიის გზებიდან—276 ვაგონი. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში „აზნეფტ“-მა შეამცირა თავისი დაკვეთები ცისტერნებზე. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ბათომში დააგვიანდა ნავთის ჩასასხმელ გემების მოსვლას.

გარდა ამისა დღიურად 10 ცისტერნით შემცირებულია ზეთის გადაზიდვა. ეს გარემოება კი აიხსნება ბაქოში ზეთის მარაგის უქონლობით.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში სულ გადაზიდულ იქნა 5.600 ფუთი ნავთის პროდუქტები. ეს ციფრი მაქსიმალურად ითვლება.

მუზეების ბიუჯეტი

ა.-კ. რკ. გზების მუზეების ბიუჯეტის გამოსაკვლევად გადადებულია 1500 მანეთი; გარდა ამისა გზათა-მიმოსვლის კომისარიატის წინაშე დასმულია საკითხი ამ მიზნისათვის საჭირო კრედიტების გასახსნელად.

ავტობუსები

„ზაკავტოპრომტორგ“-მა მიიღო საფრანგეთში დაკვეთილი ოთხი ახალი ავტობუსი „ზაურერი“-ს მარკისა. ავტობუსები ღიაა; თითოეული შესდგება 22 ადგილისაგან. მათი მოტორები 75 ძალისაა. აქამდე მომუშავე ავტობუსებზე (ფიატი) კი მოწყობილია 18 ძალიანი მოტორები.

გარდა ავტობუსებისა „ზაკავტოპრომტორგი“ ელის საფრანგეთიდანვე 22 საბარგო ავტომობილს და ერთ ავტომობილს ტვირთებისათვის. უკანასკნელი იმუშავებს ბათომის ნავთსადგურში.

მიღებულ ავტობუსებიდან, ერთ - ერთი მათგანი გამოსაცდელათ თბილისიდან გაიგზავნა კავკავში, საიდანაც დაბრუნდება დღეს.

მოსავლის ფონდები

რესპუბლიკის ცენტრალურმა გლეხკომმა მისწერა ყველა ადგილობრივ გლეხკომებს შეუდგენ ადგილებზე მოსავლის ფონდების შექმნას, საიდანაც საჭიროების დროს დახმარებას გაუწევენ გლეხკომის ღარიბ წევრებს.

ფონდები უნდა შესდგეს საწევრო გადასახადიდან. გლეხკომის წევრები ამის გამო დაყოფილი არიან 4 კატეგორიათ. პირველი კატეგორიაში უღარიბესი გლეხები არიან, რომელნიც თავისუფლდებიან საწევრო გადასახადის შეტანისაგან. დანარჩენი კატეგორიები იხდიან მათზე შეწერილ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნორმის ნახევარზე ნაკლებს.

„ინდო“

ცეკას ხაზს იწონებენ

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა სოხუმის „ინდოს“ მუშაკებისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი იწონებენ ცეკას ხაზს „ინდოს“ ადმინისტრაციისადმი წარდგენილ მოთხოვნილებებში უკანასკნელი მოლაპარაკების დროს.

გაფიცვის მთავარი კომიტეტის მოწოდება

გაფიცვის მთავარმა კომიტეტმა ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე გაფიცულებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის მოწოდება:

„ძვირფასო ამხანაგებო! დღეს ერთი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე გაფიცულები ორგანიზაციულათ შეკავშირებულნი აწარმოებენ შეუპოვარ ბრძოლას ინგლისის კონცესიონერების წინააღმდეგ.

„ინდოზე“ მომუშავეთა გაფიცვის მიმდინარეობამ აიძულა კონცესიონერები შეთანხმებაზე წასულიყვნენ და დაეკმაყოფილებიათ კავშირის ცეკას მოთხოვნილებების უმეტესი ნაწილი.

კავშირის მოთხოვნილებებთან ერთად კონცესიონერებმა წამოაყენეს ისეთი მოთხოვნილებები, რომლებიც აუარესებენ „ინდოს“ მუშაკების უმრავლესობის მატერიალურ მდგომარეობას.—ამის გამო, როგორც კავშირის ცეკას, ისე გაფიცვის მთავარ კომიტეტს არ შეუძლია დაეთანხმოს კონცესიონერების ასეთ მოთხოვნილებებს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ „ინდოს“ მუშაკები კვლავ განაგრძობენ ბრძოლას ერთსულოვნათ, რითაც აიძულებენ კონცესიონერებს დააკმაყოფილონ კავშირის დანარჩენი მოთხოვნილებანი.

ბრძოლის მეორე თვის პერიოდში გაფიცვის მთავარი კომიტეტი „ინდოს“ მუშაკებს მოგიწოდებთ განაგრძოთ ბრძოლა მანამ, სანამ მთლიანათ არ იქნება დაკმაყოფილებული ჩვენი კანონიერი მოთხოვნილებანი.

გახსოვდეს ამხანაგებო, რომ თქვენ მარტო არა ხართ ამ ბრძოლაში, არამედ თქვენთან არის საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი. ამას ნათლად ამტკიცებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებიდან მიღებული მისასალმებელი დეპეშები გაფიცვის მთავარ კომიტეტში.

ჩვენი ლოზუნგი შემდეგშიაც ასეთი უნდა დარჩეს: „ბრძოლა გამარჯვების დასრულებამდე“.

უთანხმოების მთავარი მუხლი

კავშირის ცეკასა და „ინდოს“ რწმუნებულის ქენინგამს შორის უთანხმოების მთავარი მუხლია სამუშაო დღის გაგრძელება.

„ინდოს“ რწმუნებული მოითხოვს, რათა ტელეგრაფზე მომუშავეთათვის 148 საათის ნაცვლათ თვეში დაწესებულ იქნეს 152 საათი და „ინდოს“ დანარჩენი მუშაკთათვის 6 საათის ნაცვლად 8 საათი.

შეთანხმება მოხდა ორ მუხლში

გაფიცვის მთავარ კომიტეტიდან მიღებული ცნობებით, კავშირის ცეკასა და „ინდოს“ რწმუნებულს შორის შეთანხმება მოხდა ტექნიკურ მომუშავეთათვის სამუშაო ხელფასის 15 პროცენტით გადიდების და კოლექტიური ხელშეკრულების სამი წლის ვადით დადების საკითხში.

განათლება

ხარჯთ-აღრიცხვა

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებამ შეიმუშავა 1926-27 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება აღმასკომს. ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით თბილისსა და მის მაზრაში განათლების საქმეზე დაახლოებით დაიხარჯება 3 მილიონ ნახევარი. წარსულ წელთან შედარებით ხარჯთ-აღრიცხვა საგრძნობლად გადიდებულია. ეს გამოწვეულია, როგორც მასწავლებელთა ხელფასის, ისე სამეურნეო ხარჯების გადიდების გამო.

საბჭოთა სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

23 სექტემბრის დილის სხდომა

ბრალდებულ თევზაძის ჩვენება

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული ალექსანდრე თევზაძე (თბილისის სადგურის მოლარე).

ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს, რომ ოჯახური მდგომარეობის ნიადაგზე მან მიითვისა და გაფლანგა 1.300 მანეთი. რაც შეეხება 1.600 მანეთის გაფლანგვას, როგორც ეს საბრალმდებლო დასკვნაშია აღნიშნული, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება.

ბრალდებული მითვისებულ ფულის კვალის დასაფარავად არდგენდა ყალბ საბუთებს—ანგარიშებში ბილეთების ნუმერაციის გამოტოვებით.

ბრალდებული ამბობს, რომ მას ბრალდებულ ოლოვატთან, თოფურიასთან და ვარდანაშვილთან არავითარი წინასწარი შეთანხმება არა ქონია ბილეთების კომბინაციის საქმეში. მას კავშირი ჰქონდა მხოლოდ საშემოსავლო ნაწილის საქმის წარმოებელთან **ხარჯველაძესთან** (ამჟამად გაქცეულია საზღვარ-გარედ). ხარჯველაძემ ურჩია მას ბილეთების კომბინაციის საქმეში მონაწილეობა მიეღო, რაზედაც მან თანხმობა განუცხადა.

ბრალდებულს მოსკოვის მიმართულებით გაუყიდია 21 ბილეთი და ბილეთებისაგან აღებული თანხა მიუთვისებია. გაუყიდია აგრეთვე ბილეთები ბაქოსა და ბათომის მიმართულებით.

ბრალდებული აჩვენებს, რომ მას ებარა სამხედრო სალარო. იყო შემთხვევები, როცა წინასწარ შეკვეთილი ბილეთები მას რჩებოდა სალაროში და შემდეგ ჰყიდდა თავისი პირადი საჭიროებისათვის.

ამის შემდეგ ბრალდებულს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს.

თავმჯდომარე: წინასწარი გამოძიების დროს თქვენ სთქვით, რომ შეკვეთილ ბილეთების გაყიდვისაგან მიითვისეთ 800 მანეთი, ეხლა ამბობთ, რომ მიითვისეთ მხოლოდ 20 მანეთი. რომელი ჩვენებაა უფრო სწორი?

ბრალდებული: მართალია, წინასწარი გამოძიების დროს ვსთქვი, რომ მივითვისე შეკვეთილ ბილეთებისაგან 800 მანეთი, მაგრამ ეს გამოიწვია ჩემმა მაშინდელმა მდგომარეობამ. სინამდვილეში 20 მანეთი მაქვს მითვისებული.

ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა ანგარიშებში ბილეთების ნუმერაციის გამოტოვებისა. მას არ ასულდგმულებდა ბოროტი განზრახვა, არამედ ყოველივე ეს მოხდა ხარჯველაძის დაჟინებითი მოთხოვნით, რასაც ხელი შეუწყო მისმა მწვავე მატერიალურმა მდგომარეობამ.

ბრალდებული აჩვენებს, რომ 1.300 მანეთიდან ნახევარი თანხა მისცა ხარჯველაძეს.

პროკურორი: იყო თუ არა შემთხვევა, რომ ერთი და იგივე ნომერით ღებულობდით შეკვეთებს სამხედრო უწყებებიდან.

ბრალდებული: კარგად არ მახსოვს, ალბათ იყო ასეთი შემთხვევები.

ჩვენების დასასრულს ბრალდებული **თევზაძე** ამბობს:

„ჩემი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ ანგარიშებში სისწორით არ შემქონდა ბილეთების ნუმერაცია“.

ამის შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული მიხეილ გოლოვატი (გზის სამსახურის თანამშრომელი).

გოლოვატის ჩვენება.

გოლოვატი დამშვიდებით უამბობს სასამართლოს, თუ რა პირობებში ხდებოდა ყალბი ანგარიშების შედგენა, ანგარიშებში ბილეთების ნუმერაციის გამოტოვება, ციფრების გადასწორება და სხვა.

ბრალდებულის სიტყვით, მოლარეს ყოველთვის შეუძლია დაფაროს ანგარიშები მანამ, სანამ მენიხრე კონტროლს მოახდენდეს.

ერთ დღეს ბრალდებულთან მიდის ბრალდებული ქავთარაძე და ეუბნება მას: რევიზია მაქვს, ამავე დროს ჩემს სალაროში დანაკლისი აღემატება 5.000—6.000 მანეთს. მომეხმარე, ანგარიშებში გადავასწოროთ ბილეთების ნუმერაცია და ნადავლი თანასწორად გავიყოთ. ის დაეთანხმა და ფული მიიღო, მაგრამ სესხის სახით. რაც შეეხება ქავთარაძის ჩვენებას, რომ ის მისგან ფულს სესხულობდა ეს სრული სიმართლეა.

ამის შემდეგ ბრალდებულს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს.

თავმჯდომარე: დახმარების აღმოსაჩენად ქავთარაძე თუ დადიოდა ამკრეფ სამსახურში.

ბრალდებული: 1924 წ. აპრილის დამლევს არსენ ქავთარაძე ჩემთან მოვიდა ამკრეფ სამსახურში და მომმართა აღმომეჩინა დახმარება ბილეთების ნუმერაციის გადასწორებაში. მე მაშინ დადებითი პასუხი არ მიმიცია. გავიდა ხანი და კიდევ მოვიდა ჩემთან. შემდეგ მე დავეთანხმე.

თავმჯდომარე: რამდენჯერ მიმართეთ ქავთარაძეს ფულის სასესხებლად?

ბრალდებული: სინამდვილეს არ შეესაბამება ქავთარაძის ჩვენება, რომ მას ერთხელ ესესხებინოს ჩემთვის ფული. მე ოჯახური მდგომარეობის ნიადაგზე ქავთარაძისაგან ხშირად მისესხებია ფული.

თავმჯდომარე: როგორი განწყობილება გქონდათ ბრალდებულ ქავთარაძესთან?

ბრალდებული: ქავთარაძეს დიდი ხანია ვიცნობდი. მასთან კარგი განწყობილება მქონდა.

თავმჯდომარე: რაში გამოიხატება თქვენი როლი ადგილობრივი მიმოსვლის ბილეთების გადასწორების საქმეში?

ბრალდებული: მხოლოდ და მხოლოდ ბილეთების ნუმერაციის გადასწორებაში.

თავმჯდომარე: ბილეთების ნუმერაციის გადასწორებაში რამდენი მანეთი მიიღეთ ქავთარაძისაგან?

ბრალდებული: 350—400 მანეთი მივიღე.

თავმჯდომარე: ბრალდებულმა ქავთარაძემ სთქვა, რომ გოლოვატს მივეცი 1.200 მანეთიო. რას იტყვით ამის შესახებ?

ბრალდებული: ეს სიცრუეა, მე მისგან მხოლოდ 400 მანეთი მივიღე.

თავმჯდომარე: ჩვენების დასაწყისში თქვენ სთქვით, რომ 400 მანეთი მიიღეთ ქავთარაძისაგან სესხის სახით, ეხლა გადაჭრით აღიარებთ, რომ 400 მანეთი ჯილდოთ მიიღეთ. რით აიხსნება ეს?

ბრალდებული: ეს მომივიდა ჩემი მოუფიქრებლობით.

თავმჯდომარე: აფრთხილებს ბრალდებულს და მოაგონებს, რომ ის იმყოფება სასამართლოს წინაშე და მოფიქრებით უნდა ილაპარაკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო შესწყვეტს მის დაკითხვას.

თავმჯდომარე: თქვენ და ქავთარაძემ სულ გაჰყიდეთ 8.000 მანეთის ბილეთები. ქავთარაძის სიტყვით, თქვენ უნდა მიგეღოთ ნახევარი. საიდან ანგარიშობთ თქვენ 400 მანეთს?

ბრალდებული: თუ ვიმსჯელებთ გაყიდული ბილეთების მიხედვით, ქავთარაძეს გაუყიდია მართლაც 8.000 მანეთის ბილეთები. ვიმეორებ, მე მომეცა მხოლოდ 400 მანეთი. დანარჩენი თანხის შესახებ ქავთარაძემ მითხრა, რომ ბილეთები ზოგი მტკვარში გადავყარე და ზოგიც უკანვე დავუბრუნე რკინის გზაშიო.

თავმჯდომარე: წინასწარი გამოძიების დროს თქვენ სთქვით, რომ ქავთარაძის ბინაზე დადიოდით და ფულებსაც მის ბინაზე ღებულობდით. ეხლა უარყოფთ თუ არა?

ბრალდებული: ქავთარაძის ბინაზე არც ერთი კაპეიკი არ მიმიღია. ვსთქვი იმიტომ, რომ საჭირო იყო ასე მეთქვა.

თავმჯდომარე: ვარდანაშვილი თქვენ კომბინაციაში რა მონაწილეობას ღებულობდა?

ბრალდებული: არავითარს.

თავმჯდომარე: წინასწარი გამოძიების დროს თქვენ უჩვენეთ, რომ ბილეთების კომბინაციის საქმეში ქავთარაძემ შეგაცდინა. რითი ხსნით ამ გარემოებას?

ბრალდებული: ეს იყო გამოწვეული ჩემი მაშინდელი საერთო მდგომარეობით. ჩემგან ამის თქმა შეუძლებელია და სისულელეც.

ამის შემდეგ პროკურორი **გაბუნია** და **ულენტი** აძლევენ ბრალდებულს მთელ რიგ შეკითხვებს.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე დასრულდა ბრალდებულ გოლოვატის დაკითხვა.

ბრალდებულის სიტყვით, ანგარიშები ინახებოდა ორი თვის შემდეგ, რადგან მენიხრეებს ბევრი მოსდიოდა ასეთი ანგარიშები და ვერ ასწრებდენ მუშაობას. გასამართლებელი საბუთები ათასობით ეწყო ფანჯრებზე, მაგიდებსა და შკაფების თაროებზე. არავინ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა საერთო კრებების დროს მაგიდები, რომლებშიაც ანგარიშები ინახებოდა, გაქონდათ და ამგვარად გასამართლებელი საბუთები იკარგებოდა. ამას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა.

ამის შემდეგ ბრალდებულს აძლევენ შეკითხვებს.

პროკურორი: 1925 წ. ივლისის თვეში წინასწარი გამოძიების დროს თქვენ უჩვენეთ, რომ ხარჯველაძე სცდილობდა მენიხრე მერაბიშვილის მოსყიდვას, რა მიზნითაც შეაძლია მას 200 მანეთი ქრთამის სახით. რატომ უჩვენეთ ასე, გამომძიებელს?

ბრალდებული: არ მახსოვს, ამიტომ ვერ გიპასუხებთ.

პროკურორი: თქვენს ასეთ განცხადებას რა კავშირი ჰქონდა თქვენდამი წაყენებულ ბრალდებასთან?

ბრალდებული: არ ვიცი.

დამცველი: რამ გაიძულათ თქვენ გაგეცხადებინათ წინასწარი გამოძიების დროს, რომ ვარდანაშვილი და ხარჯველაძე ხშირად დადიან ბათომის ხაზით და სადგურის მოლარეებთან აწყობენ ბილეთების კომბინაციას?

ბრალდებული: მართალია, განვაცხადე, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ ვარდანაშვილმა ჩემს შესახებ ცუდი ჩვენება მისცა. ამიტომ ჩემი განცხადება შურისძიებით იყო გამოწვეული.

ამით დასრულდა ბრალდებულ გოლოვატის დაკითხვა.

შემდეგ დაიწყო ბრალდებულ ნიკოლოზ ვარდანაშვილის დაკითხვა (სამგზავრო ნაწილის ყოფილი თანაშემწე).

ვარდანაშვილის ჩვენება

თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულს იმ წესების შესახებ, რომლებიც არსებობდა ამიერ-კავკასიის რკინის-გზების ამკრეფ სამსახურის სამგზავრო ნაწილში. ბრალდებული იძლევა დაწვრილებითი ახსნა-განმარტებას.

ბრალდებული აჩვენებს, რომ სამგზავრო ნაწილში სრული ქაოსი არსებობდა. გასამართლებელი საბუთები დაუკეტელ შკაფებს და მაგიდებში ინახებოდა და სხ.

შემდგომი სხდომა გაიმართება დღეს დილის 10 საათზე; სხდომაზე გაგრძელდება ბრალდებულ ვარდანაშვილის დაკითხვა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ამხ. ენუქიძე და ორახელაშვილი წყალტუბოში

წყალტუბო, 23 სექტ. 23 სექტემბერს წყალტუბოში ჩავიდნენ საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. ენუქიძე და ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ორახელაშვილი, რომელნიც გაეცნენ ახალ საკურორტო მშენებლობას. ამხ. ენუქიძე რაჭაში გაემგზავრა.

პიონერთა ხელმძღვანელები

ფოთი, 23 სექტემბერი. 1-ლ ოქტომბრიდან გაიხსნება მოკლე ვადიანი სემინარი პიონერთა ხელმძღვანელების მოსამზადებლად.

წერილები

დაუჯერებელი ამბავი

(ს. თეძმისხევი, გორ. მ.)

გასაოცარი ამბები ხდება ამ ქვეყნად. აბა, რას იტყვით თქვენ, მაგალითად, რომ რევოლიუციას მხარი დაუჭიროს ძველმა აზნაურმა იმ მოსაზრებით, რომ რევოლიუცია მას გააბედნიერებს და მამა-პაპეულ ავლა-დიდებას დაუბრუნებს. თქვენ ალბათ სიცილსაც ვერ ითმენთ. როგორ, აზნაურის რევოლიუციონერობა იმისათვის, რომ მან ძველი ქონება დაიბრუნოს? ეს ხომ იმას ემზგავსება, რომ ძაღლს თავის შაქარი შეაჭამო და ეს საწამლავი მას ჩაის შაქარივით შეერგოს.

ნუ გიკვირთ! ყველაფერი მოხდება თურმე ამ ქვეყნად. თუ მთელ საბჭოთა კავშირში და მასთან ერთად საქართველოშიაც ოქტომბრის რევოლიუციამ თავის ბუნაგიდან გამოჰყარა ძველი მემამულეები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გორის მაზრის თეძმისხეველ თუხარელებსაც ასეთი ბედი უნდა ეწვიოს.

თუხარელები ბედს იწყევლიდენ ნიკოლოზის რეჟიმის დროს. მათი მამა-პაპეული, გლეხების ზურგზე ანატყავებში მამულ-დედული ბანკმა საჯაროთ გაჰყიდა ვიღაც ვაჭარ ტერ-აკოფოვზე. დარჩენ აზნაურები პირმშრალი: არც ფიზიკური მუშაობისათვის ვარგოდენ, არც ქონება გააჩნდათ საიმისო, რომ დაუმწარებელი ლუკმა პური ეჭამათ.

ვაჭარმა აკოფოვმა ნაყიდ მამულში ფული ჩასდო, მშვენიერი ორსართულიანი სახლი წამოიჭიმა, ბაღები გააშენა, მიწები დაამუშავა—ერთი სიტყვით გაპარტახებული მეურნეობა ფეხზე დააყენა. თუხარელები კბილების კრაჭუნით უცქეროდენ ირგვლივ თავიანთ ძველ ქონებას, მაგრამ რას გააწყობენ?

გაფუქებული აზნაურები ბედმა არ მოიძულა. ჩამოვარდა ნიკოლოზი, მოვიდა ჟორდანია, ჩამოვარდა ჟორდანიაც და ბოლოს მუშებმა და გლეხებმა აფრიალეს გამარჯვების დროშა.

ტერ-აკოფოვს მაშინვე ანდერძი აუგეს თეძმის ხევიდან. თავისაც ბევრი დაატოვებინეს და, რასაკვირველია, თუხარელებისეულიც. მაგრამ არ ეძინათ ძველ აზნაურებს. რევოლიუციამ მათ „ზიარებასავით“ მოუსწრო. ადგენ და პირველ ხანებში, როცა ყველაფერი თავის კალაპოტში არ იყო ჩამდგარი, შეცვიდნენ თავიანთ ყოფილ მამულში. აკოფოვის მიერ აშენებული სახლიც სარგებლად დახვდათ. მუშებსა და გლეხებს რევოლიუციის მოხდენისათვის მადლობა შეუთვალეს და თქვენი მოწონებული ცხოვრება გააჩაღეს ძველ საბუდარში.

მას შემდეგ ხუთი წელი გადის. რა საშუალებას არ მიმართავენ თეძმისხეველი გლეხები, მაგრამ ძველი ბატონების ბუნაგიდან გამოდენა არ ხერხდება. ეტყობა მაგრათ მოიკიდეს თათი ამ მდიდარ ქონებაზე. სოფელს კი უბრალო შენობაც არ გააჩნია სამეურნეო სკოლისათვის.

ნუ თუ ამის შემდეგ თქვენ კიდევ იტყვით, რომ სასწაული არ ხდება ამ ქვეყანაზე? ვერა, ვერ იტყვით, სანამ თუხარელები ოხრად ნაშოვნ ქონებიდან არ განიდევნებიან.

მოსული.

ახტალა

(წერილი კახეთიდან)

ახტალის სახელი ბევრს გაუგონია. ბევრს ქარებით დაავადმყოფებულს უნდა აქ ჩამოსვლა ტალახებზე, მაგრამ ვერ გაუბედია, ვინაიდან აქაურ პირობებსა და ცხოვრებას არ არის გაცნობილი.

თბილისის რკ. გზის სადგურიდან კახეთის გზაზე გურჯაანი მეშვიდე სადგურია. ამ სადგურს ახლავს ახტალის ტალახები 100—150 საჟენის მანძილზე. თბილისიდან მატარებელი მოდის დღეში ორჯერ: დილის ხუთ საათზე და ნაშუადღევის ოთხ საათზე, ბილეთი ღირს 2 მ. 53 კ. აგარაკს უკავია მაღლობი, ფართო ადგილი, რომელიც გადაჰყურებს ალაზნის ველს.

ახტალას მშვენივრად შემკობილი მდებარეობა აქვს; ჰაერი სალია; კურორტზე გაშენებულია 5—6 ბარაკი; თითო ბარაკში სამ-სამი ოთახია ავათმყოფთა მოსათავსებლად. ოთახებში სდგას კრაოტები და ტახტები. კურორტზე არის სასადილო, სადაც შესაძლებელია ხელსაყრელ ფასებში სადილობა. იქვე სდგას დახურული ქვაბები ჩაის წყლის ასადუღებლად; მსახური ადუღებს წყალს დილა-საღამოს. საცხოვრებელ ბინებს ქვემოდ, 50 საჟენის დაშორებით, დაბლობში სდგას ტალახის ტბები. სადაც ავათმყოფთათვის მოწყობილია აბაზანები (ვანები): ქალებისათვის ცალკე, კაცებისათვისაც ცალკე. კურორტის ექიმის შემოწმებით ავათმყოფი მიიღებს დღეში ერთ ვანას 28—35 გრადუსამდი. ასეთ ცხელ ვანებს ღებულობენ ისინი, ვინც ქარებით არიან შეპყრობილნი; არის აგრეთვე განყოფილებები ცივი ტალახის მისაღებათ, როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის. ცივ ტალახში ჩადიან უფრო ხშირად ნერვებით დასუსტებულნი (რასაკვირველია, ექიმების შემოწმებით). ტალახის ტბა ხუთი—ექვსია; ნაცრის ფერისაა, თხელია და სხვადასხვა ნივთიერებისაგან შესდგება. ხელოვნურად გაცხელებული ტალახის ვანა ღირს კავშირის წევრთათვის მანეთი, გარეშეთათვის მანეთ ნახევარი, ცივი კი ექვსი და ათი შაური.

ბარაკის თითეულ ოთახში სდგას 4—5 კრაოტი, ან ტახტი; გარეშე პირებსაც და მუშა-მოსამსახურესაც ახდევინებენ ერთ შაურს კრაოტზე მანეთს; ოთახი არის სიგრძით 6—7 არშ. სიგანით 5—6 არშინი, სიმაღლით სამი არშინი და ასეთი ზომის ოთახში მოუთავსებიათ 4—5 ავათმყოფი, როდესაც შესაძლებელია მოთავსდეს მხოლოდ ორი. ამის გამო ღამით ოთახის კარების დახურვა ძნელია, რადგან 4—5 კაცს ჰაერი არ ჰყოფნის. უნდა შევნიშნოთ, რომ კურორტის გამგეობას დიდიფასები დაუდგენია, როგორც ცხელ ვანებზე, ისე კრაოტებზე.

ავადმყოფს დღეში 4—5 მანეთი ეხარჯება. სრულიად საკმარისია თვიოეულ კრაოტზე ათი შაური; ცხელ ვანებზე კი 75 კ. მუშა-მოსამსახურებს შეღავათი არ ეძლევა: ისიც იხდის მანეთს ვანაზე, მანეთს კრაოტზე.

აგრეთვე საჭიროა გლეხებსაც მიექცეს ყურადღება და მათაც ექნეს შეღავათი.

წელს კურორტს აუარებელი ხალხი მოაწყდა სხვადასხვა კუთხეებიდან; დღეში ათი-თორმეტი რიგი ეწყობოდა პირველ სექტემბრამდი, ბილეთი გადიოდა 500-ზე მეტი. ასე თუ ისე, კურორტს აქვს სეზონზე შემოსავალი 30 ათას მანეთამდე და ამ თანხიდან რომ წლიწადში მესამედი დახარჯოს კურორტის გამგეობამ ახტალის აგარ. კეთილმოწყობისათვის, ახტალას ადგილი არ ემჯობინება. ყველაზე უწინ საჭიროა რიგიანი ბინების მოწყობა და ოთახების საკმაო რიცხვი, შემდეგ ვანების გადაკეთება-გასუფთავება და ისეთი წესრიგის დამყარება, რომ ავათმყოფს ბილეთის ასაღებათ არ დასჭირდეს დილიდან საღამომდი სალაროს წინ ფარდულში გაჩერება და ცდა.

ლასნარიძე.

არ გამოგვადგა ნიკორა *)

(ნამდვილი ამბავი ს. საქობის, სიღნ. მ., ცხოვრებიდან)

საქობოსა გვყავს ნიკორა,
(ვაქებდით, არა იყო რა)
სოფელში ბევრსა ტრაბახობს,
კარგი ვერაფის გვიყო რა.
ჯერ წინად იყო კომისრად,
ვერაფრით გვარგო სოფელსა,
(ის კი თავის თავს უწოდებს
ყველასთვის კეთილმყოფელსა.)
შემდეგ კი ამოარჩიეს,
საქობოს ბანკის გამგეთა,
შეჭამა ბანკის ფულები
(კბილები არც კი დაკვეთა)
თან გაიხადა ნათლიად,
ის ნამღვდელარი დათია,
ორთავ ურიეს ფულებში
თავის ბინძური თათია.
მაგრამ გამოჩნდა „ამაგი“
„ნამოღვაწარი“ სულ ყველა,
ნიკამ დასტოვა დათია,
ისეც თავის თავს უშველა.
კრებაზე გამოაცხადა:
—რა ვქნა სხვამ შემაცდინაო,
ჩემ თავს მე თვითონ ვიწყევლი,
დედამ რად გამაჩინაო.—
ცოდვა შეუნდეს და თემი
კვლავ იმას ჩააბარესო.
—ჭკუით იყავი, არ შეცდე,—
თან ასე დააბარესო.
მაგრამ მოსტყუვდა სოფელი,
ნიკა არც ეხლა გვარგია,
ტყვილად გავწურთნეთ სკოლაში
ტყვილად გავსწიეთ ხარჯია.
ის თავის საქმეს აკეთებს,—
სოფელი ფეხზე ჰკიდია,
არც წყალს გვიკეთებს, არც გზას,
ტრაბახობს, ცრუ და ფლიდია.
სოფელს ბევრი რამ აკლია,
სკოლა, გზები და წყალია,
ნიკორას მისთვის სცალია?!.
გზაზე ბარბაცებს მთვრალია.

გლეხი **გიო. ქანაველი.**

ს. საქობო, სიღნ. მ.

---

*) ნიკო ჯაფარიძე.

ფეოდალიზმის ნაშთები უნდა აღმოიფხვრას

(ს. ზედარგანი, შორ. მ.)

ჩვენს მაზრაში, როგორც ყველგან, არსებობს საადგილ-მამულო განყოფილება. სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ ამ განყოფილებამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა, მაგრამ ნათქვამია: „ერთი ალილუია მღვდელსაც შეცდება“. ამ მხრით, ჩემის აზრით, დიდი შეცდომაა დაშვებული იმ მემამულე-შავიქვის მრეწველთა მიმართ, რომელთაც დღესაც-კი შერჩენიათ სოფლათ სახნავი ადგილები, სასახლეები, ვენახები და მშვენიერი ბაღები. იმ შავი ქვის მრეწველებს, რომლებსაც ქ. ჭიათურაში (ვინ იცის, იქნებ თბილისშიც) სასახლეები აქვთ წამოჭიმული და რომლებიც მრეწველობას ეწევიან, არ უნდა ჰქონდესთ ერთი მტკაველი მიწაც-კი.

მიწის კოდექსის, ნაწილი პირველი, კარი I, ასე განმარტავს მიწათსარგებლობის უფლებას: „მიწის სარგებლობის უფლება სასოფლო მეურნეობის საწარმოებლად ამა კოდექსით დაწესებულ ნორმებში აქვს საქართველოს ს.ს. რესპ. ყველა მოქალაქეს, ვინც მოისურვებს მიწის დამუშავებას საკუთარი შრომით“.

ამგვარად დასკვნა ერთია: არც ერთი მტკაველი მიწა მას, ვინც საკუთარი შრომით არ ამუშავებს მიწას.

ს. ზედარგანში ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ჯ. აბაშიძეს და ლეჟავათაგანს სრულიადაც არ შეხებია მიწის კოდექსის ეს მუხლი და, თუ ზამთრობით ქალაქად ცხოვრობენ, ზაფხულობით საავარაკოთ ზედარგანში დაპარპაშობენ დიამბეგივით.

დროა ამას მიაქციონ სათანადო ყურადღება და ეს ნაკლი აღმოფხვრილი იქნეს დაკვრითი წესით, ამით გლეხობა დიდი მადლობელი იქნება და არც მოჭ. აბაშიძე წააგებს რამეს, ვიანიდან ეფისკოპოსების მიწვევას ჭიათურაშიც კარგად მოახერხებს.

ფეოდალიზმის ნაშთები უნდა სამუდამოთ ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას.

ომერ-ოღლი.

მუშათა ცხოვრება

ქ. ხონის აბრეშუმის ქარხანა



(მისი საზეიმო გახსნის გამო)

სამეურნეო ფრონტზე კიდევ ერთი უდიდესი გამარჯვება

უკვე თვე შესრულდა მას აქეთ, რაც ქარხნის საყვირმა აცნობა ქ. ხონის მცხოვრებთ ახალი ქარხნის საზეიმო გახსნა.

ქ. ხონი ითვლება ქუთაისის მაზრაში მეაბრეშუმეობის ცენტრად. აქ თვითეული მოსახლე ვალდებულად სთვლის თავის თავს აბრეშუმი მოიყვანოს.

ლამაზი სურათია, როდესაც ხონის შორეულ მიდამოებიდანაც პარკს, ეზიდებიან გლეხები. წელს, აბრეშუმის წარმოება საგრძნობლად გაფართოვდა და გრანდიოზული სახე მიიღო.

გვაქვს ხუთი ფარდული და სპეციალური პარკის საშრობი მანქანა, რომელსაც 200 ფუთი პარკის გაშრობა შეუძლია დღე და ღამეში. წელს შემოზიდული პარკის რაოდენობა აღწევს 16.000 ფუთამდე, რაც შეადგენს 1913 წელთან შედარებით 8-ჯერ უფრო მეტს. წელსავე გაიხსნა ძაფის ამოსაღები ქარხანა. თუ რა ძნელ პირობებში მოუხდა მუშაობა აღმასკომს, ამაზედ ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ აღმასკომის თავმჯდომარის ვ. ზ. ნადარეიშვილის მტკიცე ენერგიის წყალობით ეს დაბრკოლებანი გადალახული იქნა და ხონმა თავის მიზანს მიაღწია.

მანქანები ახალია, იტალიიდან ჩამოტანილი და ლამაზად აწყობილია. მუშა-ხელი მხოლოდ ქალებიდან შესდგება. 200-ზე მეტი ქალია. თვითეული მათგანი 2 გირვანქამდე ახვევს **სამუშაო დღის განმავლობაში.** განზრახულია ორ წყებად მუშაობა. დღეში **ახვევა 300—400 გირვენქამდე ძაფი.**

გარდა სამრეწველო მნიშვნელობისა, მას მცხოვრებთათვის ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს, როგორც მუშა-ხელისათვის სამუშაოს გაჩენისა, ისე ქალაქის ეკონომიურად გამაგრებისათვის.

დიდ მნიშვნელოვან ქალაქად გადიქცევა ხონი, თუ იქნა მის სასარგებლოდ საბოლოოდ გადაჭრილი რკინისგზის გაყვანის საქმეც.

უკვე სამეგრელოდან და სხვა მხარეებიდან მოაქვთ აქ, როგორც პარკი, ისე საქონელი და რკინისგზის გაყვანის შემდეგ, რომ იმატებს აღებ-მიცემობა ცხადია.

გვაქვს ჰიდრო-ელექტრო-სადგური, კინო-თეატრი, ვაშენებთ სახალხო სახლს, რაც დამამტკიცებელია იმის, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მტკიცედ სდგანან საბჭოთა აღმშენებლობის სადარაჯოზე.

ხ. ვ. მებუკე.

მზადება მუშათა კლუბის გამგეობის გადარჩევისათვის

(სენაკელი მუშკორისაგან)

სენაკის სამპროფბიურომ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა შეუდგეს კლუბის გამგეობის გადარჩევის კამპანიის ჩატარებას და არჩევნები მოათავოს ამ თვეში.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ სენაკის ცენტრალურ მუშათა კლუბის სათავეში უნდა დავაყენოთ ისეთი ხალხი, რომელთაც შეუძლიათ მუშაობა, აქვთ ენერგია და უნარი და ამავე დროს სარგებლობენ მუშათა მასსის ნდობით.

ვის უნდა ავირჩიოთ გამგეობაში?

აქტიური პროფმუშაკები. ამავე დროს ფართოდ უნდა გაუხსნათ კარები უპარტიო მასსას. ამ წრიდან გამგეობაში ისეთი ხალხი უნდა ავირჩიოთ, რომელთაც უკეთესად უპარტიო მასსა ენდობა და მიყვება.

ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება. ეს გახლავთ მეტად დატვირთული ხალხის არჩევა გამგეობაში. დატვირთული ხალხი ვერაფერს აკეთებს და აფერხებს კლუბის მუშაობას. ამიტომ ნაკლებ დატვირთული ხალხის ჩაბმას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

ასეთი გამგეობა კლუბის საქმეს წინ წასწევს, მუშათა მასსას შემოიკრებს და მუშაობას გააცხოველებს.

მაშ, არჩევნები კარზეა!

ვემზადოთ არჩევნებისათვის!..

ბ. უჩანეიშვილი.

როდის გვაღირსებთ საპირფარეშოს!

უკვე 7 თვე გადის მას შემდეგ, რაც რკ.-გზ. პრ/6-მა პლეხანოვის სახელობის კლუბის ეზოში საპირფარეშოს აგება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთ-აღრიცხვით იქნა გაცემული 2.400 მან. მაინც დღემდის მის მოთავებას არაფერი ეშველა. პრ/6 თავს არ იწუხებს ამ საქმეზე. პლეხანოვის კლუბის ბაღს ყოველდღე აუარებელი მშრომელი ხალხი ეწყობა დასასვენებლად და აქ საერთო საპირფარეშოს უქონლობა ხელს უწყობს უსუფთაობას და საბინძურეს. ზაფხული უკვე გადის საპირფარეშო კი დაუმთავრებელია.

საჭიროა პრ/6-მა დაგვიმთავროს საპირფარეშო დროზე.

მუშკორი წ—ჯ.

ჩვენი კედლის გაზეთები

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კედლის გაზეთს. კედლის გაზეთი ააშკარავებს ჩვენი დაწესებულების უარყოფით და დადებით მხარეებს, ამზადებს და რაზმავს მუშა-კალმოსანთა ახალ ძალებს. მასთან კედლის გაზეთი ემსახურება წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულად და ზნეობრივად ამაღლების საქმეს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენმა კედლის გაზეთებმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს.

მაგრამ მიღწევებთან ერთად. მათ თან ახლავს ნაკლიც. ეს ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთი კედლის გაზეთი სცილდება თავის ნამდვილ ფარგლებს და ეპოტინება ისეთ საკითხებს, რომელთა გარკვევის ძალა მას არ შესწევს. ისინი ათავსებენ გრძელ წერილებს, საერთაშორისო პოლიტიკაზედ, ეკონომიურ საკითხებზედ და სხვა.

ეს იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ყოფა-ცხოვრება უყურადღებოდ რჩება.

ეს კი შეცდომაა. მუშებს, ეს გრძელი და უცხო სიტყვებით აჭრელებული წერილები არ აინტერესებს და გაზეთი მათთვის გაუგებარი რჩება. ამის გამოსწორებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი კედლის გაზეთების ხელმძღვანელებმა.

კედლის გაზეთმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივ საკითხებს. წარმოების ავკარგიანობას. მის ნაკლსა და მიღწევებს და მით შექმნას მუშათა საზოგადოებრივი აზრი.

აქ ხაზი უნდა გავუსვათ მეორე გარემოებასაც. კორესპონდენტთა წრეები ყველა კედლის გაზეთებთან არ არიან ჩამოყალიბებული. აგრეთვე სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის არის განაწილებული მუშაობა ისე, როგორც ამას მოითხოვს წესი. შექმნილია ისეთი პირობები, რომ მთელ სარედაქციო კოლეგიის მუშაობას აწარმოებს ერთი ამხანაგი.

კედლის გაზეთებმა, რომ თავისი დანიშნულება შეასრულონ, ამისათვის მათ უნდა ჰქონდეს მჭიდრო კავშირი მუშათა მასსებთან. კედლის გაზეთი უნდა იყოს მასიური ორგანო; მასში უნდა თანამშრომლობდეს უმთავრესად მუშები და გლეხები; კედლის გაზეთი უნდა გამოდიოდეს ორ კვირაში ერთხელ მაინც.

აი ამ პირობების დაცვით შესძლებენ ჩვენი კედლის გაზეთები თავის დანიშნულების შესრულებას.

ჩვენ წარმოებაში და დაწესებულებაში საკმაოდ გვყავს ახალგაზრდა თანამშრომლები, რომელთაც ესაჭიროებათ ხელმძღვანელობა. საჭიროა კედლკორობაში ჩავაბათ, წარმოებაში დაბანდებული ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც მომავალი თაობა. იგი ვალდებულია კედლის გაზეთის სისტემატიურ გამოშვებაში მიიღოს მხურვალე მონაწილეობა, არა მარტო მშრალი მუსაიფით და ლაპარაკით, არამედ საქმიანი მუშაობითაც.

აი ყველა ის სუსტი მხარეები, რომელთა გამოსწორებაც საჭიროა ჩვენი კედლის გაზეთების ჯეროვან სიმაღლეზედ დასაყენებლად.

ჩვენი უახლოესი ყურადღებაც აქეთ უნდა იქნეს მიმართული.

მუშკორი ის. გოგიბერიძე.

ნუ დაგვტოვებთ ქუჩაზე

გასულ სამოსწავლო წელს ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მსმენელებიდან ორმოციოდე სტუდენტს გვქონდა საერთო საცხოვრებელი ბინა ამავე ინსტიტუტის შენობაში. მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის კი საერთო საცხოვრებელი მოხსნილი იქნა, რადგანაც სასწავლებელი გადატოვედა ახალ პარალელურ ჯგუფების გახსნით. საერთო საცხოვრებლის მოხსნის შემდეგ ნაწილი სტუდენტებისა სრულიად უბინაოდ დარჩა და ზოგს სადგურზე უხდება ღამის გათევა, ზოგიერთებს კი პირდაპირ ქუჩაში.

პედაგოგიურ ინსტიტუტში თითქმის ასი პროცენტი მსმენელებისა სტიპენდიანტებია. ღარიბესი გლეხების და მუშების შვილები თვიური სტიპენდიით (ოცი მანეთით) რასაკვირველია ვერც შესძლებენ კერძო ოთახების დაქირავებას რადგანაც კერძო ოთახის პატრონს წინ და წინ უნდა მისცე არა ნაკლებ თორმეტი თუმნისა თითო ოთახზე.

განათლების კომისარიატმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და სადმე უნდა აღმოგვიჩინოს ორი—სამი ოთახი მაინც. თვითონ მსმენელები ბევრს დაეხეტებიან ბინის საშოვნელად, მაგრამ ამაოდ.

ნუ დაგვტოვებთ ქუჩაში !

მუშკორი მეთვალყურე.

მუშათა ქრონიკა

— **ადგილკომის გადარჩევა.** 13 სექტემბერს სად. ჭალადიდის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გადაარჩია ადგილკომი. კრებამ ადგილკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

— **რეჟისორის მოწვევა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბის გამგეობა რუსული დრამწრის რეჟისორათ იწვევს ამხ. **რატოვს.**

— **კედგაზეთი „მეხი“.** სად. ნავთლუღის კულტ-კომისია უშვებს ყოველთვიურ კედლის გაზეთს „მეხი“-ს სახელწოდებით. კედლის გაზეთი აშუქებს ადგილობრივ წარმოების და მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

— **ღია სხდომები.** ხაშურის საუბკომის ორგანიზაციულმა თათბირმა საჭიროთ სცნო, რათა ადგილკომებმა მოახდინონ ყოველთვიურათ ღია სხდომები, სადაც დაესწრებიან სხვა მუშებიც.

— **მუშა-მომღერალთა გუნდი.** ქუთაისის რკინისგზის კლუბთან ახლო მომავალში დაარსდება მუშა-მომღერალთა გუნდი. აღნიშნულ გუნდის ხელმძღვანელად მოწვეული იქნება ამხ. შარაბიძე.

— **დრამწრე.** ქუთაისის რკინის გზის კლუბთან არსებულ დრამწრის რეჟისორად მოწვეულია ამხ. ბოჭორიშვილი, დრამწრე შეუდგა უკვე მუშაობას. დრამწრის საერთო კრებამ დრამწრეში მიიღო 3 კაცი. მუშაობა გაცხოველებულად მიმდინარეობს.

— **გაფრთხილება.** სადგ. ჭიათურის ადგილკომმა გაფრთხილება მისცა კავშირის იმ წევრებს, რომელნიც თავის დროზე არ იხდიან 2 პროცენტულ ანარიცხებს.

— **გამოცდების დაწყება.** რკ. გზ. მუშათა ფაკულტეტში მისაღები გამოცდები დაიწყო 14 სექტემბერს.

— **კედ. გაზეთი „ეკალი“.** 5 სექტემბერს გამოუშვა სად. წნორის - წყლის კულტკომისიამ კედლის გაზეთი „ეკალი“-ს სახელწოდებით.

— **ხელსაწყო იარაღები.** სად. ჭიათურის საწარმოო თათბირმა აღძრა შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რათა სალიანდაგო დარგში ბოლო მოეღოს ხელსაწყო იარაღების უქონლობას.

— **ფულადი მომჭირნეობა.** ქუთაისის საწარმოო კომისიის თათბირის ფულადი მომჭირნეობა უდრის ივნისის თვეში სულ 168 მანეთს.

— **გაფიცულთა სასარგებლოდ.** სად. ქუთაისის ადგილკომმა ინგლისის გაფიცულთა სასარგებლოდ შეკრიბა მუშებში 320 მან. და 70 კაპ.

— **კვირაში ორჯერ.** ქუთაისის რკინისგზის კლუბში კვირაში 2-ჯერ მუშებისათვის უჩვენებენ კინო-სურათს.

ქრონიკა

კაზუო - მიკეს ჩამოსვლა

გუშინ, 23 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა სამხედრო აგენტი იაპონიის ხელჩოსთან მოსკოვში, პოლკოვნიკი კაზუო-მიკე. კაზუო-მიკე მოგზაურობს საბჭოთა კავშირში.

„სტროიპუტ"-ის ლიკვიდაცია

ამჟამად სწარმოებს ჩრდილო-კავკასიის რკინის გზათა გამგეობასთან არსებული სააღმშენებლო კანტორის ამიერ-კავკასიის განყოფილების, „სტროიპუტ"-ის ლიკვიდაცია.

ლიკვიდაციის მიზეზია სააღმშენებლო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოების „სამშენის" დაარსება. 1925—26 სამეურნეო წლისათვის ყველა სააღმშენებლო სამუშაოები საქართველოს ფარგლებში ნაკისრი აქვს საზ-ბა „სამშენს". „სტროიპუტმა" შეასრულა 1 მილიონ მანეთზე მეტი ღირებული სამუშაოები.

საგლეხო სესხის რეალიზაცია

მთელ საბჭოთა კავშირში კარგი მოსავლის გამო, გლეხებში გაიზარდა მოთხოვნილება მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების შესაძენად.

საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები ობლიგაციების გლეხებში ფართოთ გავრცელების შესახებ. ობლიგაციები გლეხებს ეძლევათ სესხის სახით.

ტრაქტორები

მომავალ წელში საბჭოთა კავშირში შემოზიდულ ტრაქტორების საერთო რაოდენობიდან ა.-კავკასიას დაეთმობა 3 პროცენტი.

მცხოვრებთა აღწერისათვის

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველომ გადასწყვიტა საერთო საკავშირო აღწერის დღეთ დანიშნოს 17 დეკემბერი. ამ დღეს მთელ საბჭოთა კავშირში მოხდება მცხოვრებთა აღწერა, შუა აზიის რესპუბლიკების გარდა. ამ რესპუბლიკებში კლიმატიური პირობების გამო აღწერა ჩატარდება მომავალი წლის გაზაფხულზე.

გამფლანგველი კანაევი

ვასილ კანაევი ირიცხებოდა ქ. ველსკის მზექდავთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნათ.

კანაევმა გაფლანგა 439 მან. და ამ წლის ივნისის თვიდან მიიმალა.

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ გამფლანგველი კანაევ დაპატიმრებულ იქნა თბილისში და გადაიგზავნა ქ. ველსკში.

თბილისის აღმასკომში

— **ქალაქის ტერიტორია.** 27 სექტემბერს შესდგება ქალაქის ფარგლების გამომრკვევ კომისიის პირველი სხდომა.

— **საბინაო მშენებლობა.** საბინაო მშენებლობის თბილისის დამხმარე კომიტეტმა საბინაო მშენებლობის ამხ-ბა „მელითონე"-ს სესხად მისცა 6000 მან.

— **ტრამვაის ახალი ხაზი.** ახლო ხანში შეუდგებიან სახ. უნივერსიტეტიდან ყოფ. სემინარიამდე ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას.

— **ტრამვაის სამმართველომ** გადასდო 6000 მან. კონდუქტორებისათვის ბინის ასაგებათ და მუშა-მოსამსახურეთა სასადილოს გასაფართოებლად.

— **ქალაქის ბაღების** გასამშვენიერებლად და მოსაწყობად კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასდო 48.875 მან.

ა.-კ. შინავაჭრობის კომისარიატში

— **ბრინჯი.** ა.-კ. შინავაჭრობის კომისარიატმა ნიჟეგოროდის ბაზარზე შეიძინა 60 ათას ფ. ბრინჯი.

— **საციებლები.** ა.-კ. შინავაჭრ. კომისარიატთან დაარსდა საციებელ საწყობების მომწყობი კომისია.

— **თხილი.** შინავაჭრობის კომისარიატი წელს დასავლეთ საქართველოში დაამზადებს 120 ათას ფ. თხილს.

სხვადასხვა

— **სახელმწიფო დაზღვევის** სამმართველომ აღმოსავლეთ საქართველოში ყველგან მოაწყო თავისი სააგენტოები.

— **საქონლის გატანა.** გასულ თვეში ა.-კავკასიიდან გატანილია 9.900 ფ. ბამბა და 23.000 ფ. მატყლი.

— **სიმინდის მოსავალი.** მუდმივი წვიმების გამო, დასავლეთ საქართველოში სიმინდის მოსავალი წელს ცუდია.

— **პურის ქარხანა.** თბილისში ეწყობა პურის საცხობი დიდი ქარხანა, რომლის აგება დაჯდება 370 ათასი მან. ქარხანა დღე-ღამეში გამოაცხობს 1500 ფ. პურს.

— **საქართველოს საწარმოო ძალთა** შესასწავლად არსდება განსაკუთრებული ორგანიზაცია.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** (კალოუბნის ქ. 3) დღეს, საღამოს 7 საათზე ბავშთა მეგობრობის თბილისის საზ-ბა მართავს „ქუჩის ბავშთა" საღამოს, მოსკოვის სამხატვრო სახელოსნოს მონაწილეობით.

— **მედსანშრომის კავშირი** შეუდგა კავშირის წევრ ექიმების უფლებრივ მდგომარეობის გამოკვლევას.

აბრეშუმის გატანა. ამჟამად სამტრედიაში აბრეშუმის პარკით იტვირთება 35 ვაგონისაგან შემდგარი სამარშრუტო მატარებელი. პარკი მიაქვთ საფრანგეთში.

ბრძოლა ექიმბაშობასთან. თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება აწყობს ექიმბაშობასთან ბრძოლის კვირეულს. ამ მიზნით განყოფილების მიერ მოწვეულია ხუთი ექიმი.

ექიმები პროვინციაში. ჯანსახკომმა პროვინციაში გაგზავნა 50 ექიმი.

დაზგები. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ საზღვარგარეთიდან გამოიწერა 45 ათას მანეთად ღირებული დაზგები.

ავიაქიმის წესდება. ა.-კ. ავიაქიმმა შეიმუშავა საზოგადოების ახალი წესდება, რომელიც გადაეცა დასამტკიცებლად ა.-კ. სახკომსაბჭოს.

— **სტენოგრაფიის კურსებზე.** ვანსახკომის პროფგანათლების მთავარმმართველობასთან არსებულ ქართულ სტენოგრაფიის კურსებზე მეცადინეობა განახლებულია; მსმენელთა ჩარიცხვა იწარმოებს 1-ლ ოქტომბრამდე.

— **საზ-ბა „იმერეთი"** ძირულაში ხსნის ღვინის შემსყიდველ და დასამზადებელ პუნქტს.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინ, საღამოს თავი მოიწამლა ოლიმპიადა **ჯორჯანიძემ** (მამადავითის ქ. № 3).

მიზეზი გამოურკვეველია.

ჯორჯანიძე სიკვდილს გადაარჩინეს.

— **კაცის დაკარგვა.** ოთხშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე ლენინის ქ. № 50 მცხოვრები მეეზოვე მიხა ქუთათელაძე გავიდა სადარაჯოზე. ამის შემდეგ ის აღარ სჩანს. წლოვანობით არის 65 წლის, საშუალო ტანის, თეთრწვერიანი.

თხოვნაა, თუ ვინმე იცის რამე მის შესახებ, აცნობონ გინეკოლოგიურ ინსტიტუტში. ტელეფ. № 20-86, შალიკო ქუთათელაძეს.

— **საპარიკმახეროების მეპატრონენი** ჭოხონელიძე და ჩხაიძე დაჯარიმებული არიან აღმასკომის № 94 სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

— **გაძარცვა.** 21 სექტ. ღამით საგარეჯოში ყაჩაღება გაძარცვეს მოქ. შარატავა. წაიღეს 150 მ. ნივთები.

— **სახელოსნოს გაქურდვა.** 22 სექტ. გაქურდეს ელბაქიძის დაღმართზე მდებარე ხომასურიძის სახელოსნო.

— **ქურდობა.** 22 სექტ. ლენინის ქ. № 14 გაქურდეს ექიმ მეფისოვის ბინა.

— **ამავე დღეს გაქურდეს** (ბაზრის ქ. № 18) რაფიელ გიორგაძის ბინა.

ხელოვნება

პავლოვ-არბენინის გასტროლები

სიმფონიურ ორკესტრის კოლექტივის მიერ საგასტროლოდ მოწვეული დირიჟორი პავლოვ-არბენინი გამოვიდა თბილისში დიდი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის საპასუხისმგებლო როლში.

პავლოვ-არბენინი ეკუთვნის გამოჩენილ თანამედროვე კაპელმეისტერების ჯგუფს.

მას აქვს დიდი მუსიკალური ალღო, დიდი ტემპერამენტი და ორკესტრის დამორჩილების დიდი უნარი. მისი დირიჟორობის თვალსაჩინო, დადებით მხარეს წარმოადგენს ორკესტრის მიერ შესრულებულ სიმფონიურ ნაწარმოების გარკვეული, ნათელი და შინაარსიანი სურათის ასახვა; შესრულების დროს გარკვეულად მოისმის ყოველი საკრავის ტემპი, ხოლო ამავე დროს ყველა ეს ხმები ერთდებიან ერთ, მთლიან და მშვენიერ აკორდში (კონსონანსა). გარდა ამისა კიდევ უნდა აღინიშნოს მსახიობის დახელოვნება ფაქიზად და გარკვეულად გადმოცემაში, რითაც აუდიტორია თავიდანვე შებოჭილი რჩება საორკესტრო შესრულებით; დიდი ხნის ნაცნობი ნაწარმოები თითქოს ეს არის გაიზარდა და უფრო ხმოვანი გახდა, ხოლო შესრულება უფრო მხატვრული.

საკონცერტო პროგრამის კარდინალურ ნაწილს წარმოადგენდა გექტორ ბერლიოზის თბილისში ჯერ არ შესრულებული ფანტასტიური სიმფონია, ნაწარმოები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთ ნაწარმოებთაგანს, სადაც მუსიკა დაწერილია პროგრამის მიხედვით და სადაც მუსიკა ანსახიერებს ხალხურ განცდებს (იმპრესიონიზმი). მაგრამ ამჟამად სიმფონიის მუსიკალური შინაარსი თითქოს მოძველებულია და მხოლოდ ორკესტრის შესრულებაში ისეთი გამოჩენილი დირიჟორის ხელმძღვანელობით, როგორიცაა პავლოვ-არბენინი, ამ სიმფონიას შეუძლია შთაბეჭდილების დატოვება. მასში ცოტაა მუსიკა, მაგრამ, სამაგიეროდ ბევრია ეფექტიური ადგილები, რომლებიც გამოჰყო და განსაკუთრებულად აღნიშნა გასტროლიორმა.

მშვენიერად შეასრულა სომმერმა ლისტის სიმფონიური პოემა „პრელიუდია". გამოვიდა აგრეთვე ორკესტრის კონცერტმეისტერი სტუპელი, რომელმაც დიდი მუსიკალობითა და ღრმა ტონით შეასრულა ვოლტერის არია ვაგნერის ოპერიდან, სიმღერის „ნიურენბერგელი ხელოვნები".

კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა კავშირში. კვირას, 26 სექტემბერს, დღის 12 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: თოდრია, აკოპიანი, ზომლეთელი, ვართანიანი, კრეიტანი, ნავთლუღელი, დუდუჩავა, მაშაშვილი, ვაკელი, ეული, რადიანი და საქ. კომ. პ. ც-კ-ასა და თ-კ-ას წარმომადგენლები.

— **ვასო აბაშიძის ავადმყოფობა.** რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ვასო აბაშიძე მძიმე ავად არის.

— **სერგეი ესენინის** ხსოვნის აღსანიშნავად, შაბათს 25 სექტემბერს განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება საღამო.

— **მუსიკალური სტუდია** ახლო ხანში გამართავს იტალიელ კლასიკურ მუსიკოსების საღამოს.

— **ლენინაკანში** შენდება ახალი კინო-თეატრი 700 კაცისათვის.

— **საგარეჯოს თეატრის 50 წლის იუბილე** 26 სექტემბრის ნაცვლად გაიმართება 3 ოქტომბერს.

— **„ბეჭედი დანაკით".** კინოპალასში დაიწყო ჩვენება ახალი სურათის „ბეჭედი დანაკით" დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.

— **სომეხ კომპოზიტორის** სპენდიაროვის 25 წლის იუბილე გაიმართება ერევანში 3 ოქტომბერს.

— **სახ. კონსერვატორიის დარბაზში** შაბათს, 25 სექტემბერს გაიმართება ი. ბროდსკის კონცერტი.

ფეხბურთი

„რუსკაბელი"

გუშინწინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „რუსკაბელი". ეს გუნდი ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლება საბჭოთა რუსეთში. იგი შესდგება უმთავრესად მელითონეებისაგან და ნაწილობრივ საბჭოთა მოსამსახურეებისა და სტუდენტებისაგან.

„რუსკაბელი" გამოვიდა მოსკოვიდან 7 სექტემბერს. 12 სექტემბერს მან აწარმოვა შეჯიბრება თბილისის საზოგადოებისათვის კარგათ ცნობილ ხარკოვის მკრეფ გუნდთან. შეჯიბრი დასრულდა „რუსკაბელი"-ს სასარგებლოთ (4:3).

თბილისში ყოფნის დროს, „რუსკაბელი" შეეჯიბრება ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდებს —„არსრაიონს". „დინამოს" და „დუროუჯს". ამის შემდეგ გუნდი გაემგზავრება ბათომში, სადაც იგი შეეჯიბრება ბათომის მკრეფ გუნდს. ბათომიდან გუნდი დაბრუნდება უკან — მოსკოვში, მაგრამ გზაში გაითამაშებს ბაქოს, და როსტოვის ფეხბურთელთა მკრეფ გუნდებთან.

„რუსკაბელი"-ს გუნდის შემადგენლობა შემდეგია: **გლაზუნოვი** — გოლერი, **პეტროვი** (1-ლი ბეკი), **პოფლიაკოვი** (მე-2 ბეკი), **ოვეჩკინი ივ., მაკაროვი და ოვეჩკინი პ., ხავბეკები, დმიტრიევი, გუროვი, ბელიაევი, ოლენევი და შუმელი—ფორვარდები.**

ამას გარდა გუნდში შედიან სათადარიგო მოთამაშენიც — **ხრუსტალევი, გავრილუშკინი და შელიაგინი.**

გუნდის წარმომადგენლად გამოყოფილია **ნიკოვიდი**, გუნდის კაპიტანად ითვლება ამხ. **ვ. მაკაროვი.**

ფეხბურთელთა შეჯიბრები

შაბათს, 25 სექტემბერს, მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „რუსკაბელი" შეეჯიბრება „არსრაიონის" გუნდს, 26 სექტემბერს „დუროუჯს", ხოლო 28 სექტემბერს — „დინამო"-ს.

თბილისის ფიზკულტურის საბჭომ სამოსამართლო კომისიაში გამოჰყო ამხ. ამხ. **სამუშია, გალერი** და **იოსავა.**

ნარევი

მარკების გამოფენა

...ოქტომბერში ნიუ-იორკში იხსნება მარკების დიდი გამოფენა. გაზეთების ცნობით გამოფენილი იქნება სხვადასხვა ქვეყნების 30.000.000 მანეთის მარკები.

ხელოვნური მეხსიერება

ვაზეთ „მატენ"-ის ცნობით, ყურადღებას იპყრობს ამჟამად პარიზში გამოფენილი „საქმიანი კაცის კაბინეტი". იგი წარმოადგენს კრებულს. მთელ რიგ აპარატებისას, რომლებიც მოაგონებენ საქმიან კაცს სად, როდის და ვისთან აქვს მას დანიშნული მოლაპარაკება, მთელ რიგ უბის წიგნებს, მოძრავი ფურცლებით და სხვ. მაგრამ პირველმა გამოცდამ უარყოფითი შედეგი გამოიღო: ადამიანის ცოცხალი მეხსიერება საბოლოოთ დაიბნა ამ ხელოვნურ მეხსიერებაში.

რეაქცია და მეცნიერება ამერიკაში

ნიუ-იორკის ლიბერალურ ჟურნალ „ნეიშენ"-ში მოყვანილია შემდეგი შემთხვევა მეცნიერებასა და რეაქციის შორის ბრძოლის პრაქტიკიდან ამერიკაში:

ერთმა ახალგაზრდამ შეიტანა განცხადება უმაღლეს საექიმო სკოლაში მიღების შესახებ. იგი საკმაოდ კარგათ მომზადებული აღმოჩნდა, მაგრამ საუბედუროთ განცხადებასთან დართულ ანკეტაში დაწვრილებითი პასუხი გასცა ყველა კითხვებზე. მაგალითად მან აღნიშნა, რომ იგი ურწმუნოა და ამიტომ ასეთი პასუხი მიიღო:

„მოწყალეო ხელმწიფევ, უნდა ვაცნობოთ თქვენ, რომ მიმღებმა კომისიამ განიხილა რა თქვენი განცხადება, უარი სთქვა თქვენს მიღებაზე სკოლაში, ვინაიდან ვერ იქნება კარგი ექიმი ის, ვისაც არ სწამს ღმერთი".

კეთრი გემებზე

ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროების ზოგიერთი ნავთსადგურები საშიშრად არის გამოცხადებული კეთრის მხრივ. როგორც გაზ. „ჩიკაგო ნიუს" იუწყება, ეს აიხსნება იმით, რომ ავსტრალიიდან, აფრიკიდან და სამხრეთ-ამერიკიდან მოსულ მრავალ გემებზე უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი იქნა კეთროვანები. 15 [illegible]სკისტოდან დაწყებული, ყველა გემებს, რომლებიც შეერთებული შტატის ნავთსადგურებში შედიან. ათვალიერებენ, კეთრის სპეციალისტები.

თეატრალური დარბაზების ახალი მოწყობილობა

საფრანგეთის ხელოვნების სამინისტროში ამჟამად იხილავენ ერთ-ერთ ხუროთმოძღვარის მიერ წარმოდგენილ—თეატრალური დარბაზების, კერძოთ კი პარტერების გადაკეთების პროექტს. თეატრალური დარბაზები პარიზის უმთავრეს თეატრებში ისე იქნება გადაკეთებული. რომ მაყურებლები თავის დასაჯდომ სკამებს შორის გავლით. თითეული საჯდომი ადგილის წინ მოწყობილი იქნება ამწევი მექანიზმი, რომლითაც მაყურებელი პირდაპირ მოხვდება თავის სავარძლის წინ პარტერის გვერდით მოწყობილ დარბაზებიდან.

ამერიკელ ბანდიტების ორგანიზაცია

ერთ-ერთი ამერიკელ გაზეთს საინტერესო ცნობები მოჰყავს ნიუ-იორკელ და ჩიკაგოელ ბანდიტების ორგანიზაციის შესახებ.

ბოროტმოქმედთა ბანდების საერთო რიცხვი აღწევს 1.300. თითო ბანდაში შედის 10—20 ბანდიტი. ყველა ბანდებს საჭიროების დროს ფინანსიურ დახმარებას აწევდის სპეციალური ბანდიტთა „სინდიკატი". ბანდიტთა უმრავლესობის ჰასაკი 30 წ. არ აღემატება. ამ ჰასაკის შემდეგ ბანდიტები ანებებენ თავს თავის „ხელობას", იღებენ „სინდიკატიდან" თავის ხვედრ რენტას და ისვენებენ.

„მოგზაურები"

სამგზავრო გემ „ევრიკა"-ს კაპიტანისაგან ლონდონიდან მიღებულია ცნობა, რომ გემმა ატლანტის ოკეანეში იპოვნა ნავი, რომელშიც აღმოჩნდა ორი გრძნობა-მიხდილი ბავში. გამოირკვა, რომ ბავშები გაპარვიან მშობლიებს იმ მიზნით, რომ ჩასულიყვენ ამერიკაში და იქ ებრძოლათ ინდიელებთან. ოკეანეს გავლას ისინი აპირებდენ უბრალო ნავით სამი დღის განმავლობაში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

სარწყავი არხის დაკეტვით ზიანი მოგვაყენეს, როგორ მოვიქცეთ

კითხვა

1902 წლიდან ჩვენ ვსარგებლობდით სარწყავი წყლით, რომელიც გამოდიოდა ქიშვარდი გიორგაძის ადგილიდან და ყოველივე შეკეთებაში, როცა კი ამას საჭიროება მოითხოვდა გიორგაძესთან შეთანხმებით ვეხმარებოდით ჩვენც. 1925 წელს გიორგაძემ წყალის უფლება გადასცა მოქ. სიხარულიძეს და ერთ ღამეს ჩვენს შეუტყობლად დასდგეს ზედ წისქვილი და ამ რიგად მოგვისპეს წყალი. გიორგაძემ მოულოდნელად მოგვთხოვა წყლის სასყიდელი 1902 წ. — 25 წლამდე.

მიმდინარე წელს უწყლობის გამო გაგვიცდა საყანე 4-ნახევ. ქცევა მიწა და თითქმის დავრჩით უსიმინდოთ.

გთხოვთ განმარტებას აქვს თუ არა გიორგაძეს უფლება 1902—1925-დე სარწყავი წყლით სარგებლობის შემდეგ მოგვისპოს წყალი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მას გაუწევია ოდესღაც უბრალო თხრილის გაყვანაში. შეგვიძლია თუ არა ავანაზღაურებიოთ. ე. ი. გიორგაძეს ჩვენი ზარალი საყანე ადგილის გაცდენის გამო?

სოფ. ვაკისჯვარის მცხოვრებლები: ძმები—
ვანო და სიმონ მდინარაძეები.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 21-ისა მიწის მოსარგებლე მოქ. გიორგაძეს არ ჰქონდა არავითარი უფლება მის სარგებლობაში მყოფ მიწაზე მოემოქმედა ისე რამე (ამ შემთხვევაში მოესპო თქვენთვის წყლით სარგებლობის უფლება), რომლითაც იგი არღვევს მეზობელ მიწის მოსარგებლეთა (ამ შემთხვევაში თქვენი) არსებით ინტერესებს.

თუ მართლაც დამტკიცდა, რომ წყლის დაკეტვით, გიორგაძემ თქვენ მიგაყენათ ქონებრივი ზიანი, მაშინ იგი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის მუხ. 403-ისა, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურება კი, თანახმად იმავე სამართლის კოდექსის მუხ. 410-ისა, გამოიხატება (თუ ასეთი შესაძლებელია) წინანდელ მდგომარეობის აღდგენაში (ე. ი. თქვენთვის კვლავ წყლის არხის გახსნაში) თუ კი ასეთი (ე. ი. არხის გახსნა) შეუძლებელია), მაშინ მიყენებული ზარალს ანაზღაურებაში. მავნებლობის (ზარალის) საზღაურის განსაზღვრისათვის სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში დაზარალებულთა (თქვენი) და ზარალის მიმყენებლის (ამ შემთხვევაში გიორგაძის) ქონებრივი მდგომარეობა. (იხ. იქავე მუხ. 411).

გიორგაძეს არა აქვს არავითარი უფლება მოითხოვოს თქვენგან რაიმე საზღაური წყლით სარგებლობისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის, რადგანაც თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 2-ისა, არ დაიშვება და არ მიიღება სასამართლოს განსახილველად არავითარი დავა იმ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობის გამო, რომელიც წარმოიშვა 1921 წლის 25 თებერვლამდის.

თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ საზოგადო მნიშვნელობის წყლის გასაზოგადოება ე. ი. გადაცემა საზოგადო სარგებლობისათვის მიწათმოქმედების მეშვეობით.

მოითხოვეთ სარწყავი არხის გახსნა სასამართლოს წესით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ანდრონიკ ოსიპოვს, რათა 24 სექტემბერს დილით 8 საათზე გამოცხადდეს თბილისის კომიტეტის სააღრიც.-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან.

სახ. უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო იტყობინება უჯრედის წევრთა საყურადღებოთ, რომ დღეს 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია აღნიშნულ უჯრედთა კრება. დასწრება სავალდებულოა

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. იასონ პეტრეს ძე ტოლორაიას, რათა სამი დღის ვადაში გამოცხადდეს რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-[illegible] რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება—წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის სააღრიცხვო განყოფილებაში ამხ. გოგოლაძესთან: ბაბარტიანცი სირანუშ გიორგის ასული, ჭანტურია დიმიტრი კლიმენტის ძე და შენგელია ვასილ ბესარიონის ძე.

საქართველოს ახალ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი სთხოვს ამხ. პავლე მელიქოვს, რათა ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტში გამოცხადდეს ამხ. კარელთან, პარასკევს 24 სექტემბერს, დღის 10 საათიდან 2 საათამდე.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის **თბილისის კომიტეტის** სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მეთოდიურ ბიუროს სხდომა შესდგება შაბათს 23 სექტემბერს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპ. განყოფილებაში.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ირინე ნიკოლოზის ასული და მამა სოლომონ (თენგიზ) ვიქტორისძე გერსამიები, ბებია ნადეჟდა ილარიონის ასული მურაშკო, ბიცოლა ვერა ნიკოლოზის ასული მეიფარიანი და ბიძები ნიკოლოზ (კოკა) გიორგისძე მეიფარიანი, ირაკლი (კოჰუტო) გერსამია და ნათლია გრიგოლ ნესტორისძე ლეჟავა აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობთ თავის საყვარელ

ალლა გერსამიას

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 25 სექტემბერს, დღისით 4 საათზე. იზმაილოვის ქ. № 21 ვერის ახალ სასაფლაოზე.

3807

გულდაწყვეტილნი დედა ელპიტი, ძმა დავით და ვლადიმერ, რძლები მარუსია, თეოდორა, და ფატმანე და ძმის-წული დიანა წულაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს 25 სექტემბერს, დღის 12 საათზე ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის უდროოთ დაკარგულ სახელ. უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის

სევერიანე ბესარიონისძე წულაძის

სულის მოსახსენებლად.

3796

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სონია ელიზბარის ასული, შვილი გივი, დედა ეკა, ძმა არსენ ოჯახობით, და ოლღა იმნაიშვილი ქმარშვილით, ცოლის ძმები ნოე, იასე, იორე და კონდრატე ელიზბარისძენი ხოფერიები თავიანთი ცოლშვილით, ცოლის და მართა მაღულარია ქმარშვილით, გულჩინა ხოფერია ქმარშვილით და სიძე არტემ ვაშაკიძე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 23 სექტემბერს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

მელქისედეკ მაქსიმელისძე ხუხუნაიშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღეს, 24 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე თბილისის სადგურზე, დასაფლავების დღე დანიშნულია ქ. ლანჩხუთში კვირას, 26 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, გუმბალაურის ეკლესიაზე. ღ.

კინო-თეატრი
სოლეი
არფასტო
საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1745 0—16

სახკინოს საუკეთესო სურათი
„აბრეკ ზაური"
კინო-მოთხრობა 10 ნაწილად (კავკასიის ახლო წარსულიდან)
უმთავრეს როლებში: ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი და სხვ.
ყოველდღიური ანშლაგები!!!
სიმებიანი ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით.
დღეს, მოხდება კინო-თეატრის გახსნა ნაჩვენები იქნება საუკეთესო სურათი
„ჯვარი და მაუზერი"
მხატვრული დრამა 8 ნაწილ.
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი მ. ბელსკის ხელმძღვანელობით
სეზონის საუკეთესო სურათი
„სიყვარულისა და სისხლის ტალღებში"
ფერი ანდრის და სხ. მონაწილეობით.
ამერიკის წარმოების ახალი მიღწევა
„დაღუპულ გემთა კუნძული"
მილტონ სილსის მონაწილეობით
ანონსი: 1-ლ ოქტომბრიდან კინო-თეატრებში—აპოლო, სოლეისა და არფასტოში დაიწყება „ხანუმა"-ს ჩვენება.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ 29 სექტ. დღის 12 ს. დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ჯ. ს. კ. საფინანსო-სამეურნეო ქვე | განყოფილებაში (მესანგრეთა ქ. № 30) ჯანსახკომის საავადმყოფოებისათვის საჭირო 300 კუბიკ. საქ. მაგარი ჯიშის 24 გოჯიანი შეშის მიწოდებაზე, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი მთელი იჯარის ფასიდან 10 პროც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საფინანსო სამეურნეო ქვე | განყოფილებაში დღის 12 საათიდან 2 საათამდე.

3—1 1805 ჯ. ს. კ. საფინ.-სამეურ, ქ | განყოფ.

სათამაშო ქაღალდის სახელმწიფო მონოპოლია

სათამაშო ქაღალდის სახელმწიფო მონოპოლიის ამიერ-კავკასიის (თბილისის) განყოფილება ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ თანახმად საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებისა 1926 წლის 13 აგვისტოს თარიღით, ა. წ. 21 სექტემბრიდან **წესდება სათამაშო ქაღალდის გაყიდვაზე მიზნობრივი ზედნართი უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ შემდეგი რაოდენობით: აბრეშუმის სათამაშო ქაღალდის თვითეულ შეკრულაზე—24 კაპ., პირველი ხარისხისაზე—20 კაპ. და მეორე ხარისხისაზე 10 კაპ.** გაყიდულ სათამაშო ქაღალდების რაოდენობის და მიუხედავათ, ამასთან ერთად ძალაში რჩება არსებული მოსკოვის პრეისკურანტი, და ის პირები რომლებიც სათამაშო ქაღალდს გაჰყიდიან საპრეისკურანტო ფასებზე ზევით ან და გაადიდებენ ზედნართს, **მიცემული იქნებიან პასუხისგებაში, როგორც სახელმწიფო მონოპოლიის დამრღვევნი.**

3797 მმართველი ა. **საფარიანი.**

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 485 25—13

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
3574 ტელეფ. № 4—82.

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87.
25—

ს. ს. რ.
სახელმწიფო გამომცემლობა
ახალი წიგნები
პოლიტიკურ საკითხებზე
იყიდება:
მ. კახიანი—ქართული ემიგრაცია ფასი 15 კ.
ნ. ბუხარინი—პარტია და ოპოზიცია „ 20 „
კომინტერნის თეზისები „ 20 „
საკავ. კ. პ. ყრილობის რეზოლიუციები „ 20 „
ტომას—პოლსკაია—საბჭოთა კავშირის ქალი „ 20 „
ბოიარსკაია—მუშა ქალთა საერთაშორისო მოძრაობა „ 20 „
იბეჭდება
ნ. ბუხარინი—„ოპოზიციის ეკონომიური პლატფორმის კრიტიკა".
„მემარჯვენეობის საშიშროება ჩვენს პარტიაში".
ი. სტალინი—„ლენინიზმის საკითხები".
ელენე კრავჩენკო—„გლეხი ქალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში".
კომკავშირების ჯგუფების პოლიტკითხვა (სახელმძღვ.)
ფილიპე მახარაძე
„პარტია და ოპოზიცია"
მოითხოვეთ სახელგამის ყველა მაღაზიებში
იქვე
ყოველგვარი ქართული წიგნები
ნ. 1812

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 26 სექტემბერს 1926 წელს დღის 10 საათზე ადგილობრივ ქ. გორში ცხაკაიას ქუჩაზე დანიშნულია მოქ. მიხეილ ბესარიონისძე მერებაშვილის ქონების **საჯარო ვაჭრობა.** ქონება შეიცავს ქვიტკირის შენობის ხილის საწყობს, სხვადასხვა ზომის ხილის ყუთებს, ყუთების დაჭრილ მასალას, ფიცრებს, სახლის ავეჯეულობას და სხვას სულ შეფასებული 290 მან. 50 კ. სააქციონერო სატრანსპორტო საზოგ. „ტრანსპორტისა" და სხვ. ვალის სანაზღაურად. თანახმად გორის უბნის სახ. სასამ. აღმასრ. ფურც. და სასამ. ბრძანებისა. ყველას ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს აღმოსავლეთ საქ. ოლქის სანოტარო თანა-განყოფილების ცნობა, რომ არც თვითონ მას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულ წლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა, და აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც თვითონ მას და არც ოჯახის ზემო-აღნიშნულ წევრს არა აქვთ შენობა რომელსამე სხვა ადგილას (სამოქ. კოდექსის 82 მუხ.)

3806

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს 1926 წელს დღის 12 საათზე ადგილობრივ სოფ. ტყვიავში დანიშნულია მეხ. ამხანაგ. „ლიახვის" ქონების **საჯარო ვაჭრობა.** ქონება შეიცავს უღელ ხარკამეჩს და ერთ საძნე ურემს თავის მოწყობილობით, შეფასებულს 240 მან. თბილისის კომ. ბანკის გორის განყოფ. ვალის ასანაზღაურებლად თანახმად გორის უბნის სახალ. სასამ. აღმასრ. ფურცლისა 23 სექტ. 1925 წ. № 918

1809

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 27 სექტემბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 13 მუხრანის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ნიკოლოზ აირაპეტოვის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, პირსაბანს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 76 მანეთად, ქ. თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 17 ივლისის 1926 წ. თარიღით, № 1926 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

3784

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება, თბილისის მაზრისათვის

ესაჭიროება

16 გამოცდილი ექიმი შემდეგ ადგილებში:

1) მანგლისის სანატორიუმისათვის—ექიმ—გამგის თანამდებობაზე—თვიური შრომის ხელფასი 125—მან. ბინით და ულუფით.
2) თიანეთის საავადმყოფოსათვის ექიმ—გამგის თანამდებობაზე თვიური ხელფასი 160—მან., ამავე საავადმყოფოში ორდინატორ-გინეკოლოგი თვიურად 125 მან.
3) მანგლისის საავადმყოფოსათვის ორდინატორ-ტერაპევტი თვიურად 100 მან.
4) ახბულაღის საბავშვო სახლში ერთი ექიმი, გარდა ამისა საჭიროა ექიმები: საექიმო პუნქტებისათვის, ხელფასი თვიურად დაახლოვებით 100—მანეთამდე, მსურველებმა ცნობების და პირობების დაწვრილებით გასაგებათ უნდა მიჰმართონ თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას და ორი კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ ყოველგვარი საბუთები.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება.

ნ. 1810

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 უფ. მთავარი კანტორა

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ 28 სექტემბერს 1926 წ. დღის 10 საათზე რგანის ღელეზე არის დანიშნული **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა კუთვნილ გიორგი (იგივე გიგო) სიმონისძე სამხარაძის გარეცხილ შავი-ქვის და სხვა მოძრავი გადასატან ქონების შეფასებული 1615 მანეთად დასაკმაყოფილებლად გიორგი სამხარაძის და კიკოზაშვილის და სხვ. ვალის, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ჭიათურის სახ. სასამართლოსი 15 ივლისის 1926 წ. თარიღით, № 606 და აგრეთვე სხვა აღმასრულებელ ფურცლებისა და ბრძანებებისა გაცემულის ამავე სასამართლოს მიერ.

3643

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19
მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოდაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 121
3740 13—.

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. ხილნალში. 3768 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ბლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
ურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № [illegible] (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 31—63. 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე. კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7).
3755 13—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ.

ექიმი ა. ს. შუნ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსიენების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
13—2

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ
348 25—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ სამედიცინო გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღ. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

დაიკარგა ლომბარდის ბილეთი № 42030 ჩ. გ. 3804

დავკარგე პარტ-ბილეთი № 491222 გაცემული სერგო იასონისძე გიგოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3805

დავკარგე პარტიის საკანდიდატო მანდატი № 15207, მოცემული შორ. სამაზრო კომიტეტის მიერ, პროფ-კავშირის წიგნაკი № 3573 ტრანსპორტელების კავშირის, წითელი ჯვრის წევრობის წიგნაკი, სადარიბის და პირადობის მოწმობები, მოცემული ზესტაფონის აღმასკომის მიერ, ბენიამენ დიმიტრისძე ბერიძის სახელზე, ჩ. გ. 3803

დავკარგე პირადობის მოწმობა № 7393, გაცემული გიორგი იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3808

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 4 ესტატე ქასრაძის სახელზე, ჩ. გ. 3791

დავკარგე პირადობის წიგნაკი № 183 და სააღრიცხვო წიგნაკი, პროკოფი გიგოსძე ხუხუნაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3790

დავკარგე პირადობის მოწმობა № 72 ელისაბედ ანდრიას ასული მარკოზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3793

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 3140 მიხეილ ბასიაშვილის სახელზე ჩ. გ. 3794

დავკარგე პირადობის მოწმობა № 278 სათენიკა ზაქარიას ასული ოგანეზოვის სახელზე, ჩ. გ. 3795

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი გრიშა სიმონისძე ვაჩეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3798

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი თა.არა ვაჩეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3799

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი გოგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3800

დავკარგე პირადობის მოწმობა მარიამ გოგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3801

დავკარგე პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი და უბნის ბილეთი სოლომონ გოგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3802

დავკარგე პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი ალეკსი სოსიკოსძე პაპაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3810

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ნიკოლოზ ევსტატესძე გეგენავას სახელზე № 361 ჩ. გ. 3813

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი და სკოლის 6 კლასის მოწმობა პეტრე გამყრელიძის სახელზე, ჩ. გ. 3812

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 357 თეოფილე მაქსიმელისძე ჩხაიძის სახელზე, ჩ. გ. 1811

დავკარგე პარტიული მანდატი № 492343, საბ. წიგნაკი, პროფკავშირის წიგნაკი, დამზღვევი სალაროს წიგნაკი და შინდობილობის ბარათი ნაგომრის მთლიანი კოოპერატივიდან დამტკიცებული ოზურგეთის მაზრის მოტარიუსის მიერ ერასტი ჩიგო იძის სახელზე, ჩ. გ. 1811

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68